

ბუღალტრული აღრიცხვა



B1+

სახელმძღვანელო

2018



ბუნებრივი ადრისხვა

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2018

**„ბუნდლტრული აღრიცხვა“ B1+
სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:**

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
ინგა სანიკიძე**

**დარგობრივი ექსპერტი:
ანა ახვლედიანი**

**ავტორები:
ინგა სანიკიძე
თაია ცხადია
ნინო სანიკიძე**

**რედაქტორები:
ინგა სანიკიძე
თაია ცხადია**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „New and Grand“-ში

ISBN 978-9941-8-0881-4

სარჩევი:

I თავი სამეურნეო აღრიცხვის არსი. საზოგადოებრივი პრინციპები

I ნაწილი სამეურნეო აღრიცხვა და მისი მნიშვნელობა	5
II ნაწილი სამეურნეო აღრიცხვის საზომები	10
III ნაწილი საქონლის შრომითი და ფულადი ფასი	16

II თავი სამეურნეო აღრიცხვა და მისი სახეები

I ნაწილი ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა	25
II ნაწილი სტატისტიკური აღრიცხვა	31
III ნაწილი ბუღალტრული აღრიცხვა	36

III თავი ბუღალტრული აღრიცხვის საგანი

I ნაწილი აქტივი	44
II ნაწილი ვალდებულებები, როგორც პასივები	50
III ნაწილი საკუთარი კაპიტალი	56

IV თავი ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა

შემაჯამებელი გაკვეთილი	64
------------------------------	----

V თავი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები და ელემენტები

I ნაწილი დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია	70
II ნაწილი შეფასება და კალკულაცია	77
III ნაწილი ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა	84

VI თავი ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი

I ნაწილი ფინანსური ანგარიშგება	92
II ნაწილი ბუღალტრული ბალანსი	99
III ნაწილი ფინანსური შედეგი - ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ	105

VII თავი ბუღალტრულ ანგარიშთა არსი და საერთაშორისო სტანდარტები

I ნაწილი ბუღალტრული ანგარიშები	114
II ნაწილი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	121
III ნაწილი საერთაშორისო სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები	127

VIII თავი ბუღალტრული აღრიცხვა - პროფესიული ცოდნა

შემაჯამებელი გაკვეთილი	137
მოსასმენი დიალოგები	143
გრამატიკა	154



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა გახსენდებათ სიტყვაზე „მეურნეობა“?
3. როგორ დაუკავშირებთ ილუსტრაციებზე გამოსახულ საგნებს სიტყვას „მეურნეობა“?

1.2. ტექსტი:

საზოგადოება დროთა განმავლობაში ვითარდებოდა. ის **სამეურნეო საქმიანობას** მისდევდა – აწარმოებდა პროდუქტს, მოიხმარდა და აგროვებდა მას. **მატერიალური დოვლათის** მართვისათვის საჭირო იყო **სამეურნეო აღრიცხვა**.

დღეს ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნული **მეურნეობა** შედგება საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. თითოეული მათგანი სამეურნეო საქმიანობას მისდევს. მაგალითად, **საწარმო** ყიდულობს **ნედლეულს**, მასალას, საქონელს. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მცირდება ამ საწარმოს **ფულადი საშუალებები**, სამაგიეროდ, იზრდება საქონლის რაოდენობა **საწყობში**. ასეთი სამეურნეო ოპერაციების დროს მდგომარეობა იცვლება, ამიტომ საჭიროა მათი გაზომვა რიცხვებით. გარდა ამისა, აუცილებელია **თვისებრივი აღრიცხვაც**. მაგალითად, თუ რომელიმე საკონსერვო ქარხანამ წვენის დასამზადებლად შეიძინა 30.000 ლარის ფორთოხალი, მაშინ ფულადი საშუალება შეიცვალა მეორე **თვისების** მქონე საშუალებით, ანუ მასალით.

ამრიგად, სამეურნეო აღრიცხვა ეწოდება ისეთ საქმიანობას, როდესაც დადგენილი წესებით გაიზომება რაოდენობა და თვისებრივად დახასიათდება საგნები, ეს კი სამეურნეო საქმიანობის შესწავლისა და კონტროლისათვის არის აუცილებელი.

- საზოგადოება აწარმოებს პროდუქტს, მოიხმარს და აგროვებს მას.
- სამეურნეო აღრიცხვის დროს ზომავენ საგნების რაოდენობას და თვისებრივად ახასიათებენ მათ.

სამშენებლო მასალების თვისებრივი და რაოდენობრივი აღრიცხვის ნიმუში:

თვისებრიობა	რაოდენობა
სამშენებლო ბლოკი	15.000 ცალი
სამშენებლო ქვიშა	37 ტონა
ცემენტი	19 ტონა
და სხვ.	

1.3. ლექსიკა:

სამეურნეო საქმიანობა	საქმიანობა, რომელსაც სამეურნეო დანიშნულება აქვს, მეურნეობისთვისაა განკუთვნილი.
მატერიალური დოვლათი	ქონებრივი, ანუ მატერიალური, სიმდიდრე.
სამეურნეო აღრიცხვა	საქმიანობა, როცა აღრიცხავენ სამეურნეო პროცესებს.
საწარმო	ორგანიზაცია, რომელიც ქმნის პროდუქციას, აწარმოებს რაიმეს.
ნედლეული	ბუნებრივი მასალისგან მიღებული ნახევარპროდუქტი, მაგალითად, რკინა.
ფულადი საშუალებები	ფული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.
საწყობი	ადგილი, სადაც პროდუქციას ინახავენ.
თვისებრივი აღრიცხვა	საგნის შინაარსის, თვისების მიხედვით დათვლა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რას გულისხმობს სამეურნეო საქმიანობა?
2. რა არის საჭირო მატერიალური დოვლათის მართვისთვის?
3. რა შემთხვევაში მცირდება საწარმოს ფულადი საშუალებები?
4. რატომ არის აუცილებელი საქონლის თვისებრივი აღრიცხვა?
5. რისთვის არის საჭირო სამეურნეო აღრიცხვა?

სინონიმები	ანტონიმები
დოვლათი - სიმდიდრე ეროვნული - ნაციონალური ყიდულობს - იძენს სამაგიეროდ - სანაცვლოდ იზრდება - იმატებს რაოდენობა - რიცხვი დადგენილი - დაწესებული	ყიდულობს - ყიდის მცირდება - იზრდება შეიძინა - გაყიდა დადგენილი - დაუდგენელი



მატერიალური დოვლათი	ჩემი სიმდიდრე
მაგ., ეს საწარმო მატერიალურ დოვლათს ვერ ქმნის. ჩემი მთავარი სიმდიდრე ჩემივე შვილებია.	
სიმაღლეში იზრდება	წონაში იმატებს
მაგ., მებობლის ბიჭი სიმაღლეში სწრაფად იზრდება. თამარი ნელ-ნელა იმატებს წონაში.	
პროდუქტის რაოდენობა	ჯამური რიცხვი (მოგება)
მაგ., დღეს მაღაზიაში შემოტანილი პროდუქტის რაოდენობა უნდა დაითვალონ. ამ თვეში ჩვენი ქარხნის ჯამური მოგება 14.000 ლარი იყო.	



ა. დაიმასსოვრეთ!

რა?
საქმიანობა მეურნეობა
თვისება დანიშნულება



ბ. დაიმასსოვრეთ!

მრავლობითი რიცხვი
ნათ. თანამშრომლების გადაწყვეტილებით = თანამშრომელთა გადაწყვეტილებით



თან'იანი მრავლობითი ძირითად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოიყენება.
მაგ., დროთა განმავლობაში ეკონომიკაც განვითარდება.
ნედლეულთა შესყიდვა მე მევალებს.

1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ბუღალტერი: დღეს ახალი ინვენტარი უნდა შევიძინოთ: ორი საწერი მაგიდა და ხუთი საოფისე სკამი.

ფინანსური მენეჯერი: რა კარგია! ამდენ საქმეში ეგ სულ დამავიწყდა.

ბუღალტერი: რამეს ხომ არ დაამატებთ? ავეჯის მაღაზიაში თანხა უნდა გადავრიცხო.

ფინანსური მენეჯერი: იქნებ, ერთი საოფისე სკამიც გამოწეროთ ბ-ნი ლადოსთვის. ძალიან წვალობს, ერთი კვირის წინ გაუტყდა და ჩემი დავუთმე.

ბუღალტერი: თანხა საკმარისი გვაქვს, აუცილებლად დავამატებ. მაგაზე არ ინერვიულოთ!

ფინანსური მენეჯერი: გადარიცხვას რომ მორჩებით, ფინანსური საბუთი შემომიტანეთ, მაინც გადავხედავ.

ბუღალტერი: დღის ბოლოს მზად მექნება და შემოგიტანთ.

[ჩემი სკამი] დავუთმე - იგივეა, რაც: ჩემი ნებით, სურვილით მივეცი.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა მიზნით უნდა გადავრიცხა თანხა ბუღალტერს?
- სად უნდა დაფიქსირებულიყო გადარიცხული თანხა?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თქმაზე:

- „ქარხნის დირექტორის კაბინეტში“

1.6. დაასრულეთ წინადადებები. გამოიყენეთ წყვილები:

თვისებრივი აღრიცხვა
რაოდენობრივი აღრიცხვა
სამეურნეო საქმიანობა

ფულადი საშუალებები
მატერიალური დოვლათი
სამეურნეო აღრიცხვა

ბუნებრივი ადგილობრა

1. როცა საზოგადოება ქმნის პროდუქტს, მოიხმარს და აგროვებს მას, ეს არის
2. როცა ქვეყანას აქვს ქონებრივი სიმდიდრე, ეს არის
3. ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ერთეულებსა და საბანკო ანგარიშებს ეწოდება
4. მატერიალური დოვლათის სწორი მართვისთვის საჭიროა
5. როცა მატერიალურ ნივთებს, საგნებს რაოდენობრივად ითვლიან, არის
6. როცა ანგარიშობენ, აღრიცხავენ საგანთა თვისებებს, არის

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:

შემცირება გაზრდა შეგროვება შეძენა შეცვლა განვითარება

1. სასიხარულოა, რომ ყოველ წელს სახელმწიფოს ბიუჯეტი.
2. დასავლეთის ქვეყნების დახმარებით ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკა დროთა განმავლობაში
3. შარშან ორი ქარხანა ვიყიდეთ, ამიტომ ორგანიზაციის ფულადი სახსრები უძრავი ქონებით
4. დემოკრატიული პროცესების გამო საქართველოში ქალებზე ძალადობის რიცხვი
5. საკუთარი ფერმისთვის გიორგიმ ახალი ტრაქტორი
6. ჩემი მეგობარი თანხას და ბანკში ინახავს.

1.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	განვითარდა	ვითარდება	განვითარდება
2.	შემცირდა	მცირდება	შემცირდება
3.	გაიზარდა	იზრდება	გაიზრდება
4.	შეიცვალა	იცვლება	შეიცვლება



1.9. მოსმენა

დიალოგი: შემთხვევა სამეურნეო საწყობში

მეტი რა გზაა - სხვა გამოსავალი არ არის.

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	დათო მუშობით ძალიან დაღლილი იყო.		
2.	საწყობის გამგის დავალებით მუშებს პროდუქცია უნდა დაეთვალიერათ.		

3.	მუშებს ორი დღე ჰქონდათ დავალების შესასრულებლად.		
4.	ნიკასა და დათოს სხვა მუშებიც უნდა დახმარებოდნენ.		
5.	ნიკას აღრიცხული საქონლის რაოდენობა უნდა ჩაეწერა.		


1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ საუბრობდნენ სამეურნეო საწყობში?
2. რის გამო წუხდა დათო?
3. რა დაავალა ნიკასა და დათოს საწყობის გამგემ?
4. ვის უნდა ჩაეწერა ბუღალტრული ანგარიში?

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.



1.14. საპრეზენტაციო თემა

როგორ გააკონტროლებდით პატარა მეურნეობის შემოსავალს?

1.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რაში ეხმარება წარმოებას ფულადი საშუალებები?



1.16. დაიმასსოვრეთ!

„საქმის კეთება დიდი რამ არის და დიდია ის, ვინც გულთბილად, კაცთმოყვარებით, პატიოსნად და სწორი სასწორით ხელში ემსახურება მას“ /ილია ჭავჭავაძე/.

„მე არ ვიპარავ გამარჯვებას!“ /ალექსანდრე მაკედონელი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა საქმე აკეთოს?
2. თქვენი აზრით, რა იგულისხმება სიტყვებში – „სწორი სასწორით ხელში“?
3. თქვენი აზრით, როგორ მოიპოვება გამარჯვება?



1.17. ეს საინტერესოა!


უძველესი ადამიანი მისდევდა მიწათმოქმედებას. ის ამზადებდა სხვადასხვა სახის სამეურნეო იარაღს, მაგალითად, ბარსა და თოხს. აგრეთვე ხნავდა, თესავდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოჰყავდა. მას ჰქონდა შემოსავალი და გასავალი, ამ ყველაფერს კი ჩანიშვნა სჭირდებოდა. ამიტომ მსოფლიოს უძველეს ცივილიზაციებში – შუმერში, ასურეთსა და ბაბილონში – ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი ტიპი გაჩნდა. ეს დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინ იყო. თავდაპირველად ადამიანებმა ინვენტარის აღრიცხვა დაიწყეს და ძვირფასი ნივთების ნაშთებს აფიქსირებდნენ.

ნაშთი – რაც დარჩა, რაიმეს ნარჩენია.

უპასუხეთ კითხვებს:

- სად და როდის გაჩნდა ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი ტიპი?
- რას აღრიცხავდნენ ადამიანები თავდაპირველად?

II ნაწილი სამეურნეო აღრიცხვის საგომები



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. როგორ გესმით სიტყვა „შრომა“?
3. თქვენი აზრით, რა ფუნქცია აქვს ფულს?

2.2. ტექსტი:

სამეურნეო აღრიცხვის დროს აკვირდებიან სამეურნეო საქმიანობას და იყენებენ სისტემას, რომელმაც შედეგები უნდა დაიანგარიშოს. საწარმოს საქმიანობაში რიცხვობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს შესაბამისი **საზომი ერთეულებით** განსაზღვრავენ. ესენია: **ნატურალური, შრომითი და ფულადი**.

ნატურალური საზომი ერთეულებია, მაგალითად, ტონა, კილოგრამი, გრამი, ლიტრი, კილომეტრი, მეტრი და სხვ. თითოეულ მათგანს შეუძლია დაადგინოს საგნის ფიზიკური, ანუ ნატურალური, **მოცულობა** და მიგვითითოს მის რაოდენობაზე, ზომასა და წონაზე. ამიტომ სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვისას იყენებენ ნატურალურ საზომ ერთეულებს. ისინი კონტროლის მექანიზმებია.

შრომითი საზომი ერთეულებით აღრიცხავენ იმას, რომ სამეურნეო საქმიანობისას თანამშრომლებმა დაიცვან შრომითი დისციპლინა, არ დაარღვიონ **ნორმირებული** სამუშაო დრო. სწორედ ამის მიხედვით **განისაზღვრება** შრომის ანაზღაურება. საბედნიეროდ, საქართველოში არსებობს კანონი, რომელსაც „საქართველოს შრომის კოდექსი“ ჰქვია. კოდექსის მიხედვით, შრომითი ურთიერთობების დროს დაუშვებელია ნებისმიერი სახის **დისკრიმინაცია** რასის, ეროვნების, ასაკის, სქესის, პოლიტიკური შეხედულებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

ფულადი საზომი ერთეულის გარეშე წარმოდგენელია სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, რადგან ნებისმიერი საგანი შეიძლება შეფასდეს ფულით, ანუ დადგინდეს მისი ღირებულება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ფულადი საზომი ერთეულია დოლარი, დიდი ბრიტანეთის - გირვანქა სტერლინგი, ინდოეთის - რუპია, ხოლო საქართველოსი - ლარი. ფულადი საზომი ერთეული **აჯამებს** საწარმოო კაპიტალს და **უზრუნველყოფს** სამეურნეო საქმიანობის მკაცრ კონტროლს.

2.3. ლექსიკა:

საზომი ერთეული	გაზომვის, შეფასების ერთი საშუალება.
ნატურალური საზომი	საგნის ფიზიკური სხეულის გაზომვის საშუალება. მაგ., მეტრი.
შრომითი საზომი	ადამიანის შრომის გაზომვის საშუალება. მაგ., მონიტორინგი თანამშრომელთა სამსახურში დავგიანების გამო.
ფულადი საზომი	საგნების გაზომვა ფულად ერთეულებში, ღირებულების დადგენა.
მოცულობა	საგნის სიდიდე რაიმე ნიშნით, მაგალითად, კილოგრამებით.
ნორმირებული	კანონით, ნორმით, წესით დადგენილი.
განისაზღვრება	წესით დადგენილ საზღვრებში ექცევა.
დისკრიმინაცია	ადამიანებისადმი უსამართლო მოპყრობა, უთანასწორობა.
აჯამებს	აერთიანებს, საერთო შედეგი გამოჰყავს.
უზრუნველყოფა	მოგვარება, ყველაფრით ხელის შეწყობა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რითი განსაზღვრავენ საწარმოში რიცხოვრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს?
2. რას ზომავს ნატურალური საზომი? დაასახელეთ ნატურალური საზომის ორი მაგალითი.
3. რას ზომავს შრომითი საზომი?
4. რას ანგარიშობს ფულადი საზომი?
5. რას აჯამებს ფულადი საზომი საწარმოში?

სინონიმები	ანტონიმები
თითოეული - ცალკეული მოცულობა - სიდიდე ანაზღაურება - ხელფასი ურთიერთობა - კონტაქტი ეროვნება - ნაციონალობა შეხედულება - თვალსაზრისი წარმართვა - გაძღოლა კაპიტალი - ქონება	დაიცვას - დაარღვიოს საბედნიეროდ - სამწუხაროდ დაუშვებელია - დასაშვებია მკაცრი - ლმობიერი



თითოეული საწარმო მაგ., - თითოეულ საწარმოს თავისი დირექტორი ჰყავს. - ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებას სჯობს, ერთიანი კანონი გამოსცეთ!	ცალკეული გადაწყვეტილება - ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებას სჯობს, ერთიანი კანონი გამოსცეთ!
პროდუქტის მოცულობა მაგ., - პროდუქტის მოცულობა აღრიცხვის ფურცელში ჩაწერეთ! დედამიწის სიდიდის გამოშვება პირველად ძველმა ბერძნებმა სცადეს.	სიდიდის გამოშვება - პროდუქტის მოცულობა აღრიცხვის ფურცელში ჩაწერეთ! დედამიწის სიდიდის გამოშვება პირველად ძველმა ბერძნებმა სცადეს.
ავტომობილის მექანიზმი მაგ., - ამ ავტომობილის მექანიზმი ცოტა მოძველებულია. - ნუ მაცდენთ, დაანგარიშების საშუალება მომეცით!	დაანგარიშების საშუალება - ნუ მაცდენთ, დაანგარიშების საშუალება მომეცით!

ა.


სახ.	საზომი	ერთეული
მოთხ.	საზომმა	ერთეულმა
მიც.	საზომ	ერთეულს და სხვ.
მაგ., საზომ ერთეულს პროდუქციის თვისების მიხედვით განვსაზღვრავთ.		

ბ.

ის უზრუნველყოფს		ახლანდელი	ისინი უზრუნველყოფენ
მან უზრუნველყო		წარსული	მათ უზრუნველყვენ
მაგ., საწარმოს დირექტორმა ფინანსურად უზრუნველყო მუშების სამედიცინო დაზღვევა.			

რას შვრება? რა?	უზრუნველყოფს უზრუნველყოფა	ასეთივე ზმნებია: ცხადყოფს - ცხადს გახდის ნათელყოფს - ნათელს გახდის
----------------------------------	--	---

ბ.



2.5. გამოყავით ტექსტში ზმნები. გადაიყვანეთ მე-3 პირში და ისე წაიკითხეთ:

მე ბუღალტერი ვარ, ამიტომ აღვრიცხავ ჩემი საწარმოს სამეურნეო საქმიანობას. მთელი დღე ვანგარიშობ შემოსავალს. მე განვსაზღვრავ, რამდენია გასავალი. აგრეთვე ვაფასებ ინვენტარს, რომელიც საწარმოში გვაქვს და ბოლოს ვაჯამებ ფულად მოგებას.

ა.

მან შეაჯამა	მათ შეაჯამეს
მაგ., ბუღალტერმა	ანგარიშები შეაჯამა.



ბ. დაიმახსოვრეთ სიტყვები!

სამწუხაროდ	საბედნიეროდ
გამოიყენეთ მაშინ, როცა წუხილს ან დადებით ემოციას გამოხატავთ. წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით.	

2.6. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესიტყვებები:

ანგარიშების შემოწმება საქმიანობის აღრიცხვა შემოსავალ-გასავალის შეჯამება	საგადასახადო კანონის დარღვევა დადგენილი წესების დაცვა
---	--

1. საწარმოში ბუღალტერი სამეურნეო
2. დღეს საგადასახადო ინსპექციიდან მოვლენ და ჩვენს ბუღალტრულ
3. თქვენი ქარხნის დირექტორი არასდროს
4. მთავარი ბუღალტერი თვის ბოლომდე
5. ძველი თანამშრომლები კარგად

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	წხვალ
1.	დააკვირდა	აკვირდება	დააკვირდება
2.	[და]იანგარიშა	იანგარიშობს	[და]იანგარიშებს
3.	მიუთითა	[მი]უთითებს	მიუთითებს
4.	დაიცვა	იცავს	დაიცავს
5.	შეაჯამა	აჯამებს	შეაჯამებს



2.8. მოსმენა

დიალოგი: საფინანსო განყოფილებაში

გული გამისკდა - ძალიან შეშინდა.

საპატიო მიზეზი - მიზეზი, რომლის გამოც გაპატიებენ რაიმე მოქმედებას.

არა უშავს! - ცუდი არაფერი მოხდება, არაფერი დაშავდება.

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ლალმა სამსახურში ერთი საათით დააგვიანა.		
2.	ბ-ნმა გიორგიმ ლალის დაგვიანება ჟურნალში ჩაინიშნა.		
3.	ბ-ნმა გიორგიმ დირექტორს ლალის დაგვიანება დაუმალა.		
4.	დაგვიანების გამო შეიძლება ლალის ხელფასი დაკლონ.		
5.	ლალის საპატიო მიზეზი არ ჰქონდა.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- 1.....
- 2.....
- 3.....

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის გამო წუხდა თამაზი?
2. რა მიზნით შემოვიდა კაბინეტში ბ-ნი გიორგი და როგორ მოიქცა ის?
3. როგორი მიზეზი ჰქონდა ლალის, როცა მან სამსახურში დააგვიანა?
4. რა შეიძლება გაეკეთებინა ხელმძღვანელობას მეორე დაგვიანების გამო?
5. რა საბუთი გადასცა თამაზმა ლალის?

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

გაიხსენათ! ის დოკუმენტი, რომელიც	ისწავლეთ! ის დოკუმენტები, რომლებიც...
---	---



დაიმახსოვრეთ!

მრავლობითი	
სახ.	რომლებიც
მოთხრ.	რომლებმაც
მიც.	რომლებსაც და სხვ.

შესახებ გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედა იმ საგანს შეეხება, რომელსაც დაერთვის.

გამო გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, როცა მიზეზი აღინიშნება.

მაგ., - შენ შესახებ დირექტორს უთხრეს.
- თქვენ გამო შეიძლება მეც მივიღო საყვედური.

ჩემ შესახებ ჩვენ შესახებ
შენ შესახებ თქვენ შესახებ
[ი]მის შესახებ [ი]მათ შესახებ
მაგრამ: დაგვიანებ^{ის} შესახებ....

ჩემ გამო ჩვენ გამო
შენ გამო თქვენ გამო
[ი]მის გამო [ი]მათ გამო
მაგრამ: ავადმყოფობ^{ის} გამო....

2.13. საპრეზენტაციო თემა

უნდა დააკლონ თუ არა ხელფასი თანამშრომლებს ხშირი დაგვიანების გამო და რატომ?

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რატომ არის კარგი შრომითი დისციპლინის დაცვა?



2.15. დაიმახსოვრეთ!

„არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური“ /ალექსანდრე მაკედონელი/.
„არასდროს კეთდება დიდი საქმე სიძნელეების გარეშე“ /ვოლტერი/.

ფუფუნება - მდიდრული ცხოვრება

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რატომ აქვს შრომას მეფური, ანუ დიდი, ძალა?
2. თქვენი შეხედულებით, რა პიროვნული თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა სირთულეები გადალახოს?



2.16. ეს საინტერესოა!

ადამიანის უძველესი წინაპრებიც საზოგადოებებად ცხოვრობდნენ. სწორედ ამ დროს დაიწყო მათ აღრიცხვა, რომლის განვითარება გამოწვეული იყო ცხოვრების მოთხოვნებით. ამას დამწერლობისა და მათემატიკის განვითარებაც მოჰყვა. პირველ დოკუმენტებად შეიძლება დავასახელოთ ცხოველის ძვლები, რომლებზეც აღნიშნულია გაკეთებული. ერთ-ერთი არქეოლოგის აზრით, ეს გაუგებარი ხაზები დათვლის საშუალებებია.

წინაპარი - მრავალი თაობის წინ მცხოვრები ნათესავი, ანუ ის, ვისი შთამომავალიც ხარ. მაგ., ქართველთა უძველესი წინაპრების ერთი ნაწილი წინა აზიაში ცხოვრობდა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რისი განვითარება მოჰყვა აღრიცხვის საჭიროებას?
- მეცნიერთა აზრით, რა შეიძლება იყოს ცხოველის ძვლებზე არსებული ხაზები?

III ნაწილი საქონლის შრომითი და ფულადი ფასი



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მათ შორის?

3.2. ტექსტი:

ადამიანი საკუთარი შრომით მოიპოვებს თავისი არსებობისა და კომფორტისათვის საჭირო საგნებს, ყიდულობს მათ. ამის მიხედვით, ის ან მდიდარია, ან - ღარიბი. ამიტომ შრომა ყველა საქონლის ბუნებრივი და ნამდვილი საზომია. თუ პირი რომელიმე საგანს ფულით შეიძენს, ესეც **გარჯითაა**

მოპოვებული. **შრომის ღირებულება** ყოველთვის **უცვლელია**. ის ნამდვილი და საბოლოო საზომია. თითოეული საქონელი შრომის რაოდენობით ფასდება.

მას შემდეგ, რაც ფული **ვაჭრობის** ყველაზე **მისაღებ** საშუალებად იქცა, ნივთები უფრო ხშირად იცვლება მასზე. მაგალითად, ფერმერს თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი გასაყიდად მიაქვს ბაზარზე, რათა თავისი გარჯის ნაცვლად აიღოს თანხა და შემდეგ ამით შეიძინოს სხვა პროდუქტი. ამიტომ თითოეული საქონლის **საცვლელი ღირებულება** ფასდება ფულით, ხოლო ქონება ფულად ერთეულებში უნდა დაითვალოს. ამ ერთეულებში ყოველთვის იგულისხმება **წმინდა ოქროსა** და ვერცხლის **საბაზრო ღირებულება**. თანხის რაოდენობა განსაზღვრავს იმას, თუ რისი შეძენა შეუძლია ადამიანს, ან რამდენად მდიდარია იგი. ფული საუკეთესო საზომია იმისთვის, რომ შევიძინოთ ან გავცვალოთ საგნები.

ამრიგად, საქონლის **ფულადი ფასი** საბოლოოდ გასაზღვრავს ვაჭრობას, ანუ ყიდვა-გაყიდვას. ის აწესრიგებს ჩვენს **ყოველდღიურ** ცხოვრებას. ადამიანები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფულად ფასს, ვიდრე – ნამდვილს, რომელსაც შრომა ჰქვია. ბუღალტრული აღრიცხვის საბოლოო ეტაპი ფულადი დაანგარიშებაა.

3.3. ლექსიკა:

გარჯა	იგივეა, რაც შრომა.
შრომის ღირებულება	შრომის მიხედვით დადგენილი ფასი.
უცვლელი	ის, რაც არ შეიცვლება, მუდმივია.
ვაჭრობა	ყიდვა-გაყიდვა, კომერცია.
მისაღები	ის, რასაც მიიღებენ, არ უარყოფენ.
საცვლელი ღირებულება	შრომა, რომელსაც გადააქცევ ნივთად, გაცვლი მასში.
წმინდა ოქრო	სუფთა ოქრო.
საბაზრო ღირებულება	ფასი, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ბაზარზე შეიძენ საქონელს (მაგ., ბინას) ან მომსახურებას (მაგ., იქირავებ ტაქსის).
ფულადი ფასი	ფულით შეფასებული ღირებულება.
ყოველდღიური	ისეთი, როგორიც ყოველდღე ხდება, ხშირია.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორ მოიპოვებს ადამიანი საჭირო საგნებს?
2. როგორია შრომის ღირებულება?
3. რა იქცა ვაჭრობის ყველაზე მისაღებ საშუალებად?
4. რას უდრის წმინდა ოქროსა და ვერცხლის საბაზრო ღირებულება?
5. რას ანიჭებენ ადამიანები მეტ მნიშვნელობას?

სინონიმები	ანტონიმები
მდიდარი - შეძლებული შრომა - გარჯა ღირებულება - ფასი უცვლელი - მუდმივი ვაჭრობა - კომერცია წმინდა - სუფთა საგანი - აქ: ნივთი	მდიდარი - ღარიბი უცვლელი - ცვალებადი მისაღები - მიუღებელი წმინდა - მღვრიე



დიდი ხნის შრომა	მასწავლებლის გარჯა
მაგ., მე დიდი ხნის შრომით მივაღწიე წარმატებას.	
მასწავლებლის გარჯა დასაფასებელია.	
წმინდა წყალი	სუფთა გული
მაგ., ამ მდინარის წყალი წმინდაა.	
გიორგი პატიოსანია და ძალიან სუფთა გული აქვს.	

რა?	როგორი?
ბუნება	ბუნებრივი პროცესი
ადგილი	ადგილობრივი მოსახლეობა

ასეთივე სიტყვებია:			
რა?	როგორი?	რა?	როგორი?
დარგი	დარგობრივი	გონება	გონებრივი
დედა	დედობრივი	დანაშაული	დანაშაულებრივი
ენა	ენობრივი	საზოგადოება	საზოგადოებრივი
მასა	მასობრივი	სარწმუნოება	სარწმუნოებრივი
რასა	რასობრივი	უფლება	უფლებრივი
მიზანი	მიზნობრივი	სახელმწიფო	სახელმწიფოებრივი
ფაქტი	ფაქტობრივი	ქონება	ქონებრივი

3.5. წაიკითხეთ ტექსტი:

სანდრომ სამი წელი საგზაო ინჟინრად იმუშავა. ყოველ თვე ხელფასიდან 450 ლარს ინახავდა, რათა საკუთარი ავტომანქანა ეყიდა. როცა დაუღალავი შრომით საკმარისი თანხა დააგროვა, სპეციალურ მაღაზიაში წავიდა, თეთრი ფერის „ტოიოტა“ შეარჩია, მოგროვილი ფული სულ იმ მანქანაში გადაიხადა და სახლში პატარა ბავშვივით გახარებული დაბრუნდა.

დაუღალავი - ის, ვინც არ იღლებს, შრომისმოყვარეა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა მიზანი ჰქონდა სანდროს?
- როგორ შეძლო მან მიზნის მიღწევა?



დაიმასოვრეთ!

მით გამოხატავს მსგავსებას. ის გამოიყენება სახელობითთან და მისამართთან.

მაგ., პატარა ბავშვი**ვით** გაუხარდა.

სანდრო **შენსავით** დაუღალავი იყო.



- | | | |
|--|------------------|--------------------|
| I. | ჩემ სავით | ჩვენ სავით |
| II. | შენ სავით | თქვენ სავით |
| III. | მას სავით | მათ სავით |
| აგრეთვე: დედა სავით , სანდრო სავით ... | | |

3.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:

შეფასება
აღება

მოპოვება
მინიჭება

გადაცვლა
მოწესრიგება

1. ბუღალტრულმა აღრიცხვამ ჩვენი საწარმოს მუშაობა უნდა
2. გივიმ თავისი მოყვანილი 120 კილოგრამი პომიდორი კარტოფილში
3. აუქციონზე ჩვენი ქარხანა სამ მილიონ ლარად
4. კონკურსში გამარჯვებულს დღეს ფულად ჯილდოს
5. ის ჯერ მოსავალს და ბაზარზე მერე გაყიდის.
6. ლალიმ საკუთარი შრომით ყველაფერი.

3.7. წაიკითხეთ დიალოგი:

ცოლი: სახლში პროდუქტი აღარ გვაქვს, გიო, ხვალ სადილი როგორ გავაკეთო?!

ქმარი: დღეს ხელფასი ჩამერიცხება და, რასაც მეტყვი, იმას მოგიტან.

ცოლი: მაშინ ერთი კილოგრამი ხორცი წამოიღე. ბოსტნეული და მწვანილი არ დაგავიწყდეს, სალათსაც გავაკეთებ.

ქმარი: ხილი არ გვინდა?!

ცოლი: არა მგონია, ბალი ჯერ კიდევ გვაქვს მაცივარში, არ გვიჭამია.

ქმარი: კარგი, წავედი. აბა, თქვენ იცით!

ხელფასი ჩამერიცხება - ხელფასს მომცემენ, საბანკო ანგარიშზე დამიდებენ.

უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ არ გაუჭირდებოდა გიოს პროდუქტების შეძენა?
- რომელი ერთეულით უნდა შეეძინა მას ოჯახისათვის საჭირო პროდუქტები?

3.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	წავალ
1.	მოიპოვა	მოიპოვებს	მოიპოვებს
2.	შეფასდა	ფასდება	შეფასდება
3.	[ფულად] გადაიქცა	[ფულად] იქცევა	[ფულად] გადაიქცევა
4.	გადაიცვალა	იცვლება	გადაიცვლება
5.	მოაწესრიგა	აწესრიგებს	მოაწესრიგებს



3.9. მოსმენა

დიალოგი: სატვირთო მანქანის მოლოდინში

ნამდვილად გავვიწყდები – რაიმე ემოციას ვეღარ გავუძლებ, გიჟს დავემსგავსები, მასსავით მოვიქცევი.
[შრომით] წელში გავწყდები – [შრომა] ძალიან დამღლის, ძალას გამომაცლის.

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ –ით:

N		სწორი	არასწორი
1.	სატვირთო მანქანის დაგვიანების გამო გივი ძალიან ნერვიულობდა.		
2.	გლეს ტომრები მანქანაზე უნდა დაეწყო და ამისთვის დრო სჭირდებოდა.		
3.	გივის სამი ტონა კომბოსტო და 400 კილოგრამამდე სტაფილო მიჰქონდა გასაყიდად.		
4.	გასაყიდი საქონლის ფასი გლეს დაანგარიშებული არ ჰქონდა.		
5.	ადამიანი შრომის გარეშე იშოვის ფულს.		
6.	გივის სურდა გვერდითა ნაკვეთის ყიდვა.		
7.	საკუთარ მეურნეობას ფულის გარეშე გააფართოებ.		

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.

2.
3.

3.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. გივის აზრით, რას სჭირდებოდა დრო?
2. რატომ ჰქონდა გლეხს აწონილი გასაყიდი პროდუქტი?
3. რა მიზნით აგროვებდა გივი თანხას?
4. რა გაუხარდა თედოს?
5. გივის აზრით, რა საშუალებით იშოვება ფული?
6. რა გზას მიმართა გლეხმა თავისი მეურნეობის გასაფართოებლად?

3.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.

[მე]	რას ვშვრებოდე?	[ჩვენ]	რას ვშვრებოდეთ?
[შენ]	რას შვრებოდე?	[თქვენ]	რას შვრებოდეთ?
[ის]	რას შვრებოდეს?	[ისინი]	რას შვრებოდნენ?

↓

[მე]	ვმუშაობდე	[ჩვენ]	ვმუშაობდეთ
[შენ]	მუშაობდე	[თქვენ]	მუშაობდეთ
[ის]	მუშაობდეს	[ისინი]	მუშაობდნენ



დაიმახსოვრეთ!

ასეთი ფორმები ხშირად გამოიყენება **უნდა** და **შეიძლება** ზმნებთან ერთად.
მაგ., ის ბავშვია და ფიზიკურად ამდენს არ უნდა მუშაობდეს.
სახელმწიფო შრომით ურთიერთობებს უნდა აწესრიგებდეს.

ბ.

ხელს აღარ შევიშლი - არ შეგაჩერებ, არ დაგაბრკოლებ.



ხელი შეუშალა - წინააღმდეგობა გაუწია რაიმე საქმეში, დაბრკოლება შეუქმნა.
ხელი შეუწყო - დაეხმარა, დახმარება გაუწია.
ხელი გაუმართა - მატერიალურად დაეხმარა, ფინანსური დახმარება გაუწია.
ხელში ჩაიგდო - მოიპოვა, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო.



დააკვირდით!

როცა მეორე პირს გრდილობიანად მიმართავთ, მაშინ გამოიყენეთ ფორმები:

- ხელი შეგიშალეთ, ბატონო?!
- ხელი შეგიწყვეთ და არ მესმის, რატომ ხართ უკმაყოფილო?!
- მე ხომ ხელი გავგიმართეთ და საკმარისი თანხა გადმოგირიცხეთ?!

3.14. საპრეგენტაციო თემა

ფული ყველაფერს იყიდის...

3.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – შეიძლება თუ არა გაყიდოთ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება?



3.16. დაიმახსოვრეთ!

„ჩვენ, ესპანელებს, ავადმყოფობა გვჭირს, რომელიც მხოლოდ ოქროთი იკურნება“
/ჰერნანდო კორტესი/.

„ფული მეექვსე გრძნობაა. ადამიანს ის უნდა ჰქონდეს, რადგან მის გარეშე დანარჩენ ხუთს ვერ გამოიყენებს“ /სომერსეტ მოემი/.

ადამიანს გრძნობის ხუთი ორგანო აქვს, ესენია: მხედველობა, სმენა, გემო, ყნოსვა და შეხება.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა უწოდა ჰერნანდო კორტესმა სიხარბეს, ანუ ოქროსმოყვარეობას?
2. თქვენი აზრით, რატომ არის ფული „მექვსე გრძნობა“? რაში ეხმარება ის ადამიანს?



3.17. ეს საინტერესოა!

ქალაქის ფული პირველად X საუკუნის ჩინეთში გავრცელდა. მას „ბიანცინი“ ეწოდებოდა და „მოხერხებულ ფულს“ ნიშნავდა. სამი საუკუნის შემდეგ ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა – მარკო პოლომ – ეს ამბავი დასავლეთში ჩამოიტანა და ქალაქის ფულის დამზადება ევროპელებმაც დაიწყეს. ყველაზე ადრე ის შვედეთში დაიბეჭდა (1662 წელს) და შემდგომ – დანარჩენ ევროპაში.

მანამდე ფულის ფუნქცია სხვადასხვა ფორმისა და ლითონისაგან (ოქროსგან, ვერცხლისგან...) დამზადებულ მონეტებს ჰქონდა. ქართული მონეტა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში (ძვ.წ. VI ს.). მას „კოლხური თეთრი“ ჰქვია.

უპასუხეთ კითხვებს:

- სად გამოიგონეს პირველად ქაღალდის ფული?
- ვისი დახმარებით შეიტყვეს ევროპელებმა ქაღალდის ფულის შესახებ?
- რა ჰქვია მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქართულ მონეტას?


ლექსიკა:

აჯამებს	აერთიანებს, საერთო შედეგი გამოჰყავს.
განისაზღვრება	წესით დადგენილ საზღვრებში ექცევა.
გარჯა	იგივეა, რაც შრომა.
დისკრიმინაცია	ადამიანებისადმი უსამართლო მოპყრობა, უთანასწორობა.
ვაჭრობა	ყიდვა-გაყიდვა, კომერცია.
თვისებრივი აღრიცხვა	საგნის შინაარსის, თვისების მიხედვით დათვლა.
მატერიალური დოვლათი	ქონებრივი, ანუ მატერიალური, სიმდიდრე.
მისაღები	ის, რასაც მიიღებენ, არ უარყოფენ.
მოცულობა	საგნის სიდიდე რაიმე ნიშნით, მაგალითად, კილოგრამებით.
ნატურალური საზომი	საგნის ფიზიკური სხეულის გაზომვის საშუალება. მაგ., მეტრი.
ნედლეული	ბუნებრივი მასალისგან მიღებული ნახევარპროდუქტი, მაგალითად, რკინა.
ნორმირებული	კანონით, ნორმით, წესით დადგენილი.
საბაზრო ღირებულება	ფასი, რომლის მიხედვითაც სასაქონლო ბაზარზე შეიძენ საქონელს (მაგ., ბინას) ან მომსახურებას (მაგ., იქირავებ ტაქსის).
საზომი ერთეული	გაზომვის, შეფასების ერთი საშუალება.
სამეურნეო აღრიცხვა	საქმიანობა, როცა აღრიცხავენ სამეურნეო პროცესებს.
სამეურნეო საქმიანობა	საქმიანობა, რომელსაც სამეურნეო დანიშნულება აქვს, მეურნეობისთვისაა განკუთვნილი.
საცვლელი ღირებულება	შრომა, რომელსაც გადააქცევ ნივთად, გაცვლი მასში.
საწარმო	ორგანიზაცია, რომელიც ქმნის პროდუქციას, აწარმოებს რაიმეს.
საწყობი	ადგილი, სადაც პროდუქციას ინახავენ.
უზრუნველყოფა	მოგვარება, ყველაფრით ხელის შეწყობა.
უცვლელი	ის, რაც არ შეიცვლება, მუდმივია.
ფულადი საზომი	საგნების გაზომვა ფულად ერთეულებში, ღირებულების დადგენა.
ფულადი საშუალებები	ფული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.
ფულადი ფასი	ფულით შეფასებული ღირებულება.
ყოველდღიური	ისეთი, როგორიც ყოველდღე ხდება, ხშირია.
შრომითი საზომი	ადამიანის შრომის გაზომვის საშუალება. მაგ., მონიტორინგი თანამშრომელთა სამსახურში დაგვიანების გამო.
შრომის ღირებულება	შრომის მიხედვით დადგენილი ფასი.
წმინდა ოქრო	სუფთა ოქრო.

ზმნები							
№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აკვირდება	აკვირდებოდა	დააკვირდა	დააკვირდება	დააკვირდეს	დაჰკვირვებია	დაკვირვება
2	ანგარიშობს	ანგარიშობდა	[და]იანგარიშა	[და]იანგარიშებს	[და]იანგარიშოს	[და]უანგარიშებია	[და]ანგარიშება
3	აწესრიგებს	აწესრიგებდა	მოაწესრიგა	მოაწესრიგებს	მოაწესრიგოს	მოუწესრიგებია	მოწესრიგება
4	აჯამებს	აჯამებდა	შეაჯამა	შეაჯამებს	შეაჯამოს	შეუჯამებია	შეჯამება
5	ვითარდება	ვითარდებოდა	განვითარდა	განვითარდება	განვითარდეს	განვითარებულა	განვითარება
6	იზრდება	იზრდებოდა	გაიზარდა	გაიზრდება	გაიზარდოს	გაზრდილა	გაზრდა
7	იცავს	იცავდა	დაიცვა	დაიცავს	დაიცვას	დაუცავს	დაცვა
8	იცვლება	იცვლებოდა	გადაიცვალა	გადაიცვლება	გადაიცვალოს	გადაცვლილა	გადაცვლა
9	იცვლება	იცვლებოდა	შეიცვალა	შეიცვლება	შეიცვალოს	შეცვლილა	შეცვლა
10	[მი]უთითებს	[მი]უთითებდა	მიუთითა	მიუთითებს	მიუთითოს	მიუთითებია	მიუთითება
11	[მო]იპოვებს	[მო]იპოვებდა	მოიპოვა	მოიპოვებს	მოიპოვოს	მოუპოვებია	მოპოვება
12	მცირდება	მცირდებოდა	შემცირდა	შემცირდება	შემცირდეს	შემცირებულა	შემცირება
13	ფასდება	ფასდებოდა	შეფასდა	შეფასდება	შეფასდეს	შეფასებულა	შეფასება
14	[ფულად] იქცევა	[ფულად] იქცეოდა	[ფულად] გადაიქცა	[ფულად] გადაიქცევა	[ფულად] გადაიქცეს	[ფულად] გადაქცეულა	[ფულად] გადაქცევა

II ტაპი სამეურნეო აღრიცხვა და მისი საფორმები

I ნაწილი ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის გამოსახული ილუსტრაციებზე?
2. რა არის საერთო ამ ილუსტრაციებს შორის?

1.2. ტექსტი:

სამეურნეო აღრიცხვა სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: ოპერატიულ-ტექნიკური, **სტატისტიკური** და ბუღალტრული აღრიცხვა.

ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა - ეს არის საშუალება, რომლის გამოყენებითაც აკვირდებიან სამეურნეო პროცესებს, ადგილზევე **ზედამხედველობენ** მოქმედების შესრულებას, ამიტომ ეწოდება მას **ოპერატიული**.

ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესში გამოიყენება. მისი მიზანია სწრაფად მიაწოდოს აღრიცხული და მოპოვებული ინფორმაცია, მაგალითად, **გემდგომ პირს**, რომლისგანაც დავალება აქვს მიღებული. ასეთი ინფორმაცია ხშირად ზეპირია და **დოკუმენტურად გაუფორმებელი**. ამიტომ ოპერატიულობისათვის დღეს ძირითადად ისეთი ტექნიკური საშუალებები გამოიყენება, როგორებიცაა მობილური ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა. მაგალითად, თუ მშენებლობის უფროსმა აღრიცხვის დროს დააფიქსირა, რომ მას შემდეგი კვირისათვის აღარ ეყოფა სამშენებლო ბლოკი, ის მალევე უკავშირდება **საკონტაქტო პირს** და გადასცემს ინფორმაციას. ამის შემდეგ **კომპანია** იწყებს **ზრუნვას** იმისათვის, რომ სწრაფადვე **შეისყიდოს** ბლოკი და მშენებლობის პროცესი არ გააჩეროს.

ამრიგად, ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა ის აუცილებელი მოქმედებაა, რომელიც საჭიროა ნებისმიერი ორგანიზაციის სწორი მართვისთვის.

- ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის დროს აკვირდებიან სამეურნეო პროცესებს.
- ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის მიზანი ინფორმაციის სწრაფი მიწოდებაა.

1.3. ლექსიკა:

სტატისტიკური	რაოდენობრივად დათვლილი, აღრიცხული.
ზედამხედველობა	აკვირდება, მონაცემებს აგროვებს, მონიტორინგს უწევს.
ოპერატიული	აქ: რომელიმე ამოცანის სწრაფი გადაწყვეტის უნარის მქონე.
ზემდგომი პირი	იერარქიულად, თანამდებობრივად ზემოთ მდგომი პირი.
დოკუმენტურად გაუფორმებელი	ის, რაც არ არის გაფორმებული, არ აქვს დოკუმენტის სახე.
საკონტაქტო პირი	პირი, რომელთანაც კონტაქტი, ანუ ურთიერთობა, აქვთ.
კომპანია	მსხვილი ორგანიზაცია, ამხანაგობა.
ზრუნვა	მოვლა, პატრონობა.
შესყიდვა	ორგანიზაციის მიერ რაიმეს შეძენა ოფიციალურად, დოკუმენტურად.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რამდენი ნაწილისაგან შედგება სამეურნეო აღრიცხვა? ჩამოთვალეთ ისინი.
2. სად ზედამხედველობენ ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის შემთხვევაში?
3. რომელ ბიზნესში გამოიყენება ხშირად ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა?
4. რა არის ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის მიზანი?
5. რა ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ ოპერატიული ინფორმაციის გადასაცემად?
6. რაში ეხმარება ორგანიზაციებს ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა?

სინონიმები	ანტონიმები
გამოყენება - მოხმარება ზედამხედველობა - კონტროლი დრო - ხანი ეწოდება - ჰქვია სწრაფად - ჩქარა - მალე მართვა - მენეჯმენტი	აღრიცხული - აღურიცხავი ზემდგომი - ხელქვეითი ზეპირი - წერილობითი უფროსი - უმცროსი იწყებს - ამთავრებს



რა დროა? მაგ., - რა დროა? - სამი საათი იქნება. - რამდენ ხანში იქნები სამინისტროში? - ორ საათში.	რამდენ ხანში იქნები?
სწრაფად იარე! მაგ., - შენ სწრაფად იარე და მეც მალე მოვალ. - არ დააგვიანო, სახლში მალე მოდი!	მალე მოდი!
ოჯახის მართვა მაგ., ოჯახის მართვა ჩემი მშობლების საქმეა. ჩვენი ორგანიზაციის მენეჯმენტი ბევრად გაუმჯობესდა.	ორგანიზაციის მენეჯმენტი



დაიმასხოვრეთ!

მეურნე → სამეურნეო [საქმიანობა]
მეწარმე → სამეწარმეო [საქმიანობა]

1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნიკო: ჩვენი ოფისიდან დამირეკეს, დღეს 100 მეტრით მეტი ასფალტი უნდა დავავოთ. ხვალ კვირა დღეა და ყველა ვისვენებთ.

გოგი: უი, რას ამბობთ, ბ-ნო ნიკო! მაგას ხუთი მანქანა ასფალტის დამატება მაინც დასჭირდება.

ნიკო: ეგ მეც ვიცი, ახლავე დავრეკავ შესყიდვების განყოფილებაში და მასალას გამოვაწერინებ.

გოგი: მანქანებმა რომ დააგვიანოს?!

ნიკო: სანერვიულო არაფერია, ჯერ ახლა გათენდა. პირობას გაძლევ, მასალა მალე გექნებათ.

გოგი: მაშინ ყველაფერს მოვასწრებთ. ტექნიკაცა და ბიჭებიც ადგილზე არიან.

ნიკო: თუ დაგვაკლდება, კიდევ დავამატებინებ.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას გედამხედველობდა ნიკო?
- როგორ მოქმედებდა ნიკო მუშაობის პროცესში?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ხიდის მშენებლობაზე“

ვინ?	არავინ	ვერავინ	ნურავინ
რა?	არაფერი	ვერაფერი	ნურაფერი

მაგ., - ხელი არავინ შემიშალოს, ისედაც ბევრი საქმე მაქვს!
- ისე ბნელა, ვერაფერს ვხედავ.
- ტელეფონით ვლაპარაკობდი და არაფერი დამინახავს.
- ნურავის შემოუშვებთ ჩემს კაბინეტში!

ისწავლეთ!

სახ.	არავინ	არაფერი
მოთხ.	არავინ	არაფერმა
მიც.	არავის	არაფერს
ნათ.	არავის	არაფრის
მოქმ.	----	არაფრით
ვით.	----	არაფრად
წოდ.	----	----

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ოპერატიული მოქმედება
გეპირი ინფორმაცია
ტექნიკური საშუალებები

სამშენებლო მასალა
მშენებლობის უფროსი
სწორი მართვა

1. თვითმფრინავში ნუ ისარგებლებთ!
2. გადაწყვიტა, ორი მუშა კიდევ მიეღო.
3. ქურდის დაჭერა პოლიციელებისაგან მოითხოვდა.
4. საწარმოს დიდი გამოცდილება სჭირდება.
5. ეს ცუდი ხარისხის რკინაა, ამიტომ არ გამოგვადგება.
6. შეიძლება დაგვაფიქცდეს, ამიტომ ყველაფერი ჩავწერთ!

1.7. მოცემული გზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	მიაწოდა	აწოდებს	მიაწოდებს
2.	დაუკავშირდა	უკავშირდება	დაუკავშირდება
3.	გადასცა	გადასცემს	გადასცემს
4.	გააჩერა	აჩერებს	გააჩერებს



1.8. მოსმენა

დიალოგი: მაღალსართულიანი სახლის მშენებლობაზე

ამასობაში - ამ დროში

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	კოტეს სამშენებლო მასალების <u>აღწერა</u> დაავალეს.		
2.	კოტემ ტანსაცმლის გამოსაცვლელად ნახევარი საათი მოითხოვა.		
3.	ლალის დავალებით კოტეს აღრიცხვის ჟურნალი თან უნდა ჰქონოდა.		
4.	მუშებს სამშენებლო ქვიშა არ ჰყოფნიდათ.		
5.	მუშები ლალის ელოდებოდნენ და საქმეს არ იწყებდნენ.		
6.	კოტეს საქმის ერთი ნაწილი ტელეფონით უნდა მოეგვარებინა.		



აღ- და **ა-** მიუთითებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ.

რას იზამს?

აღწერს - ჩამოთვლის, სიას შეადგენს

აღადგენს - თავიდან გააკეთებს

აღზრდის - გაზრდის, კარგ ქცევას ასწავლის

აღნიშნავს - რაიმეს იტყვის ან ჩაინიშნავს [მაგ., რეგულში]

აღრიცხავს - იანგარიშებს, რაოდენობას დაითვლის

აღძრავს - საქმეს წამოიწყებს, საჩივარს შეიტანს სასამართლოში

რა?

→ აღწერა

→ აღდგენა

→ აღზრდა

→ აღნიშვნა

→ აღრიცხვა

→ აღძვრა


1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის გამო ჩქარობდა ლალი?
2. ვისი დახმარებით უნდა აღერიცხა კოტეს სამშენებლო მასალები?
3. რომელი მასალის რაოდენობის შემოწმებას აპირებდა კოტე თავდაპირველად?
4. რა მიზანი ჰქონდათ ლალისა და კოტეს, როცა ისინი ოპერატიულად მოქმედებდნენ?
5. რა ტექნიკური საშუალება უნდა გამოეყენებინათ თანამშრომლებს ოპერატიული მოქმედების დროს?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.



1.13. საპრეზენტაციო თემა

სინქარეში ადამიანი ხშირად უშვებს შეცდომას

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **ოპერატიულ მოქმედებას დადებითი შედეგი მოაქვს**



1.15. დაიმასხოვრეთ!

„ფულზე ნუ ფიქრობთ, ოღონდ საქმეს კარგი საფუძველი დაუდეთ და ფული თვითონ გიპოვით“ /ილია ჭავჭავაძე/.

„იჩქარე შენი საქმის კეთება, რათა საქმეებმა არ აგაჩქარონ შენ“
/ბენუამენ ფრანკლინი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის ილიასათვის უფრო მნიშვნელოვანი - ფული თუ შრომა, ანუ საქმის კეთება, და რატომ?
2. რის გამო უნდა იჩქაროს ადამიანი საქმის კეთება?



1.16. ეს საინტერესოა!

ეკონომიკური ინფორმაციის გადასაცემად აუცილებელი იყო სპეციალური ფორმის გამოგონება. ადამიანებს სურდათ, რომ ობიექტურად აღერიცხათ შედეგები. მაგალითად, ძველი ეგვიპტელები საგნებს ათებით ითვლიდნენ, ხოლო შუმერები - სამოცით. დაანგარიშებისას მნიშვნელოვანი იყო ფერიც. არქეოლოგებმა შეისწავლეს მდ. ამპონის ნაპირას კლდეზე აღმოჩენილი გამოსახულებები. ისინი 6 ათასი წლის წინ არის შესრულებული. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აქაური მოსახლეობა სხვადასხვა ფერით მხოლოდ შემოსავლებს აფიქსირებდა, ანუ იმას, რასაც მოიპოვებდა. გასავალი (ანუ ის, რასაც ჭამდნენ) მხოლოდ ერთი ფერით აღინიშნებოდა.

უპასუხეთ კითხვებს:


- რა მიზნით გამოიგონეს ძველმა ადამიანებმა აღრიცხვა?
- როგორ ითვლიდნენ საგნებს ეგვიპტელები?
- რას აფიქსირებდნენ ამპონელები სხვადასხვა ფერით?

რას იზამს? აღრიცხავს

რა? აღრიცხვა

მაგ., ბუნებრივი აღრიცხვა სამეურნეო პროცესის ნაწილია.

II ნაწილი სტატისტიკური აღრიცხვა



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ მარცხენა ილუსტრაციაზე?
2. თქვენი აზრით, რომელი ქვეყნის მონაცემებს ასახავს ის?

2.2. ტექსტი:

სტატისტიკური აღრიცხვა არის საშუალება, რომლის დროსაც რაოდენობრივად ითვლიან და აკვირდებიან საგნებს, მოვლენებსა და პროცესებს. ასეთი აღრიცხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენება. ამ დროს ამოწმებენ როგორც საგანთა რაოდენობას, ისე – მის **ხარისხს**. უდიდესი მნიშვნელობა აქვს დათვლის შედეგს, ანუ **სტატისტიკურ მაჩვენებელს**, რომელიც კონკრეტულ ობიექტზე დაკვირვებით უნდა მიიღონ.

მაგალითად, თუ სტატისტიკური აღრიცხვის ობიექტი არის ყველის საწარმო, მაშინ აქ ინიშნავენ, რამდენ კილოგრამ ყველს ამზადებენ ყოველდღე, რამდენია დღიური პროდუქცია და სხვ. რაოდენობისა და ხარისხის კონტროლი მიუთითებს ორგანიზაციაში არსებულ საერთო **ტენდენციებზე**. სტატისტიკური აღრიცხვა ეხმარება საწარმოს, გამოთვალოს, თუ რა რაოდენობის **მოგება** ექნება წლის ბოლოს.

სტატისტიკური აღრიცხვა ფართოდ გამოიყენება ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლადაც. სწორედ მისი დახმარებით ირკვევა, იზრდება თუ არა მოსახლეობის რაოდენობა, ან რა მიმართულებით მიდის **დემოკრატიული** პროცესები. მაგალითად, **საჯარო რეესტრის** სტატისტიკური აღრიცხვის შედეგად გაირკვა, რომ 2010 წელს 6 თვის განმავლობაში საქართველოში 25.133 **ახალშობილი** დაიბადა.

ამრიგად, სტატისტიკური აღწერა აღრიცხვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეა.

- სტატისტიკური აღრიცხვის დროს საგნებს რაოდენობრივად ითვლიან.
- სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაკვირვება საერთო ტენდენციებს ასახავს.

2.3. ლექსიკა:

სტატისტიკური აღრიცხვა	რაოდენობრივი ცვლილებების აღწერა.
ხარისხი	რაიმეს შესრულების დონე, სტანდარტთან შესაბამისობა.

სტატისტიკური მაჩვენებელი	რაოდენობრივი დათვლის შედეგი, რიცხვი.
დღიური პროდუქცია	პროდუქცია, რომელსაც ერთ დღეში ამზადებენ.
ტენდენცია	რაიმეს განვითარების მიმართულება, მაგ., ეკონომიკური ზრდისა.
მოგება	მდგომარეობა, როცა შემოსავალი მეტია, ვიდრე - გასავალი.
საჯარო რეესტრი	სახელმწიფო დაწესებულება, სადაც რეგისტრირდებიან მოქალაქეები, აფიქსირებენ საკუთარ ქონებას და სხვ.
ახალშობილი	ახლად დაბადებული [ბავშვი].

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რას აკეთებენ სტატისტიკური აღრიცხვის დროს?
2. რაში უწყობს ხელს მმართველობით ორგანოებს სტატისტიკური ინფორმაცია?
3. როგორ მიიღება სტატისტიკური მაჩვენებელი?
4. რა შეიძლება გამოითვალოს საწარმოში სტატისტიკური აღრიცხვით?

სინონიმები	ანტონიმები
მოპოვებული - მოძიებული ამოწმებენ - აკონტროლებენ შედეგი - რეზულტატი ვითარება - მდგომარეობა დაიბადა - გაჩნდა სახე - აქ: სახეობა, ნაწილი	უდიდესი - უმცირესი კონკრეტული - ზოგადი ფართოდ - ვიწროდ ზრდა - კლება



დაიბადა	გაჩნდა
მაგ., - როგორ გაჩნდა ეს დოკუმენტი ჩემს კაბინეტში? - ვინ დაიბადა სექტემბერში?	

ა.

რა?	როგორი?
დემოკრატია	დემოკრატიული
რელიგია	რელიგიური

ბ.

როცა აჯამებთ აზრს ან ტექსტს, გამოიყენეთ სიტყვები **ამრიგად ან **მაშასადამე**. წინადადებაში ისინი მძიმეაბით გამოყავით.**

მაგ., ამრიგად, სტატისტიკური აღწერა სამეურნეო აღრიცხვის ერთ-ერთი სახეა.
მაშასადამე, საქართველოში უმუშევრობა მცირდება.

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

კაკო: შენს საქმეს უკვე მორჩი, გივი?! ამ თაროებზე დღევანდელი პროდუქცია დევს და რაოდენობაა დასათვლელი. უნდა დამეხმარო!

გივი: მაგისტრის შემოვდი საწყობში.

კაკო: ხომ იცი, ყოველდღიურად თუ არ ჩავეწერთ, ბოლოს რაღაც მაინც აგვერევა.

გივი: მოდი, შენ ჩაწერე და მე დავთვლი. თუ დავიღლები, დათვლა შენ გააგრძელე.

კაკო: მიდი, დაიწყე ...

.....

გივი: დაიანგარიშე? რამდენი თავი ყველი გამოვიდა?!

კაკო: ნახევარკილოიანი 234 ცალია, ერთკილოიანი - 317.

გივი: არა უშავს, კარგად გვიმუშავია!

უპასუხეთ კითხვებს:

- რას ითვლიდნენ საწარმოს თანამშრომლები?
- როგორი იყო დღიური რაოდენობრივი მაჩვენებლები?
- თქვენი აზრით, რისთვის აღრიცხავდნენ თანამშრომლები წარმოებული პროდუქციის სტატისტიკურ მონაცემებს?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ქათმების ფერმაში“

სახ.	შენი	საქმე
მოთხრ.	შენმა	საქმემ
მიც.	შენს	საქმეს
და სხვ.		
მაგ., - აბა, ჩვენს საქმეს სხვა ვინ გააკეთებს?		
თქვენმა პროდუქციამ სერტიფიკატი მიიღო.		

2.6. წაიკითხეთ ტექსტი:

თამარს ერთ კვირაში საკუთარი სოფლის მოსახლეობა უნდა შეემოწმებინა და ჩაეწერა, რამდენ ოჯახს არ ჰყოფნიდა თანხა იმისათვის, რომ საკვები პროდუქტები და წამლები შეეძინა. ის სოფელში წავიდა, რათა აღწერის ანგარიში კვირის ბოლოს სამსახურში ჩამოეტანა. სამინისტროს ახალი აღწერის მონაცემები სჭირდებოდა, რადგან პროდუქტებზე ფასების მატებამ ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა გააუარესა.

ანგარიში - აქ: დაანგარიშების შედეგი.

გააუარესა - უარესი, უფრო ცუდი გახდა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა უნდა ჩაეწერა თამარს?
- როგორ უნდა აღერიცხა მას მოსახლეობა - ოპერატიულ-ტექნიკურად თუ სტატისტიკურად?

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	ჩაინიშნა	ინიშნავს	ჩაინიშნავს
2.	დაამზადა	ამზადებს	დაამზადებს
3.	გამოითვალა	ითვლება	გამოითვლება
4.	გაირკვა	ირკვევა	გაირკვევა

[მან] რა ქნა? [მათ] რა ქნეს?
[ის] წავიდა [ისინი] წავიდნენ



დაიმასხოვრეთ!

მინისტრი თავის კაბინეტში დაბრუნდა.
ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე სათამაშო მოედნიდან გავიდა.



2.8. მოსმენა

დიალოგი: სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში

ლამეების გათენება მოგვიწევს - იგივეა, რაც: ლამეების გათენება დაგვჭირდება.
შეჯამდეს - შეიკრიბოს, ნაწილები გაერთიანდეს.

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	სანდროს ქუთაისიდან მიღებული აღრიცხვის მასალების გაცნობა დაავალეს.		
2.	დოკუმენტების შესწავლას ორი თვე სჭირდებოდა.		
3.	უმუშევრობის სტატისტიკის შედეგები სანდროს უნდა გამოეთვალა.		
4.	საქმე ცოტა იყო, ამიტომ თანამშრომლებს დიდი დრო ჰქონდათ.		
5.	ბათუმიდან მიღებული მასალა თინასთვის უნდა მიეცათ.		
6.	სანდრო განყოფილების უფროსთან დახმარების თხოვნით წავიდა.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

-
-
-

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა სამუშაო დააგაღეს სანდროს?
2. რა გაუკვირდა თინას, როცა დოკუმენტები დაინახა?
3. რა დრო დასჭირდებოდა ქუთაისიდან მიღებული დოკუმენტების შესწავლას?
4. რა ურჩია თინამ სანდროს?
5. რა მოუწევდათ თანამშრომლებს ბევრი საქმის გამო?
6. რა უნდა ეთხოვა სანდროს განყოფილების უფროსისთვის?

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.

გარდა გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმეს გამორიცხავთ.

მაგ., ამ საბუთის გარდა სხვა დოკუმენტიც გჭირდებათ.

ნაცვლად გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმე უნდა შეიცვალოს (იზივება, რაც: მაბივრად).

მაგ., ამ საბუთის ნაცვლად სხვა დოკუმენტი უნდა მოგეტანათ.

ბ.

თუ, მაშინ

მაშინ, თუ

2.13. საპრეზენტაციო თემა

სტატისტიკური აღწერის მნიშვნელობა სანარმოში

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - გაინტერესებთ თუ არა ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკა საქართველოში და რატომ?

ეთნიკური უმცირესობა - ქვეყანაში მცხოვრები მცირე ჯგუფი, რომელიც განსხვავებულია ენით, ეროვნებით, ზოგჯერ რელიგიითაც.



2.15. დაიმახსოვრეთ!

„ყველაფერი რიცხვია“ /პითაგორა/.

„ბუნება მხოლოდ მათემატიკის ენაზე გვესაუბრება“ /გალილეო გალილეი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა იგულისხმება გამოთქმაში: „ცველაფერი რიცხვია“?
2. თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს ბუნებას მათემატიკასთან?



2.16.ეს საინტერესოა!

უძველეს საქართველოშიც ანგარიშობდნენ. არითმეტიკული რიცხვები არ არსებობდა, ამიტომ ამ ფუნქციას ანბანური ნიშნები ასრულებდა. მაგალითად, ა'ნი ანბანის პირველი ასოც იყო და ერთსაც ნიშნავდა, ხოლო ბ'ანი - ორს. როგორი თვლის სისტემა ჰქონდათ უძველეს ქართველებს? ის ოცობითი იყო. რიცხვი „ასი“ ხუთი ნაწილისაგან შედგებოდა. ორმოცი ნიშნავდა ორჯერ ოცს, სამოცი - სამჯერ ოცს, ხოლო ოთხმოცი - ოთხჯერ ოცს; თუმცა მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ქართული თვლის სისტემა ათობით-ოცობითია, რადგან ოცის შიგნით არითმეტიკული რიცხვები 10-ს ეყრდნობა, მაგალითად, თორმეტი ნიშნავს „ათზე ორით მეტს“ (ათ+ორ+მეტი).

უპასუხეთ კითხვებს:

- გარდა ბგერებისა, რას გამოხატავდა ქართული ანბანური ნიშნები?
- რამდენი ნაწილისაგან შედგებოდა ასი?
- რას ნიშნავს რიცხვები - ორმოცი, სამოცი და ოთხმოცი?

III ნაწილი ბუღალტრული აღრიცხვა



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. თქვენი აზრით, რა პროფესიისაა მარცხენა ილუსტრაციაზე გამოსახული ადამიანი?
3. რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ადამიანსა და რიცხვებს შორის?

3.2. ტექსტი:

ბუღალტრული აღრიცხვა - ეს ის ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის დროსაც აკვირდებიან ორგანიზაციის ან საწარმოს სამეურნეო საქმიანობას, აგროვებენ და ინიშნავენ ინფორმაციას **ფინანსური შედეგების** შესახებ, რათა ფულადი ცვლილებები გადასცენ **მაკონტროლებელ** პირებსა და ორგანოებს.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია, ფულად ერთეულებში (ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში) დაითვალოს ქონება, **ვალდებულებები** და ორგანიზაციის კაპიტალი. დაკვირვების პროცესში სამეურნეო საქმიანობა სრულად, **უწყვეტად** და დოკუმენტურად უნდა აისახოს. ასეთი დაკვირვების შედეგად კარგად ჩანს, თუ რა **ფულადი რეზერვები** აქვს ორგანიზაციას ან საწარმოს, რამდენად დაცულია **ფინანსური მდგრადობა**.

ბუღალტრული აღრიცხვა აკონტროლებს ორგანიზაციის ქონების რაოდენობას, ამ ქონების გადაადგილებას, მაგალითად, რაიმეს შეძენას ან გაყიდვას; აღრიცხავს იმასაც, თუ რამდენად სწორად სრულდება ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს აქვს. მაგალითად, **კანონით დადგენილი** ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომ საწარმომ არ დამალოს თავისი **შემოსავალი**.

ბუღალტრული აღწერის შესრულება არ შეუძლია ჩვეულებრივ მოქალაქეს, ანუ პირს, რომელსაც არ **უკავია** შესაბამისი ადგილი სამსახურში, რადგან ასეთი ანგარიში შეიძლება **კონფიდენციალური** იყოს. საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა ძირითადად მთავარ ბუღალტერსა და ბუღალტერს ევალება.

- ბუღალტრული აღრიცხვის შედეგად კარგად ჩანს საწარმოს ფულადი რეზერვები და ფინანსური მდგრადობა.
- საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა ძირითადად მთავარ ბუღალტერსა და ბუღალტერს ევალება.

3.3. ლექსიკა:

ბუღალტრული აღრიცხვა	საფინანსო აღწერა, დამუშავება, გადაცემა.
ფინანსური შედეგი	ფულად ერთეულებში მიღებული დაანგარიშების პასუხი, რეზულტატი.
მაკონტროლებელი	ის, ვისაც კონტროლი, ზედამხედველობა ევალება.
ვალდებულება	რაიმე სახის მოქმედების შესრულების აუცილებლობა.
უწყვეტად	შეწყვეტის გარეშე, შეუჩერებლად.
ფულადი რეზერვები	ფულად ერთეულში გამოხატული მარაგი, ანუ დაგროვილი თანხა.
ფინანსური მდგრადობა	ფულადი მდგომარეობის შენარჩუნება, სიმყარე.
კანონით დადგენილი	კანონის მიხედვით განსაზღვრული, დაწესებული.
შემოსავალი	საქმიანობის შედეგად მიღებული ფული ან მატერიალური ნივთი.
იკავებს [თანამდებობას]	თანამდებობრივ მოვალეობას ასრულებს.
კონფიდენციალური	ის, რისი გახმაურებაც არ შეიძლება, საიდუმლოა.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორ ინფორმაციას აგროვებენ ბუღალტრული აღრიცხვის დროს?
2. რა არის ბუღალტრული აღრიცხვის მიზანი?
3. როგორია ბუღალტრული აღრიცხვის პროცესი?
4. მაგალითად, როგორია ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც კანონის მიხედვით უნდა შესრულდეს?
5. ვის შეუძლია ბუღალტრული აღრიცხვის შესრულება?

სინონიმები	ანტონიმები
საშუალება - მექანიზმი აგროვებს - კრებს გადასცენ - მიაწოდონ შესაბამისი - სათანადო კონფიდენციალური - საიდუმლო ევალება - ეკისრება	უწყვეტად - წყვეტილად დაცული - დაუცველი მდგრადი - არამდგრადი დამალოს - გამოაჩინოს



აგროვებს	კრებს
მაგ., ეს ბიჭი სათამაშო მანქანებს აგროვებს.	
ამ დარბაზში თანამშრომლები უნდა შეკრიბონ.	
კონფიდენციალური დოკუმენტი	ჩემი საიდუმლო
მაგ., კონფიდენციალური დოკუმენტები ჩემს სეიფშია.	
ნანამაც გაიგო ჩემი საიდუმლო.	



დაიმახსოვრეთ!

ქალაქი	→	მოქალაქე
ვინც სწავლობს	→	მოსწავლე

3.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნინო: ბ-ნო დავით, ბოლო მონაცემებით, როგორია ჩვენი ფულადი რეზერვი ლარში, ზეპირად ხომ არ გახსოვთ?

დავითი: დაახლოებით ოთხი მილიონი ლარი უნდა იყოს, ახლავე ვნახავ.

ნინო: მაშინ დოლარის ზუსტ სარეზერვო რაოდენობას მე გადავამოწმებ.

დავითი: რა იყო?! რა ხდება?!

ნინო: რა და... ეროვნული ბანკის მონაცემებით ლარის კურსი ძალიან ეცემა და სჯობს მთელი თანხა დოლარში გადავიტანოთ.

დავითი: თუ ასეა, კონვერტირება მოგვიწევს. ახლავე დავრეკავ გენერალურ დირექტორთან და ყველაფერს ვეტყვი.

ნინო: კარგი, თქვენს პასუხს დაველოდები!

უპასუხეთ კითხვებს:

- რა აინტერესებდა ნინოს?
- რას ურჩია ნინომ ბ-ნ დავითს, როცა ლარის კურსის დაცემის შესახებ გაიგო?
- რატომ უნდა დაერეკა ბ-ნ დავითს გენერალურ დირექტორთან?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „მთავარ ბუღალტერთან“

[ლარის] კურსის დაცემა - [ლარის] გაუფასურება, ანუ ფასის დაწევა სხვა ვალუტასთან შედარებით.

კონვერტირება - იგივეა, რაც გადაცვლა.

გაიხსენეთ!

ლარში კონვერტირება დაგვჭირდება.

ხვალ სხდომაზე მივდივარ და ცოტა დამაგვიანდება.

3.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით გზნები:

დაცემა	ასახვა	შესრულება
დაცვა	გადაცემა	გადამოწმება

1. ბუღალტრული აღრიცხვის შედეგები ფინანსურ პოლიციას!
2. ამ თვის გეგმა აუცილებლად, ამიტომ დამატებით ხელფასსაც გამოვწერთ.
3. საქონლის გადაადგილება უწყვეტად უნდა, თორემ ზუსტად ვერ ვიანგარიშებ.
4. ჩვენს კომპანიაში ფინანსური მდგრალობა
5. მაგ ინფორმაციას ეროვნულ ბანკში
6. დღეს ლარის კურსი, ამიტომ თანხა დოლარში გადავიტანოთ!

3.7. მოცემული გზნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუჟინ	დღეს	ხვალ
1.	გადასცა	[გადა]სცემს	გადასცემს
2.	გადაადგილდა	[გადა]ადგილდება	გადაადგილდება
3.	დამალა	მაღავს	დამალავს
4.	დაევალა	ევალება	დაევალება



3.8. მოსმენა

დიალოგი: საკონსერვო ქარხნის ბუღალტერიაში

თავის ჭკუაზე ატრიალებდა - როგორც თვითონ უნდოდა, ისე იქცეოდა.
ცუდი დღე გაუთენდა - არასასიამოვნო დღე ელის.
გპირდები - პირობას ვდებ.

3.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	თინას ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები გოგისთვის უნდა მიეცა.		
2.	ფინანსური მენეჯერი დილიდანვე გაბრაზებული იყო.		
3.	თინას ეგონა, რომ მენეჯერს ფინანსური შედეგები არ მოსწონდა.		
4.	გოგი დირექტორთან შესვლას აპირებდა.		
5.	თინას თქმით, საკონსერვო ქარხანამ იმ თვეში მოგება ნახა.		
6.	ფინანსურ მენეჯერს ნედლეულის შესაძენად თანხა დაენანა.		

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა შეახსენა თინამ გოგის?
2. რა შეამჩნია გოგიმ, როცა ფინანსურ მენეჯერთან შევიდა?
3. გოგის ინფორმაციით, რას აპირებდა ბ-ნი რეზო?
4. თინას აზრით, როგორ მოქმედებდა ფინანსური მენეჯერი?
5. რა არ დაფიქსირდა ქარხანაში ერთი თვის განმავლობაში?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.



დაიმეხსოვრეთ!

ჩემ წინააღმდეგ	ჩვენ წინააღმდეგ
შენ წინააღმდეგ	თქვენ წინააღმდეგ
[ი]მის წინააღმდეგ	[ი]მათ წინააღმდეგ
მაგრამ: დირექტორის წინააღმდეგ...	

ბ.

ხელს არ დააფარებს - [მის] დანაშაულს არ დამალავს, არ დაიცავს.



ხელი დააფარა - ვიღაცის დანაშაული დამალა, დაიცვა.
 ხელი დაადო - დააბრალა რაიმე, დამნაშავედ გამოაცხადა.
 ხელი მოჰკიდა - საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.
 ხელი დაიბანა - საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

3.13. საპრეზენტაციო თემა

ბუღალტერიის მნიშვნელობა წარმოებაში

3.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - როგორი მთავარი ბუღალტერი იქნებოდით და რას არ აპატიებდით თანამშრომელს?



3.15. დაიმეხსოვრეთ!

„ამ სამყაროში ადამიანს ყველაზე მეტად უკვე დროის დაკარგვის ეშინია“ /ფრიდრიხ ნიცშე/.
 „ცივილიზაციის მიზანია, ადამიანს აბროვნება და მსჯელობა ასწავლოს“ /თომას ედისონი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რატომ ეშინია თანამედროვე ადამიანს დროის დაკარგვისა?
2. რა კავშირი აქვს აბროვნებასა და მსჯელობის უნარს ცივილიზაციასთან?

ცივილიზაცია - პროგრესული ქვეყნების კულტურა, განათლება.



3.16. ეს საინტერესოა!

სიტყვა „ბუღალტერი“ ორი ფუძისაგან შედგება: „ბუხ“ (Buch), რომელიც გერმანულად „წიგნს“ ნიშნავს, და „ჰალტერ“ (Halter), რომელიც ამავე ენაზე „დამჭერს“ გულისხმობს. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა „წიგნის დამჭერი“. ამრიგად, ძველად ბუღალტერი იყო ის, ვისაც წიგნი ეჭირა, შიგნით იხედებოდა და მას სახელმძღვანელოდ იყენებდა. გერმანული ენიდან ეს სიტყვა მოგვიანებით დანარჩენ ენებშიც გავრცელდა და მნიშვნელობაც შეიცვალა.

თანამედროვე გააზრებით, ბუღალტერი არის სპეციალისტი, რომელსაც ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში სპეციალური განათლება აქვს მიღებული.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას ნიშნავს გერმანულ ენაზე სიტყვა „ბუღალტერი“?
- ვის უწოდებდნენ ძველად ბუღალტერს?
- როგორი განათლება უნდა ჰქონდეს ბუღალტერს?

ლექსიკა:

ახალშობილი	ახლად დაბადებული [ბავშვი].
ბუღალტრული აღრიცხვა	საფინანსო აღწერა, დამუშავება, გადაცემა.
დოკუმენტურად გაუფორმებელი	ის, რაც არ არის გაფორმებული, არ აქვს დოკუმენტის სახე.
დღიური პროდუქცია	პროდუქცია, რომელსაც ერთ დღეში ამზადებენ.
ვალდებულება	რაიმე სახის მოქმედების შესრულების აუცილებლობა.
ზედამხედველობა	აკვირდება, მონაცემებს აგროვებს, მონიტორინგს უწევს.
ზემდგომი პირი	იერარქიულად, თანამდებობრივად ზემოთ მდგომი პირი.
ზრუნვა	მოვლა, პატრონობა.
იკავებს თანამდებობას	თანამდებობრივ მოვალეობას ასრულებს.
კანონით დადგენილი	კანონის მიხედვით განსაზღვრული, დაწესებული.
კომპანია	მსხვილი ორგანიზაცია, ამხანაგობა.
კონფიდენციალური	ის, რისი გახმაურებაც არ შეიძლება, საიდუმლოა.
მაკონტროლებელი	ის, ვისაც კონტროლი, ზედამხედველობა ევალება.
მოგება	მდგომარეობა, როცა შემოსავალი მეტია, ვიდრე გასავალი.
ოპერატიული	აქ: რომელიმე ამოცანის სწრაფი გადაწყვეტის უნარის მქონე.
საკონტაქტო პირი	პირი, რომელთანაც კონტაქტი, ანუ ურთიერთობა, აქვთ.
საჯარო რეესტრი	სახელმწიფო დაწესებულება, სადაც რეგისტრირდებიან მოქალაქეები, აფიქსირებენ საკუთარ ქონებას და სხვ.
სტატისტიკური	რაოდენობრივად დათვლილი, აღრიცხული.
სტატისტიკური აღრიცხვა	რაოდენობრივი ცვლილებების აღწერა.

სტატისტიკური მაჩვენებელი	რაოდენობრივი დათვლის შედეგი, რიცხვი.
ტენდენცია	რაიმეს განვითარების მიმართულება, მაგ., ეკონომიკური ზრდისა.
უწყვეტად	შეწყვეტის გარეშე, შეუჩერებლად.
ფინანსური მდგრადობა	ფულადი მდგომარეობის შენარჩუნება, სიმყარე.
ფინანსური შედეგი	ფულად ერთეულებში მიღებული დაანგარიშების პასუხი, რეზულტატი.
ფულადი რეზერვები	ფულად ერთეულში გამოხატული მარაგი, ანუ დაგროვილი თანხა.
შემოსავალი	საქმიანობის შედეგად მიღებული ფული ან მატერიალური ნივთი.
შესყიდვა	ორგანიზაციის მიერ რაიმეს შეძენა ოფიციალურად, დოკუმენტურად.
ხარისხი	რაიმეს შესრულების დონე, სტანდარტთან შესაბამისობა.

ზმნები

№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ამზადებს	ამზადებდა	დაამზადა	დაამზადებს	დაამზადოს	დაუმზადებია	დამზადება
2	აჩერებს	აჩერებდა	გააჩერა	გააჩერებს	გააჩეროს	გაუჩერებია	გაჩერება
3	აწოდებს	აწოდებდა	მიაწოდა	მიაწოდებს	მიაწოდოს	მიუწოდებია	მიწოდება
4	[გადა] ადგილდება	[გადა] ადგილდებოდა	გადაადგილდა	გადაადგილდება	გადაადგილდეს	გადაადგილებულია	გადაადგილება
5	გადასცემს	გადასცემდა	გადასცა	გადასცემს	გადასცეს	გადაუცია	გადაცემა
6	ევალება	ევალებოდა	დაევალა	დაევალება	დაევალოს	დავალებია	დავალება
7	ითვლება	ითვლებოდა	გამოითვალა	გამოითვლება	გამოითვალოს	გამოთვლილა	გამოთვლა
8	ინიშნავს	ინიშნავდა	ჩაინიშნა	ჩაინიშნავს	ჩაინიშნოს	ჩაუნიშნავს	ჩაინიშვნა
9	ირკვევა	ირკვეოდა	გაირკვა	გაირკვევა	გაირკვეს	გარკვეულია	გარკვევა
10	მაღავს	მაღავდა	დამალა	დამალავს	დამალოს	დაუმალავს	დამალვა
11	უკავშირდება	უკავშირდებოდა	დაუკავშირდა	დაუკავშირდება	დაუკავშირდეს	დაჰკავშირებია	დაკავშირება

III თავი ბუღალტრული აღრიცხვის საგანი

III ნაწილი აქტივი



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა ფუნქცია აქვს ფულს?
3. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს პროდუქტზე გამოხატულ საფირმო ნიშანს?


1.2. ტექსტი:

ბუღალტრული აღრიცხვა აღწერს ყველა იმ **რესურსს**, რომლებიც აქვს კომპანიას, საწარმოს, ფირმას. რესურსებს სხვაგვარად **აქტივებს** უწოდებენ. ისინი ფულად ერთეულებში გამოისახება. აქტივებით აწარმოებენ პროდუქციას, რომელიც **მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი**, მოხმარებული პროდუქციის ნაცვლად კი საწარმოში ფულადი საშუალებები შემოდის. მაგალითად, თუ საკონსერვო ქარხანამ ერთი წლის განმავლობაში **გამოუშვა** ორი მილიონი ლარის საქონელი, გაყიდა ის **სამომხმარებლო ბაზარზე**, მას შემოუვა თანხა. თითოეული რესურსის გამოყენებამ საწარმოს **მოგება** უნდა მოუტანოს.

არსებობს **მატერიალური, არამატერიალური** და ფინანსური აქტივები:

- მატერიალურ აქტივებს ის ობიექტები მიეკუთვნება, რომლებსაც აქვს მატერიალური, ანუ საგნის, ფორმა. ესენია: შენობები, ინვენტარი, ტექნიკური საშუალებები და სხვ.
- არამატერიალურ აქტივს არა აქვს მატერიალური ფორმა, თუმცა ის წარმოების პროცესში მნიშვნელოვანია. არამატერიალური აქტივია, მაგალითად, **სავაჭრო ნიშანი**, რომლის გამოყენების უფლება სხვა საწარმოს არა აქვს. ამის ნიმუშებად შეიძლება დასახელდეს „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ სავაჭრო ნიშნები, რომლებიც კომპანიების პირადი საკუთრებაა.
- ფინანსურ აქტივებში ძირითადად იგულისხმება სხვადასხვა ვალუტა, ანუ ფული (ლარი, დოლარი, ევრო...).

განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებსაც. მოკლევადიან აქტივებს მობილურ აქტივებსაც უწოდებენ. მაგალითად, თუ მოგების მიზნით საწარმო **კუთვნილ თანხას** მცირე ვადით (რამდენიმე თვით) **დააბანდებს**, ეს მოკლევადიანი აქტივი იქნება. გრძელვადიან აქტივებს ძირითადად მიეკუთვნება: საწარმოს მიწები, შენობები, მანქანები, ინვენტარი და სხვ. სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ყველა რესურსი, ანუ აქტივი, ბუღალტრულ აღწერაში უნდა აისახოს.



- საწარმოში არსებულ რესურსებს სხვაგვარად აქტივებს უწოდებენ.
- თითოეული რესურსის გამოყენებამ საწარმოს მოგება უნდა მოუტანოს.
- თუ საწარმო თავის თანხას რამდენიმე თვით დააბანდებს, ეს მოკლევადიანი აქტივი იქნება

1.3. ლექსიკა:

რესურსი	აქ: ფულადი საშუალებები, რაიმეს მარაგი (მაგ., ტექნიკისა).
აქტივი	საკუთრება, რომელიც გამოიხატება მატერიალურ, არამატერიალურ და ფულად ერთეულებში.
მომხმარებელი	აქ: პირი, რომელიც რაიმეს შეიძენს და მოიხმარს.
განკუთვნილი	რასაც რაიმე დანიშნულება აქვს, მისთვისაა.
გამოუშვებს [გამოუშვა]	აქ: აწარმოებს.
სამომხმარებლო ბაზარი	ადგილი, სადაც პირი მოხმარებისათვის რაიმეს შეიძენს.
მოგება	აქ: მატერიალური სარგებელი.
მატერიალური	ისეთი, რასაც საგნის სახე აქვს; რაც ფიზიკურად არსებობს.
არამატერიალური	რასაც საგნის სახე არა აქვს, ფიზიკურად არ არსებობს.
სავაჭრო ნიშანი	საქონელი ან მომსახურება, რომელსაც ყიდვა-გაყიდვისთვის საკუთარი ნიშანი აქვს.
განასხვავებს	სხვა რაიმესგან გაარჩევს, სხვაობას იპოვის.
მოკლევადიანი	მცირე ვადის, ანუ ხანგრძლივობის, მქონე.
გრძელვადიანი	დიდი ვადის, ანუ ხანგრძლივობის, მქონე.
კუთვნილი თანხა	ფული, რომელიც ვინმეს ან რამეს ეკუთვნის, მისია.
დააბანდებს	აქ: ჩაღებს თანხას მოგების მიზნით.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რას უწოდებენ რესურსს სხვაგვარად?
2. რაში გამოიხატება აქტივები?
3. ვისთვისაა განკუთვნილი აქტივებით წარმოებული პროდუქცია?
4. როგორი სახის ფინანსური აქტივები არსებობს? ჩამოთვალეთ ისინი.
5. დაასახელეთ არამატერიალური აქტივის მაგალითი.
6. რა იგულისხმება ფინანსურ აქტივებში?
7. ვადის მიხედვით, რა და რა სახის აქტივი არსებობს?

სინონიმები	ანტონიმები
სხვაგვარად - სხვანაირად პროდუქცია - საქონელი გამოუშვა - აწარმოა მნიშვნელოვანია - ღირებულია ვადა - დრო	შედის - გადის მოგება - წაგება მცირე - დიდი




გამოუშვა	აწარმოა
მაგ., დირექტორმა მოსწავლე სკოლიდან ადრე გამოუშვა, რადგან ის ცუდად იყო. ამ თვეში ჩვენმა ქარხანამ 100.000 ლარის პროდუქცია აწარმოა.	

ა.


საქმე → საქმიანი → საქმიანობა. საქმიანი - საქმის მქონე. საქმიანობა - საქმიანი მოქმედება, საქმის კეთება. უსაქმო // უსაქმური - საქმის არმქონე, არაფრის გამკეთებელი.
--

ბ.

სქემა 1



სქემა 2



1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნელი: სანდრო, მანქანები უკვე დატვირთეთ საქონლით?

სანდრო: ყველა არა, ჯერ ოთხი...

ნელი: ფორთოხლის წვენები მეორე საწყობშია და იქიდან გაიტანეთ, არ დაგავიწყდეთ!

სანდრო: არა, რას ამბობ?! ფორთოხალზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა და მაგას რა დამავიწყებს.

ნელი: ხომ იცი, მთელი ფინანსური რესურსი წვენების წარმოებაში ჩავდეთ, ამ წლის ბოლოსთვის დიდ მოგებას ველოდებით.

სანდრო: ეგ ძალიან კარგია, ჩემო ნელი, მაგრამ ჩვენი დირექტორი რას ამბობს?! ამდენს რომ გვაშუავეს, ბუღალტერს პრემიებს გამოაწერინებს?!
ნელი: რა თქმა უნდა, სანდრო, აუცილებლად.

უპასუხეთ კითხვებს:


- მანქანებზე რისი დატვირთვა არ უნდა დავიწყებოდა სანდროს და რატომ?
- რის წარმოებაში იყო ჩადებული საწარმოს მთელი კაპიტალი?
- როგორი სახის იყო საწარმოში ჩადებული ფინანსური აქტივი - მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი?
- რას ელოდებოდა სანდრო შრომის სანაცვლოდ?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ლიმონათის საწარმოში“



დაიმახსოვრეთ!



1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

გრძელვადიანი აქტივები
 სამომხმარებლო ბაზარი
 ახალი დირექტორი

საწარმოს მოგება
 მატერიალური აქტივები
 საწარმოს ინვენტარი

1. ჩვენმა ფინანსური აქტივები სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაში ჩადო.
2. დღეს აღრიცხავენ და ანგარიშს დირექტორს წარუდგენენ.
3. ფინანსებს დავაბანდებთ და წარმოებისთვის ახალ შენობას ვიყიდით.
4. ქარხანამ ერთი წლის განმავლობაში ორი მილიონი ლარის საქონელი გაყიდა.
5. ქარხნის კუთვნილი სატვირთო მანქანებიც შედის.
6. მიმდინარე წელს ჩვენი 789.000 ლარი იყო.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	გამოისახა	[გამო]ისახება	გამოისახება
2.	მიეკუთვნა	მიეკუთვნება	მიეკუთვნება
3.	მოიხმარა	[მო]იხმარს	მოიხმარს
4.	განასხვავა	ასხვავებს	განასხვავებს
5.	დააბანდა	აბანდებს	დააბანდებს



1.8. მოსმენა

დიალოგი: მთავარი ბუღალტრისა და ფინანსური მენეჯერის საუბარი

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ –ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ნანას ბ-ნი რეზოსთვის სამწუხარო ამბავი უნდა ეთქვა.		
2.	რეზომ მოკლევადიანი აქტივებიდან შემოსული თანხა სრულად დაიანგარიშა.		
3.	ნანას თქმით, მოგება იმაზე მეტი იყო, ვიდრე ელოდნენ.		
4.	ბ-ნი რეზო თანხის ნაწილის გრძელვადიან აქტივებში გადატანას აპირებდა.		
5.	ნანას შესაძენი სატვირთო ავტომობილების ფასი უნდა დაედგინა.		
6.	ფინანსურ მენეჯერს დირექტორის სახელზე განცხადება ჰქონდა დაწერილი.		
7.	რეზოს ავტომობილები სოფელში წასვლამდე უნდა შეეძინა.		

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა შეატყო ფინანსურმა მენეჯერმა სახეზე თავის ბუღალტერს?
2. რა დაიანგარიშა ნანამ?
3. რის გამო მიეცა საშუალება ფინანსურ მენეჯერს, მოკლევადიანი აქტივებიდან მიღებული მოგების ნაწილი გრძელვადიან აქტივებში გადაეტანა?
4. რატომ სჭირდებოდა საწარმოს ახალი ავტომობილების შეძენა?
5. რის შემდეგ უნდა შეეტანა ნანას ბუღალტრულ ანგარიშში მანქანების შესყიდვის ფაქტი?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

რას იზამს?

განაცხადებს

განახორციელებს

რა?

განცხადება


განხორციელება

მაგ., ის განაცხადებს - იგივეა, რაც: ის იტყვის.

განცხადება დირექტორის სახელზე დავწერე - იგივეა, რაც: დირექტორს განცხადებით მივმართე.

ის განახორციელებს - იგივეა, რაც: გააკეთებს.

დარწმუნებული ვარ, რომ დაწყებული საქმე წარმატებით განხორციელდება.



გან- და გა- მიუთითებს მიმართულებას შიგნიდან გარეთ.

1.13. საპრეზენტაციო თემა

**თქვენ რომ ფინანსური მენეჯერი იყოთ, სად და რა ვადით
დააბანდობდით თანხას?**

1.14. წერა

იმჯელეთ საკითხზე - მოკლევადიან აქტივებს მოგება სწრაფად მოაქვს



1.15. დაიმახსოვრეთ!

„არავის აქვს უფლება, სხვის ხარჯზე იცხოვროს“ /იუსტინიანე/.

„ბევრის მდომელს ცოტაც დაეკარგებაო“ /ილია ჭავჭავაძე/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ არ უნდა იცხოვროს ადამიანმა სხვისი შრომის შედეგად აღებული ფულით?
2. ილიას გამონათქვამის მიხედვით, რამ შეიძლება დაღუპოს ადამიანი?



1.16. ეს საინტერესოა!

დაახლოებით 23 საუკუნის წინ ძველმა ბერძნებმა ქალაქ როდოსში მზის ღმერთის ქანდაკება დადგეს. მისი სიმაღლე 37 მეტრი იყო. ახალგაზრდა ვაჟს, ანუ მზის ღმერთს, თავზე გვირგვინი ედგა. ქალაქში აღმართულ ქანდაკებას თავისი სიდიდის გამო „კოლოსს“ უწოდებდნენ, რაც უზარმაზარს, ანუ ძალიან დიდს, ნიშნავდა. მოგვიანებით მიწისძვრამ ეს საოცრება მთლიანად დაანგრია.

დღეს, როცა საგნების ან ფულის დიდ რაოდენობაზე მიუთითებენ, ხშირად იყენებენ სიტყვას „კოლოსალური“, მაგ., „კოლოსალური თანხა“, „კოლოსალური მოგება“ და სხვ.

უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ იყო იმ დროისთვის საოცარი ქ. როდოსში დადგმული ქანდაკება?
- რას უწოდებდნენ მას?
- რა შემთხვევაში ვიყენებთ სიტყვას „კოლოსალური“?

II ნაწილი ვალდებულებები, როგორც პასივები



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა ფუნქცია აქვს „საქართველოს საგადასახადო კოდექსს“?
2. რა ამრობრივი კავშირია ილუსტრაციებს შორის?

2.2. ტექსტი:

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია ის, რომ დოკუმენტურად დაფიქსირდეს წყაროები, რომლებიც კომპანიას ან საწარმოს აქვს. ამიტომ უწყვეტად და დოკუმენტურად აკვირდებიან, **ანალიზებენ**, თუ საიდან **შემოედინება** რესურსი, ანუ აქტივი. ბუღალტრული აღრიცხვის დროს პასივიც ფულად ერთეულში უნდა დაითვალონ. თუ აქტივები კომპანიის ქონებაა, პასივები არის ფულადი საშუალებები, რომლებითაც ამ ქონებას იღებენ.

პასივი იმ ვალდებულებებისაგან შედგება, რომლებიც საწარმოს აქვს **ბიუჯეტის**, რომელიმე ბანკის და სხვათა წინაშე. ფინანსური ვალდებულებები **კანონით** არის **განსაზღვრული**, ამიტომ კომპანია თავისი შეხედულებებისამებრ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებებს. საქართველოში „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ არეგულირებს ყველა იმ ვალდებულებას, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს **მეწარმეს** სახელმწიფოს წინაშე. **გადასახადის გადამხდელს** კანონი უწესებს გადახდის ვალდებულებას. მაგალითად, თუ რომელიმე საწარმო საქართველოშია **რეგისტრირებული** და შემოსავალს იღებს ამავე ქვეყანაში, ის ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი. კომერციული ორგანიზაციებიდან შემოსული თანხა ქვეყნის ბიუჯეტში შედის, ამის შედეგად კი სახელმწიფო **ანაწილებს** თანხებს: იხდის პენსიებს, **აფინანსებს** საბავშვო ბაღებს, სკოლებს და სხვ.

ვალდებულების ერთ-ერთი სახეა, მაგალითად, **სესხი**, რომელიც წარმოების გაფართოების მიზნით მეწარმეებს ხშირად გამოაქვთ ბანკებიდან. **თანხის დაფარვის** ვადის მიხედვით, ვალდებულებებიც იყოფა მოკლევადიან (12-თვიან) და გრძელვადიან ვალდებულებებად. მაგალითად, საწარმოს მიერ ბანკიდან გამოტანილი სესხი, რომელიც 8 წელიწადში უნდა დაიფაროს, გრძელვადიანია.

ბუღალტრული აღრიცხვის დროს ანგარიშობენ აქტივებსაც და პასივებსაც.

- პასივები შედგება ვალდებულებებისაგან.
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ არეგულირებს ვალდებულებებს, რომლებიც გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტის წინაშე აქვს.

2.3. ლექსიკა:

აანალიზებს	დაკვირვების შედეგად იკვლევს.
შემოედინება	იგივეა, რაც შემოდის.
ბიუჯეტი	აქ: სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.
კანონი	სახელმწიფოს მიერ დადგენილი იურიდიული წესები და ნორმები.
განსაზღვრული	საზღვრებში მოქცეული, დაწესებული.
მეწარმე	საქმიანი ადამიანი, რომელიც რაიმეს აწარმოებს, მართავს ბიზნესს.
გადასახადის გადამხდელი	ის, ვინც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები.
რეგისტრირებული	აქ: საჯარო რეესტრში დაფიქსირებული, აღრიცხული.
ანაწილებს	ნაწილებად ყოფს.
აფინანსებს	თანხას, ფინანსებს აძლევს.
სესხი	აქ: თანხა, რომელსაც ბანკიდან სესხულობ, იღებ ვალად.
თანხის დაფარვა	აქ: ნასესხები თანხის სრულად გადახდა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორ ერთეულებში უნდა დაითვალონ პასივები?
2. რა ვალდებულებებისაგან შედგება პასივები? დაასახელეთ ერთი მაგალითი.
3. რატომ ვერ მიიღებს კომპანია გადაწყვეტილებას თავისი შეხედულებისამებრ?
4. როგორ ანაწილებს სახელმწიფო ქვეყნის ბიუჯეტს?
5. როგორია საწარმოს მიერ გამოტანილი სესხი, რომელიც 8 წელში უნდა დაიფაროს?
6. რას ანგარიშობენ ბუღალტრული აღრიცხვის დროს?

სინონიმები	ანტონიმები
არეგულირებს - აწესრიგებს უწესებს - უდგენს ანაწილებს - ყოფს სახე - სახეობა დაფარვა - აქ: გადახდა	იღებენ - გასცემენ განსაზღვრული - განუსაზღვრელი ხშირად - იშვიათად გამოაქვს - შეაქვს





საქონელს ანაწილებს მაგ., - გასაყიდი საქონელი თანაბრად გაანაწილეთ! მამამ თავისი ქონება გაყო და უფროს შვილს სოფლის სახლი მისცა.	ქონებას ყოფს
სესხის დაფარვა მაგ., - ბანკიდან გამოტანილი სესხი წლის ბოლომდე უნდა დაეფაროთ. - სალაროსთან ფულის გადახდა დამავიწყდა, ახლავე შევბრუნდები.	ფულის გადახდა

ა.



დაიმახსოვრეთ!

შეხედულებისა მეზრ - იგივეა, რაც: შეხედულების მიხედვით, შეხედულების მსგავსად.

ბ.

სახ.	საგადასახადო	კოდექსი
მოთხრ.	საგადასახადო	კოდექსმა
მიც.	საგადასახადო	კოდექსს და სხვ.
მაგ.,	სჯობს,	„საგადასახადო კოდექსს“ ჩახედოთ!

გ.

რას შვრება?	სარგებლობს	რა?	სარგებლობა
ის	ანაწილ ებს	ისინი	ანაწილ ებენ

მაგრამ:

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?



[მე]	მისარგებლ ია	[ჩვენ]	გვისარგებლ ია
[შენ]	გისარგებლ ია	[თქვენ]	გისარგებლ იათ
[მას]	უსარგებლ ია	[მათ]	უსარგებლ იათ



დაიმახსოვრეთ!

რას შვრება?	რა უქნია?
აწარმო ებს	უწარმოებ ია
სესხულობ ს	უსესხ ია
იოვლ ის	დაუთოვლ ია

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ლუკა: გიგო, ერთი შემახსენე, ჩვენი საწარმო როდის დავარეგისტრირეთ?

გიგო: 2007 წელს, გაზაფხული იყო. ზუსტი თარიღი არ მახსოვს.

ლუკა: მიდი, გთხოვ, საბუთები კარგად ნახე, დღეს საგადასახადო ინპექციიდან შემოწმებაზე მოდიან. ბუღალტერსაც უთხარი, ჩემთან შემოვიდეს!

გიგო: სამი წლის ანგარიშებიდან შეგვიმოწმებენ საგადასახადო ვალდებულებებს, არა?! მგონი, კოდექსში ასე წერია.

ლუკა: ჰო, მაგრამ ყველაფერი მაინც წესრიგში უნდა გვექონდეს.

გიგო: საშემოსავლო გადასახადი ჩვენს ბუღალტერს გუშინწინ უნდა გადაერიცხა ბიუჯეტში. ნეტავ, რა ენა?! ... რაიმე პრობლემა არ შეგვექმნას...

ლუკა: მოიცა, გიგო, ახლავე გავიქცევი და ბუღალტერს მოვიყვან!

უპასუხეთ კითხვებს:

- რა აღარ ახსოვდა ლუკას?
- რატომ სურდათ თანამშრომლებს, რომ ყველა საბუთი წესრიგში ყოფილიყო?
- რა უნდა შეემოწმებინათ საგადასახადო ინპექტორებს?
- რა უნდა გადაერიცხა ბუღალტერს 2 დღის წინ ბიუჯეტში?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე

- „საგადასახადო შემოწმების მოლოდინში“

თარიღი - კალენდარული დღე, რიცხვი.

საშემოსავლო გადასახადი - ბიუჯეტში შესატანი გადასახადი, რომელიც შემოსავლების მიხედვით უწესდება გადასახადის გადამხდელს. წესები დადგენილია „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“.

2.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:

დაფიქსირება შემოღინება შედგომა გადახდა დაფინანსება

1. მითხარით, თქვენი საწარმო ამხელა ვალს როგორ
2. ქარხნის დირექტორსა და ეკონომიკის მინისტრს შორის მნიშვნელოვანი მოლაპარაკება
3. ბუღალტერი აღრიცხავდა იმას, თუ საიდან ფულადი რესურსები.
4. სკოლებში სარემონტო სამუშაოებს ძირითადად განათლების სამინისტრო
5. გამყიდველმა, რომ უცნობ კაცს დოკუმენტები მაღაზიაში დარჩა.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დაარეგულირა	არეგულირებს	დაარეგულირებს
2.	დაუწესა	უწესებს	დაუწესებს
3.	გაანაწილა	ანაწილებს	გაანაწილებს
4.	დაფარა	ფარავს	დაფარავს



2.8. მოსმენა

დიალოგი: ბუღალტერი კომპანიის ერთ-ერთი დირექტორის კაბინეტში

გული არ მიჩერდება - გული არ მიდგება, ვერ ვჩერდები (რაიმე განცდის გამო).

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	დირექტორთა საბჭოზე მოგების გადასახადის გადახდა გადაწყდა.		
2.	კომპანიას ბიუჯეტში ვალდებულებებით დაკისრებული თანხა შეჰქონდა.		
3.	სესხის აღების შემთხვევაში კომპანიას სასესხო ვალდებულების გადახდაც მოუწევდა.		
4.	გიორგიმ ლიას ჯერ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შემოტანა ურჩია.		
5.	ლია კომპანიის ერთგული თანამშრომელი იყო.		
6.	ბ-ნი გიორგი დოკუმენტების დაკარგვის გამო შეწუხებული იყო.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. ბ-ნი გიორგის თქმით, რა გადაწყდა დირექტორთა საბჭოზე?
2. როგორ შეძლებდა კომპანია სასესხო ვალდებულების გადახდას?
3. რა უნდა დაედგინა ლიას ბანკში დარეკვის შედეგად?
4. რატომ იყო ბ-ნი გიორგი ცუდ ხასიათზე?
5. ბ-ნი გიორგის ოჯახური მდგომარეობის გამო, რა საქმე გადადო ბუღალტერმა?
6. რა ურჩია ლიამ ბ-ნი გიორგის?

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.

შორის და **შუა** [←შუაში; შუაზე] გამოხატავს ადგილს ორ საგანს შორის.

მაგ., - მაგას რატომ მამბრალე?! მე რა შუაში ვარ?!

- ამ მიწის ნაკვეთს შუაზე ვერ გავყოფ, ისედაც პატარაა.

ბ.

ისე დამემართა, როგორც.....

როგორც, ისე დამემართა.

მაგ., ისე გავიქეცი, როგორც პატარა ბავშვი.

როგორც პატარა ბავშვი, ისე გავიქეცი.

გ.



დაიმასხოვრეთ სიტყვები!

რა თქმა უნდა

რასაკვირველია

გამოიყენეთ მაშინ, როცა ეთანხმებით ვინმეს ან რამეს, ან როცა აზრი ბევრისთვის მისაღებია. წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით.

2.13. საპრეზენტაციო თემა

რატომ ვართ ვალდებული, გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში შევიტანოთ?

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რას გააკეთებთ, საწარმოსთვის ბანკიდან სესხის აღება რომ დაგჭირდეთ?



2.15. დაიმასხოვრეთ!

„შეგნებული გქონდეს მოვალეობა და არ შეასრულო - ეს ლაჩრობაა“ /კონფუცი/.

„მინდა ვიყო სახელოვანი - ეს ბედნიერებაა, მაგრამ მინდა ვიყო სასარგებლო - ეს მოვალეობაა“ /
ვიქტორ ჰიუგო/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რატომ არ უნდა გაექცეს ადამიანი საკუთარ მოვალეობებს?
2. ვ. ჰიუგოს შეხედულებით, როგორი შედეგი მოაქვს მოვალეობის შესრულებას?

ლაჩარი - იგივეა, რაც: მშენებარა, მხდალი.
ლაჩრობა - მშენებრობა, სიმხდალე.



2.16. ეს საინტერესოა!

სიტყვა „ბიუჯეტი“ (budget) ინგლისურად „ტომარას“ ნიშნავს, ხოლო ფრანგულად - „ტყავის საფულეს“. ძველად, როცა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატებს მთავრობა თანხას სთხოვდა, კანცლერი ბიუჯეტს, ანუ ტომარას, ხსნიდა. მასში სახელმწიფო ფულის აღრიცხვის დოკუმენტი იყო. ამ მოქმედებას „ტომარის გახსნას“ უწოდებდნენ. ეს სიტყვა ინგლისური ენიდან სხვა ენებშიც გავრცელდა და ფართოდ გამოიყენება. მაგალითად, ვამბობთ: „ოჯახის ბიუჯეტი“, „სამინისტროს ბიუჯეტი“, „სახელმწიფო ბიუჯეტი“ და სხვ.


სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ის უმთავრესი ფინანსური დოკუმენტია, რომელშიც წინასწარაა აღრიცხული სახელმწიფო შემოსავლები და გასავლები. ეს ფინანსური გეგმა ერთწლიანია და მას პარლამენტი ამტკიცებს.

კანცლერი - უმაღლესი თანამდებობის ერთ-ერთი პირი.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას ნიშნავდა სიტყვა „ბიუჯეტი“ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე?
- რა შემთხვევაში ხსნიდნენ ტომარას ძველი ბრიტანელები?
- რა მნიშვნელობით გამოიყენება დღეს „სახელმწიფო ბიუჯეტი“?
- რამდენი წლით ამტკიცებს პარლამენტი ამ ფინანსურ დოკუმენტს?

III ნაწილი საკუთარი კავშირები



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ პირველ ილუსტრაციაზე?
2. როგორ გესმით სიტყვები: „საკუთარი ქონება“?
3. რა არის გამოსახული მეორე ილუსტრაციაზე?
4. ვინ შეიძლება იყვნენ სურათზე გამოსახული ადამიანები?

3.2. ტექსტი:

ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებს შორისაა **საკუთარი კაპიტალიც**. ის არის კომერციული ორგანიზაციების (კომპანიის, საწარმოს) ქონების ნაწილი, რომელიც ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ კომპანიის **განკარგულებაში რჩება**. როცა კომერციული ორგანიზაცია დაფარავს გადასახადებს (მაგ., მოგებისას), ბანკიდან გამოტანილ სესხებს, მას აღიცხვის შედეგად უფიქსირდება თანხა, ანუ საკუთარი კაპიტალი. ასეთ დროს საწარმოში ხშირად ქმნიან **სარეზერვო ფონდებს**. **მწარმოებლები** საკუთარი კაპიტალიდან იღებენ ფულს და ფონდში გადააქვთ, რათა **გაუთვალისწინებელი ხარჯი** დაფარონ. თუ საწარმოს ობიექტს, მაგალითად, შენობას, ხანძარი გაუჩნდა, მიყენებული **ზარალი** სარეზერვო ფონდიდან **ანაზღაურდება**.

საკუთარი კაპიტალის სისტემატური აღწერაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი ფინანსური მდგრალობა აქვს კომერციულ ორგანიზაციას, ან რამდენად ეფექტურად მართავენ მას მენეჯერები. ასეთ ანალიზს გავლენა აქვს **საინვესტიციო გარემოზე**. აღწერის მიხედვით, კარგად ჩანს, ჩადებს თუ არა საწარმოში **პოტენციური დამფინანსებელი ინვესტიციას**. ისინი ყოველთვის წინასწარ ეცნობიან საწარმოს საქმიანობას, სწავლობენ ბუღალტერიას და ასე იღებენ გადაწყვეტილებებს. **დაფინანსებისათვის** მათ სჭირდებათ იმის **გარანტიები**, რომ საწარმო მათ მოგებას მოუტანს.

კომერციული ორგანიზაციების საკუთარი კაპიტალი პასივებს მიეკუთვნება. ის ასე შეიძლება გამოისახოს:

$$\text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი} = \text{პასივები}$$

- საკუთარი კაპიტალი კომპანიის ქონების ის ნაწილია, რომელიც მას ვალდებულებების შესრულების შემდეგ რჩება.
- საკუთარი კაპიტალი არის პასივი.

3.3. ლექსიკა:

საკუთარი კაპიტალი	ქონება, რომელიც კომპანიას ან პირს ვალდებულებების შესრულების შემდეგ რჩება.
განკარგულებაში რჩება	პირადი მოხმარებისთვის რჩება.
სარეზერვო ფონდი	აქ: სათადარიგო ფულადი მარაგი, რომელიც რაიმე მიზნებისათვის იქმნება.
მწარმოებელი	პირი ან ორგანიზაცია, რომელიც რაიმეს აწარმოებს.
გაუთვალისწინებელი ხარჯი	გაუთვლელი, დაუგეგმავი გასავალი.
ზარალი	მატერიალური დანაკარგი.
ანაზღაურდება	გადაიხდება ვინმეს ან რაიმეს, მაგ., ორგანიზაციის, მიერ.
საინვესტიციო გარემო	პირობები, რომლებიც შექმნილია კაპიტალის დაბანდებისათვის.
პოტენციური	შესაძლებლობის, ანუ პოტენციის, მქონე.
ინვესტიცია	კაპიტალის დაბანდება, ჩადება წარმოებაში.
გარანტია	აქ: პირობა, რომელიც კომპანიას წარმატებას მოუტანს.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის საკუთარი კაპიტალი?
2. რის შედეგად უფიქსირდება საკუთარი კაპიტალი კომერციულ ორგანიზაციას?
3. რა შემთხვევაში ხარჯავენ თანხას მწარმოებლები სარეზერვო ფონდიდან?
4. რა ინფორმაციას გვაძლევს საკუთარი კაპიტალის სისტემატური აღწერა?
5. რას აკეთებენ პოტენციური ინვესტორები?

სინონიმები	ანტონიმები
სესხი - ვალი სარეზერვო - სათადარიგო ხანძარი - ცეცხლი დამფინანსებელი - ინვესტორი	გათვალისწინებული - გაუთვალისწინებელი ეფექტურად - არაეფექტურად



სესხი მაგ., ბანკიდან გამოტანილი სესხის დაფარვა არ გაგვიჭირდება. მე თვითონ მეზობლის ვალი მაქვს, ამიტომ ვერაფერს გასესხებ.	ვალი
ხანძარი მაგ., ერთი კვირის წინ საწარმოს ინვენტარს ხანძარი გაუჩნდა. - გთხოვ, შეშას ცეცხლი მოუკიდე, თორემ ძალიან ცივა.	ცეცხლი

ა.

ის აწარმოებს პროდუქციას.

ვინ არის ის, ვინც აწარმოებს პროდუქციას? **მწარმოებელი**.

ასეთივე სიტყვებია: **დამფინანსებელი**, **გამკეთებელი** და **სხვ.**

ბ.

თვის გამოიყენება დანიშნულების საჩვენებლად.

მაგ., ეს საბუთი ბუღალტრის **თვის** მჭირდება;

ან: ეს საბუთი ბუღალტრის **ათვის** მჭირდება.

3.5. ა) წაკითხეთ დიალოგი:

კაკო: ბ-ნო პაატა, ამ დილით ცუდი ამბავი მოხდა და მინდა გაცნობოთ.

პაატა: რა ამბავი, კაკო?!

კაკო: ერთი თვის წინ ახალი მუშა რომ მივიღეთ, ობოლი ბიჭი, ხომ გახსოვთ?! ცოტა გამოუცდელი იყო, ელექტრობის შესაკეთებლად კიბეზე ავიდა და იქიდან გადმოვარდა.

პაატა: არ გადამრიო?! მერე?...

კაკო: საავადმყოფოში წავიყვანეთ, დამტვრეულია... კიდევ კარგი, რომ გადარჩა...

პაატა: ექიმები რას ამბობენ, სიცოცხლისთვის საშიში ხომ არაფერია?!

კაკო: არა, მაგ მხრივ სანერვიულო არა გვაქვს, მაგრამ მკურნალობის თანხა მალევე იქნება გადასახდელი.

პაატა: ეგ არაფერი..., გადავიხდით. საწარმოო შემთხვევა... ბუღალტერს ვეტყვი და ფულს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფს. საავადმყოფოში მე თვითონ წავალ და ყველაფერს გავარკვევ. ისედაც ძალიან მეცოდებოდა, უდებოდაა გაზრდილი... ახლა მთავარია, პოლიციას ჩვენ მიმართ რაიმე პრეტენზია არ ჰქონდეს.

კაკო: რაღაც არა მგონია, უბრალო შემთხვევა იყო. ეგეთი ყველას შეიძლება მოუვიდეს.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა აცნობა კაკომ ბ-ნ პაატას?
- რას დააბრალა კაკომ მუშის კიბიდან გადმოვარდნა?
- რა უწოდა ბ-ნმა პაატამ საწარმოში მომხდარ ფაქტს?
- რა გადაწყვეტილება მიიღო ბ-ნმა პაატამ?

დამტკრეულია - აქ: მოტეხილობა აქვს.

ობოლი - იგივეა, რაც უდებამო.

საწარმოო შემთხვევა - არასასიამოვნო ფაქტი, რომელიც საწარმოში მუშაობის დროს შეიძლება შეემთხვეს თანამშრომელს.

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „წარმოების უფროსთან“



დაიმახსოვრეთ!

ჩემ მიმართ	ჩვენ მიმართ
შენ მიმართ	თქვენ მიმართ
[ი]მის მიმართ	[ი]მათ მიმართ

მაგრამ: ხელმძღვანელობის მიმართ; საწარმოს მიმართ...

მაგ., იმედია, ჩემ მიმართ თქვენი ოჯახის წევრებს პრეტენზია არ ექნებათ.

3.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

მყარი გარანტიები

გაუთვალისწინებელი ხარჯები

პოტენციური დამფინანსებლები

აღებული თანხა

მიყენებული ბარალმა

საინვესტიციო გარემო

1. სარეზერვო ფონდი არსებობს და თანხა იქიდან უნდა გამოვწეროთ!
2. ხანძრით 210.000 ლარი შეადგინა.
3. თქვენი კომპანიის დაფინანსებისათვის გვჭირდება.
4. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს წინასწარ ეცნობიან.
5. მწარმოებლები საკუთარი კაპიტალიდან ქმნიან სარეზერვო ფონდებს.

6. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყველა დოკუმენტი მომიწესრიგეთ!

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დაუფიქსირდა	უფიქსირდება	დაუფიქსირდება
2.	გადაიტანა [ფონდში]	გადააქვს [ფონდში]	გადაიტანს [ფონდში]
3.	ანაზღაურდა	[ა]ნაზღაურდება	ანაზღაურდება



3.8. მოსმენა

დიალოგი კომპანიის მთავარ დირექტორსა და მდივანს შორის

კარგ გუნებაზე დავდექი - იგივეა, რაც: კარგ ხასიათზე დავდექი.
[დარბაზი] მოაწესრიგე - აქ: ნივთები ისე დაალაგე, როგორც წესია.
ყველაფერი ჩაგვეშლება - აქ: მოლაპარაკება კარგი შედეგით არ დამთავრდება.

3.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	კომპანიაში მხოლოდ ქართველ ინვესტორს ელოდებოდნენ.		
2.	ინვესტორებთან შეხვედრა ნახევარი საათით გადაიდო.		
3.	გერმანელი ინვესტორი უკვე ადგილზე იყო.		
4.	ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების ნახვა ინვესტორებს არ აინტერესებდათ		
5.	კომპანიის დამფინანსებლებს მყარი ფინანსური გარანტიები სჭირდებოდათ.		
6.	ბ-ნი თამაზის ხუმრობის გამო ეკაც კარგ გუნებაზე დადგა.		

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა ინფორმაცია გადასცა მდივანმა ბ-ნ თამაზს?
2. რატომ აგვიანებდა გერმანელი ინვესტორი სხდომაზე?
3. რა უნდა გადაეცა მთავარ ბუღალტერს ბ-ნი თამაზისთვის?

4. რა უნდა შეემოწმებინათ სხდომაზე მოსულ პოტენციურ დამფინანსებლებს თავდაპირველად?
5. თქვენი აზრით, რატომ იყო ხუმრობის ხასიათზე ბ-ნი თამაზი?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

... უკვე გაფრთხილებულია.
... ჯერ არ არის გაფრთხილებული.
მაგ., ბუღალტერი უკვე გაფრთხილებულია.
ის ჯერ არ არის გაფრთხილებული.

ენა დაება - ენა აუბორძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.



ენა დაიმოკლა - ნაკლები, ცოტა ილაპარაკა, [შესაძლებელია: სულ გაჩუმდა].
ენას კბილი დააჭირა - ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.
ენა მუცელში ჩაუვარდა - ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

3.13. საპრეზენტაციო თემა

საკუთარი კაპიტალი, როგორც წარმოების გაფართოების საშუალება

3.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **თქვენ რომ საწარმოში ინვესტიციის ჩადება გსურდეთ, რას შეამოწმებდით და რატომ?**



3.15. დაიმახსოვრეთ!

„სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მართო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა“ /ილია ჭავჭავაძე/.

„ხელმა ხელთან ერთად სახლი ააშენაო“ /შუმერული ანდაზა/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. ილიას აზრით, რაში ეხმარება ადამიანს სწავლა-განათლება?
2. როგორ გესმით ძველი შუმერული ანდაზა? რისკენ მოგვიწოდებს ის?



3.16. ეს საინტერესოა!

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უალკოჰოლო სასმელი „კოკა-კოლა“ 1886 წელს ფარმაცევტმა დ. პემბერტონმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიგონა. ამ პროდუქტის სახელწოდება ეკუთვნის ფრენკ რობინსონს, რომელიც დ. პემბერტონის ბუღალტერი იყო. მას კარგი კალიგრაფიაც ჰქონდა, ამიტომ ლამაზად დაწერა სიტყვა „COCA-COLA“ და თეთრ ასოებს წითელი ფონი გაუკეთა. ორიგინალური დასახელებაცა და ამ სიტყვის მოხაზულობაც დარეგისტრირებულია აშშ-ში, როგორც ამ ბრენდის სავაჭრო ნიშანი.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა პროფესიის იყო „კოკა-კოლას“ სახელწოდებისა და მისი მოხაზულობის ავტორი?
- როგორ არის დარეგისტრირებული ფრენკ რობინსონის მიერ შექმნილი ლამაზი ასოები?

ლექსიკა

აანალიზებს	დაკვირვების შედეგად იკვლევს.
ანაზღაურდება	გადაიხდება ვინმეს ან რაიმეს, მაგ., ორგანიზაციის, მიერ.
ანაწილებს	ნაწილებად ყოფს.
არამატერიალური	რასაც საგნის სახე არა აქვს, ფიზიკურად არ არსებობს.
აფინანსებს	თანხას, ფინანსებს, აძლევს.
აქტივი	საკუთრება, რომლიც გამოიხატება მატერიალურ, არამატერიალურ და ფულად ერთეულებში.
ბიუჯეტი	აქ: სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვა დროის კონკრეტულ მონაკვეთში.
გადასახადის გადამხდელი	ის, ვინც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები.
გამოუშვებს	ის, ვინც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები.
განასხვავებს	სხვა რაიმესგან გაარჩევს, სხვაობას იპოვის.
განკარგულებაში რჩება	პირადი მოხმარებისთვის რჩება.
განკუთვნილი	რასაც რაიმე დანიშნულება აქვს, მისთვისაა.
განსაზღვრული	საზღვრებში მოქცეული, დაწესებული.
გარანტია	აქ: პირობა, რომელიც კომპანიას წარმატებას მოუტანს.
გაუთვალისწინებელი ხარჯი	გაუთვლელი, დაუგეგმავი გასავალი.
გრძელვადიანი	დიდი ვადის, ანუ ხანგრძლივობის, მქონე.
დააბანდებს	აქ: ჩადებს თანხას მოგების მიზნით.
ზარალი	მატერიალური დანაკარგი.
თანხის დაფარვა	აქ: ნასესხები თანხის სრულად გადახდა.
ინვესტიცია	კაპიტალის დაბანდება, ჩადება წარმოებაში.

კანონი	სახელმწიფოს მიერ დადგენილი იურიდიული წესები და ნორმები.
კუთვნილი თანხა	ფული, რომელიც ვინმეს ან რამეს ეკუთვნის, მისია.
მატერიალური	ისეთი, რასაც საგნის სახე აქვს; რაც ფიზიკურად არსებობს.
მეწარმე	საქმიანი ადამიანი, რომელიც რაიმეს აწარმოებს, მართავს ბიზნესს.
მოგება	აქ: მატერიალური სარგებელი.
მოკლევადიანი	მცირე ვადის, ანუ ხანგრძლივობის, მქონე.
მომხმარებელი	აქ: პირი, რომელიც რაიმეს შეიძენს და მოიხმარს.
მწარმოებელი	პირი ან ორგანიზაცია, რომელიც რაიმეს აწარმოებს.
პოტენციური	შესაძლებლობის, ანუ პოტენციის, მქონე.
რეგისტრირებული	აქ: საჯარო რეესტრში დაფიქსირებული, აღრიცხული.
რესურსი	აქ: ფულადი საშუალებები, რაიმეს მარაგი (მაგ., ტექნიკისა).
სავაჭრო ნიშანი	საქონელი ან მომსახურება, რომელსაც ყიდვა-გაყიდვისთვის საკუთარი ნიშანი აქვს.
საინვესტიციო გარემო	პირობები, რომლებიც შექმნილია კაპიტალის დაბანდებისათვის.
საკუთარი კაპიტალი	ქონება, რომელიც კომპანიას ან პირს ვალდებულებების შესრულების შემდეგ რჩება.
სამომხმარებლო ბაზარი	ადგილი, სადაც პირი მოხმარებისათვის რაიმეს შეიძენს.
სარეგულაციო ფონდი	აქ: სათადარიგო ფულადი მარაგი, რომელიც რაიმე მიზნებისათვის იქმნება.
სესხი	აქ: თანხა, რომელსაც ბანკიდან სესხულობ, იღებ ვალად.
შემოედინება	იგივეა, რაც შემოდის.

ზმნაბი

№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აბანდებს	აბანდებდა	დააბანდა	დააბანდებს	დააბანდოს	დაუბანდებია	დაბანდება
2	[ანაზღაურდება	[ანაზღაურდებოდა	ანაზღაურდა	ანაზღაურდება	ანაზღაურდეს	ანაზღაურებოდა	ანაზღაურება
3	ანაწილებს	ანაწილებდა	განაწილა	განაწილებს	განაწილოს	გაუნაწილებია	განაწილება
4	არეგულირებს	არეგულირებდა	დაარეგულირა	დაარეგულირებს	დაარეგულიროს	დაურეგულირებია	დაარეგულირება
5	ასხვავებს	ასხვავებდა	განასხვავა	განასხვავებს	განასხვავოს	განუსხვავებია	განასხვავება
6	გადააქვს	გადააქვდა	გადაიტანა	გადაიტანს	გადაიტანოს	გადაუტანია	გადატანა
7	[გამო]ისახება	[გამო]ისახებოდა	გამოისახა	გამოისახება	გამოისახოს	გამოისახებოდა	გამოისახება
8	მიეკუთვნება	მიეკუთვნებოდა	მიეკუთვნა	მიეკუთვნება	მიეკუთვნოს	მიჰკუთვნებია	მიეკუთვნება
9	[მო]იხმარს	[მო]იხმარდა	მოიხმარა	მოიხმარს	მოიხმაროს	მოუხმარია	მოხმარება
10	უფიქსირდება	უფიქსირდებოდა	დაუფიქსირდა	დაუფიქსირდება	დაუფიქსირდეს	დაუფიქსირებია	დაუფიქსირება
11	უწესებს	უწესებდა	დაუწესა	დაუწესებს	დაუწესოს	დაუწესებია	დაწესება

IV თავი ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა

შემაჯამებელი გაკვეთილი



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ პირველ ილუსტრაციაზე?
2. როგორ აკვირდება ბუღალტერი სამეურნეო საქმიანობას?

1.2. ტექსტი:

ჩვენ ღვინის ქარხნის ცენტრალურ ოფისში ვიმყოფებით. მარჯვნივ წარმოების დირექტორის კაბინეტია, მარცხნივ კი მთავარი ბუღალტერი ზის. სულ სამი წელია, რაც ეს ქარხანა გაიხსნა და უკვე დიდ წარმატებას მიაღწია. ღვინის დასაყენებლად საწარმო შემოდგომით დაახლოებით 30.000 ტონამდე ნედლეულს ყიდულობს, ამიტომ ამ პერიოდში ქარხანაში განსაკუთრებით ბევრი საქმეა. მუშები ჩაბარებულ ყურძენს კილოგრამებით წონიან. ლაბორატორიაში მოწმდება ყურძნის ხარისხიც. ბუღალტერიის თანამშრომლები პროდუქტს რაოდენობრივად და თვისებრივად აღწერენ, შემდეგ კი ფინანსურ შედეგებს ანგარიშობენ. ისინი ოპერატიულად მუშაობენ და საქონლის ფულად ფასს ადგენენ, რათა ეს ინფორმაცია ფინანსურ მენეჯერსა და საწარმოს დირექტორს გადასცენ.

ღვინის ქარხნის ფულადი რესურსი, ანუ აქტივი, ცხრა მილიონი ლარია. სწორედ ამ თანხით აწარმოებენ სამომხმარებლო ბაზარზე გასატან პროდუქციას, რომელმაც წლის ბოლოს საწარმოს მოგება უნდა მოუტანოს.

ქარხანაში თანამედროვე ტექნიკური საშუალებები დგას. მფლობელებმა ისინი აქტივებით შეიძინეს. აქ წარმოებულ ღვინოს ლამაზი სავაჭრო ნიშანიც აქვს. მასზე საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ქანდაკებაა გამოსახული - ახალგაზრდა კაცი მტევნებით ხელში. ეს არამატერიალური აქტივი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ის გამოარჩევს აქ წარმოებულ პროდუქციას სხვა ბრენდებისაგან.

მწარმოებლები ყოველთვის დროულად იხდიან სახელმწიფო გადასახადებსაც და თავს არ არიდებენ ვალდებულებებს, თანხა ქვეყნის ბიუჯეტში შეაქვთ. მიუხედავად ბევრი ვალდებულებისა, საკუთარი კაპიტალი მათ ერთი მილიონი ლარით გაეზარდათ. ბუღალტრული აღწერის დოკუმენტებში საწარმოს მთელი საქმიანობა ფულად ერთეულებშია დათვლილი, დაანგარიშებულია აქტივებიცა და პასივებიც. წარმოება ფინანსურად მდგრადია, ამიტომ ინვესტორების მოძებნა, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებათ.

- ბუღალტრული აღწერის დოკუმენტებში საწარმოს საქმიანობა ფულად ერთეულებშია დათვლილი. დათვლილია აქტივებიცა და პასივებიც.

ღვინის დაყენება - ღვინის მიღება ტექნოლოგიური საშუალებებით.

ვაზის მტევანი - ვაზის ნაყოფი.

თავის არიდება - აქ: გადასახადებისაგან დამალვა, თანხის გადაუხდელობა.



განასხვავეთ:

ვაზის მტევანი

ხელის მტევანი

ხელის მტევანი - ხელის ნაწილი მაჯიდან თითების წვერებამდე.

მაგ., გიგოს ვენახში ყვითლად დამწიფებული მტევნები მოჩანდა.

ნიკო პაპას შრომისაგან დაღლილი ხელის მტევნების აწევა უჭირდა.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. სად იმყოფებოდა მთხრობელი?
2. როდის არის განსკუთრებით ბევრი საქმე ღვინის ქარხანაში და რატომ?
3. როგორ ამოწმებენ და აღრიცხავენ ბუღალტრები ჩაბარებულ ნედლეულს?
4. რა მიზნით ადგენენ ბუღალტრები საქონლის ფულად ფასს?
5. რა ეწოდება იმას, რითიც სამომხმარებლო ბაზარზე გასატან პროდუქციას ქმნიან?
6. როგორია ღვინის ქარხნის სავაჭრო ნიშანი და, თქვენი აზრით, რატომაა ის ღირებული?
7. რა არის აღწერილი და დათვლილი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებში?
8. რატომ არ გაუჭირდებათ მწარმოებლებს ინვესტორების მოძებნა?

სინონიმები	ანტონიმები
გაიხსნა - ამუშავდა ინფორმაცია - ცნობა [ცნობები] ქანდაკება - სკულპტურა გამოარჩევს - განასხვავებს	მარჯვნივ - მარცხნივ წარმატება - წარუმატებლობა გაეზარდა - შეუმცირდა მდგრადი - მერყევი

გაიხსენეთ:

მხოლოდითი რიცხვი სახ. ჩვენი ქარხანა მოთხრ. ჩვენმა ქარხანამ მიც. ჩვენს ქარხანას და სხვ.	მრავლობითი რიცხვი სახ. ჩვენი ქარხნები მოთხრ. ჩვენმა ქარხნებმა მიც. ჩვენს ქარხნებს და სხვ.
---	--

1.4. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

გივი: დღეს რა უნდა დავიანგარიშოთ?

კაკო: რა და... რამდენი კილოგრამი კარტოფილი დარჩა ჩვენს საწყობში.

გივი: მართო კარტოფილი?

კაკო: ჰო, დაახლოებით 100 ტონარაა და ყველა უნდა აიწონოს. ხვალ დილით დისტრიბუციის მანქანა მოვა და მაღაზიებში დაარიგებს.

გივი: ამ საღამოს მოვასწრებთ? ხვალ ბავშვი მიმყავს ექიმთან.

კაკო: მაშინ ვიჩქაროთ!

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ითვლიდნენ საწყობის თანამშრომლები კარტოფილს – რაოდენობრივად თუ თვისებრივად?
- რა საზომი ერთეული უნდა გამოეყენებინათ მათ აღრიცხვის დროს?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ჩვენი სოფლის მაღაზიაში“

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ღვინის დაყენება	ნედლეულის ხარისხი
საწარმოს აქტივები	გასაყიდი პროდუქცია
ჩვენი ვალდებულებები	ფინანსურად მდგრადი

1. თავს ვერ აგარიდებთ, ყველაფერი დროულად უნდა გადავიხადოთ.
2. ამ დილით წითელი 10 ტონა ყურძენი ჩავიბარეთ.
3. ერთ კვირაში დავილაპარაკოთ, ჯერ ფასს დავადგენთ.
4. ეს საწარმო, ამიტომ ინვესტიციას მასში უცხოელები აუცილებლად ჩადებენ.
5. ღვინის ქარხნის ლაბორატორიაში ამოწმებენ.
6. სწორ გამოყენებას დიდი მოგების მოტანა შეუძლია.

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

აქტივი // აქტივები	პასივი // პასივები
--------------------	--------------------

1. ბუნებრივი ადრინცხვა აღწერს საწარმოს რესურსებს. მათ ეწოდება.
2. თუ მოგების მიზნით საწარმო კუთვნილ თანხას მცირე ვადით დააბანდებს, ეს მოკლევადიანი იქნება.
3. იმ ვალდებულებებისაგან შედგება, რომლებიც საწარმოს აქვს ბიუჯეტის, რომელიმე ბანკის და სხვათა წინაშე.
4. მომხმარებლისთვის განკუთვნილ პროდუქციას აწარმოებენ

5. ბუღალტრული აღრიცხვის დროს ანგარიშობენ და
6. კომერციული ორგანიზაციების საკუთარი კაპიტალი მიეკუთვნება.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	აწონა	წონის	აწონის
2.	გამოარჩია	არჩევს	გამოარჩევს
3.	[თავი] მოარიდა	[თავს] არიდებს	[თავს] მოარიდებს



1.8. მოსმენა

დიალოგი: რძის პროდუქტების საწარმოში
(ხელმძღვანელი პირი და ბუღალტერი)

ჯარიმა - ფულადი გადასახდელი, რომელიც კანონის ან წესის დარღვევის გამო ეკისრებათ.

დაგვაჯარიმებენ - ჯარიმას გამოგვიწერენ.

ჩემი ჯიბიდან მივეცი - იგივეა, რაც: ჩემი კუთვნილი თანხა გადავიხადე.

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ბუღალტერს ვალდებულებები ფულად ერთეულებში ჰქონდა დათვლილი.		
2.	ივანემ მოგების გადასახადი ბუღალტრულ აღრიცხვაში ვერ დაინახა.		
3.	მოგების გადასახადი პასივებში იყო აღრიცხული.		
4.	ივანეს თანხის გადაუხდელობის გამო ჯარიმის დაკისრებისა შეეშინდა.		
5.	ბუღალტერმა ივანეს საკუთარი კაპიტალის ზუსტი რაოდენობა უთხრა.		
6.	საწარმოში სარგებერვო ფონდი ერთ თვეში უნდა შეექმნათ.		

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა მოსთხოვა ივანემ თავის ბუღალტერს?
2. რომელი გადასახადი ვერ დაინახა ივანემ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტში?
3. რისი ეშინოდა საწარმოს ხელმძღვანელს?
4. ბუღალტრის აზრით, რამდენი ლარი იქნებოდა საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს?
5. როდისთვის აპირებდა საწარმოს ხელმძღვანელი სარეზერვო ფონდის შექმნას და რა მიზეზი დაასახელა მან?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

1.13. საპრეზენტაციო თემა

რატომ არ სიამოვნებს ადამიანებს გადასახადების გადახდა?

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რომელი პროდუქტის სავაჭრო ნიშანი მოგწონთ და რატომ?



1.15. დაიმახსოვრეთ!

„როდესაც სწორად ვაფასებთ ჩვენს ძალას, მაშინ ნათლად ვხედავთ, რა უნდა გავაკეთოთ კეთილი მიზნის მისაღწევად“ /სპინოზა/.

„ყველას აქვს საკმარისი ძალა, გააკეთოს ის, რაშიც დარწმუნებულია“ /გოეთე/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის საჭირო იმისათვის, რომ კეთილ მიზნებს მივაღწიოთ?
2. თქვენი აზრით, რა იგულისხმება სიტყვებში - „კეთილი მიზანი“?
3. რაში ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის რწმენა?



1.18. ეს საინტერესოა!

ფულის პროცენტით გასესხება ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი უძველესი ჩვეულებაა. ასეთი რამ ბაბილონში დაახლოებით 28 საუკუნის წინ დაიწყო.

საბანკო საქმიანობა შედარებით გვიან იტალიაში განვითარდა. სიტყვა ბანკი (Banco) ამავე ენიდან მოდის. ის მაგიდას, დახლს ნიშნავს. მაგიდები სავაჭრო მოედნებზე იყო მოწყობილი და მათზე მწვანე ფერის ნაჭერი ეფარა. ვაჭრები დახლებზე ყრიდნენ მონეტებს, ცვლიდნენ სხვა მონეტებში ან პროცენტით გასცემდნენ. ასეთი საქმიანობით ძირითადად იტალიელები და ებრაელები იყვნენ დაკავებული. მათ ბანკირები ეწოდებოდათ.

ჩვეულება - დამკვიდრებული წესი, ზნე.

დახლი - სავაჭრო მაგიდა.

მონეტა - ლითონის ფული.

უპასუხეთ კითხვებს:

- როდის დაიწყეს ადამიანებმა ფულის გაპროცენტება?
- რას ნიშნავს ბანკი იტალიურად?
- როგორ იქცეოდნენ ძველი ბანკირები?

ზმნები

№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	არჩევს	არჩევდა	გამოარჩია	გამოარჩევს	გამოარჩიოს	გამოურჩევია	გამორჩევა
2	[თავს] არიდებს	[თავს] არიდებდა	[თავი] მოარიდა	[თავს] მოარიდებს	[თავი] მოარიდოს	[თავი] მოურიდებია	[თავის] მორიდება
3	წონის	წონიდა	აწონა	აწონის	აწონოს	აუწონია	აწონა

V თავი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები და ელემენტები

I ნაწილი დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. თქვენი აზრით, რა მიზნით ადგენენ დოკუმენტს?
3. როგორ ფიქრობთ, რა არის ის, რაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს დოკუმენტს?

1.2. ტექსტი:

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები წესების ერთიანი სისტემისაგან შედგება. მათი გამოყენებით მოიპოვებენ ინფორმაციას საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. მეთოდურ ელემენტებს შორისაა: დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია.

ნებისმიერ დოკუმენტს წერილობითი სახე აქვს, ამიტომ დოკუმენტაცია სამეურნეო პროცესში მომხდარი ფაქტის წერილობითი გაფორმებაა. ასეთი მოქმედება ბუღალტრული აღრიცხვის დროს აუცილებელია. სხვა შემთხვევაში აღრიცხვა არასწორად **წარიმართება**.

ბუღალტრული დოკუმენტები სპეციალური ფორმის **ბლანკებია**. ისინი სხვადასხვა სახისაა, მაგალითად:

1. სალაროს შემოსავლის **ორდერი**, რომელიც სალაროში თანხის მიღებას აღრიცხავს;
2. სალაროს გასავლის **ორდერი**, რომელიც ფულად ერთეულებში ადასტურებს სალაროდან თანხის გაცემას;
3. **მიღება-ჩაბარების აქტი** აღრიცხავს საწარმოს მიერ საქონლის ან მომსახურების მიღებას;
4. **ხელფასის უწყისი** არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ჩარიცხული ხელფასის, დასაკავებელი გადასახადისა და ხელზე ასაღები თანხის რაოდენობას.

ყველა დოკუმენტს უნდა ახლდეს შესაბამისი **რეკვიზიტები**: დოკუმენტის დასახელება, ნომერი, შედგენის თარიღი, **პასუხისმგებელი პირის** ხელმოწერა და სხვ. რეკვიზიტი ბლანკზე არის სტანდარტული **უჯრა**, რომელიც უნდა შეივსოს.

ინვენტარიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდური წესია. ის დოკუმენტებში დაფიქსირებულ **მონაცემებს** რეალურ ფაქტებს ადარებს. მაგალითად, კონკრეტულ მომენტში ადგენს, თუ რა

მდგომარეობაშია უკვე შექმნილი ინვენტარი: კუთვნილი ავტომანქანები, საოფისე ავეჯი, **დანადგარები** და სხვ. ინვენტარიზაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს აღმოჩენას, პოვნას. ამიტომ მისი ჩატარების შედეგად ირკვევა, თუ რა სახის ინვენტარის **დანაკლისი** ან **მეტობა** აქვს საწარმოს.

1.3. ლექსიკა:

წარიმართება	აქ: საქმეს მიმართულება, გეზი მიეცემა.
ბლანკი	ნაბეჭდი ფურცელი, რომელშიც ცარიელი ადგილები შესავსებადაა დატოვებული.
სალარო	აქ: საგადასახადო ორგანოებში რეგისტრირებული სააღრიცხვო აპარატი.
ორდერი	წერილობითი საბუთი, რომელიც გასცემს ნებართვას, თანხმობას.
აქტი	აქ: საწარმოო ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.
უწყისი	დოკუმენტი, რომელიც სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენება, მაგ., ფინანსურ ოპერაციას აფიქსირებს.
რეკვიზიტი	სავალდებულო მონაცემი, რომლიც დოკუმენტში უნდა შეივსოს.
პასუხისმგებელი პირი	პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს მოვალეობა და პასუხს აგებს თავის ქმედებაზე.
უჯრა	აქ: ინფორმაციის შესავსებად გამოყოფილი სპეციალური ადგილი.
მონაცემი	მოცემული, მოწოდებული ფაქტი, ცნობა.
დანადგარი	ადგილზე, მაგალითად, ქარხანაში დადგმული ტექნიკური საშუალება.
დანაკლისი	აქ: ინვენტარიზაციის შედეგად ნაპოვნი საქონლის ნაკლებობა (ის, რაც დააკლდათ).
მეტობა	აქ: ინვენტარიზაციის შედეგად ნაპოვნი საქონლის მეტი, ჭარბი რაოდენობა.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რისგან შედგება ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები?
2. რას მოიპოვებენ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდთა გამოყენებით?
3. როგორია ნებისმიერი დოკუმენტის ფორმა?
4. დაასახელეთ ბუღალტრული დოკუმენტის ორი მაგალითი.
5. რა უნდა ახლდეს ბუღალტრულ დოკუმენტს?
6. რას ადარებენ დაფიქსირებულ მონაცემებს ინვენტარიზაციის დროს?
7. რა ირკვევა ინვენტარიზაციის შედეგად?

სინონიმები	ანთონიმები
ერთიანი - მთლიანი მოიპოვებს - მოიძიებს ადასტურებს - ეთანხმება უჯრა - გრაფა აღმოჩენა - პოვნა დანაკლისი - ნაკლებობა მეტობა - სიჭარბე	ერთიანი - ნაწილობრივი სწორად - არასწორად ჩარიცხული - ჩაურიცხავი დანაკლისი - მეტობა



მოიპოვებს მაგ., ქვემო ქართლის რეგიონში ოქროს მოიპოვებენ. ჟურნალისტმა საინტერესო ინფორმაცია მოიძია.	მოიძიებს მაგ., დირექტორმა საკუთარი თანხმობა წერილობით დაადასტურა. - თქვენს მოსაზრებას არ ვეთანხმები!
ადასტურებს მაგ., დმანისში უძველესი ევროპელი ადამიანების ძვლები აღმოაჩინეს. - ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სად არის? ვერ ვიპოვე!	ეთანხმება მაგ., დმანისში უძველესი ევროპელი ადამიანების ძვლები აღმოაჩინეს. - ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სად არის? ვერ ვიპოვე!
აღმოჩენა მაგ., დმანისში უძველესი ევროპელი ადამიანების ძვლები აღმოაჩინეს. - ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სად არის? ვერ ვიპოვე!	პოვნა მაგ., დმანისში უძველესი ევროპელი ადამიანების ძვლები აღმოაჩინეს. - ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სად არის? ვერ ვიპოვე!

განასხვავეთ:	
მაგიდის უჯრა მაგ., ჩემი პირადობის მოწმობა მაგიდის უჯრაში დევს. - ბუღალტრულ უწყისში უჯრების შევსება არ დაგავიწყდეს!	შესავსები უჯრა მაგ., ჩემი პირადობის მოწმობა მაგიდის უჯრაში დევს. - ბუღალტრულ უწყისში უჯრების შევსება არ დაგავიწყდეს!

ა.

როგორი?	სწორი - არასწორი / ოპერატიული - არაოპერატიული
როგორ?	სწორად - არასწორად / ოპერატიულად - არაოპერატიულად
მაგ., - ალბათ, არასწორად გამიგეთ, მე თქვენი თანამშრომელი არა ვარ!	
- თუ არაოპერატიულად იმოქმედებთ და ნედლეულს არ მოგვაწვდით,	
მაშინ წარმოება დროებით გაჩერდება!	

ბ.

სახ.	ეს	ფაქტი	ეგ	დოკუმენტი	ის	ინფორმაცია
მოთხ.	ამ	ფაქტ მა	მაგ	დოკუმენტ მა	იმ	ინფორმაცია მ
მიც.	ამ	ფაქტ ს	მაგ	დოკუმენტ ს	იმ	ინფორმაცია ს
						და სხვ.

1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ბუღალტერი: ბ-ნო გიორგი, სალაროს შემოსავლებისა და გასავლების დღევანდელი ორდერები შემოგიტანეთ!

ფინანსური მენეჯერი: რამდენი დოკუმენტია?

ბუღალტერი: სულ რვაა, მაგრამ ერთი სამეურნეო ოპერაცია კიდევ არის შესასრულებელი და ორიც დაემატება – შემოსავლისა და გასავლისა.

ფინანსური მენეჯერი: საბანკო ანგარიშიდან თანხა რისთვის მოიხსნა?! რაში დაგვჭირდა?!

ბუღალტერი: მასალების შესასყიდად, ბ-ნო გიორგი! 30 ტონა ცემენტი და 2 ათასი ცალი ბლოკი დაემატეთ. ბანკიდან 29.000 ლარი საწარმოს სალაროს ანგარიშზე გადმოვიტანე და 28.715 ლარი შესყიდვისთვის გადავრიცხე. ორდერებში ზუსტი თანხებია მითითებული.

ფინანსური მენეჯერი: დოკუმენტზე ხელის მოწერა დაგვიწყებია, ნანა!

ბუღალტერი: არა, ბ-ნო გიორგი! მინდოდა, ჯერ თქვენ გენახათ,... ხელს ახლავე მოვაწერ...

უპასუხეთ კითხვებს:

- რა სახის დოკუმენტები შემოუტანა ფინანსურ მენეჯერს ბუღალტერმა?
- რა მიზნით გადმოიტანა ბუღალტერმა საბანკო ანგარიშიდან თანხა სალაროს ანგარიშზე?
- ბუღალტრის თქმით, რა იყო მითითებული აღრიცხვის დოკუმენტებში?
- ფინანსური მენეჯერის აზრით, რა შეცდომა დაუშვა ბუღალტერმა?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ჩაის დამამზადებელ საწარმოში“

1.6. დაასრულეთ წინადადებები. გამოიყენეთ წყვილები:

სალაროს შემოსავლის ორდერი
სპეციალური ფორმის ბლანკები
მიღება-ჩაბარების აქტი

სალაროს გასავლის ორდერი
ხელფასის უწყისი

1. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები არის
2. დოკუმენტი, რომელიც საქონლის ან მომსახურების მიღებას ადასტურებს, არის
3. დოკუმენტი, რომელიც საწარმოს სალაროში თანხის მიღებას წერილობით აღრიცხავს, არის
5. დოკუმენტი, რომელიც ასახავს დარიცხული ხელფასის, დასაკავებელი გადასახადისა და ხელზე ასაღები თანხის რაოდენობას, არის
6. დოკუმენტი, რომელიც ფულად ერთეულებში ადასტურებს სალაროდან თანხის გაცემას, არის

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:

გაფორმება პოვნა ხლება დადასტურება წარმართვა

- ქარხნის ხარჯების შესახებ არსებულ ინფორმაციას დაინტერესებული პირი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებში
- კარგად ნახეთ, შევსებულ ბლანკს ჩვენი რეკვიზიტები
- საწარმოში მიმდინარე ყველა ფინანსურ მოქმედებას წერილობით
- არ ვიცით, საქმე როგორ, ამიტომ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.
- გიორგიმ საკუთარი თანხმობა არ და ბლანკზე ხელი არ მოაწერა.

1.8. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	შედგა	[შე]დგება	შედგება
2.	დაადასტურა	ადასტურებს	დაადასტურებს
3.	შეივსო	ივსება	შეივსება



გაიხსენეთ:

რა უნდა ქნას? უნდა დაადასტუროს

რა უნდა ქნან? უნდა დაადასტურონ

მაგ., - თქვენი სამსახურში მიღება დირექტორმა ბრძანებაზე ხელმოწერით უნდა დაადასტუროს!

- საკუთარი გადაწყვეტილება წერილობით უნდა დაადასტურონ!



1.9. მოსმენა

დიალოგი ორ ბუღალტერს შორის

დანარჩენს ადვილად მივხედავ - დარჩენილ საქმეს ადვილად მოვუვლი, ადვილად გავაკეთებ.

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ნინო მიღება-ჩაბარების აქტს ეძებდა.		
2.	ბუღალტრული დოკუმენტები საწერი მაგიდის უკრაში ეწყო.		

3.	დათო წინა დღეს აღრიცხვის ბლანგებს ადგენდა.		
4.	ნინომ სალაროს შემოსავლის ორდერი ვერ იპოვა.		
5.	დათოს ყველა დოკუმენტში რეკვიზიტები ჰქონდა შევსებული.		
6.	დათო სარეკლამო მომსახურების ხარჯებს ანგარიშობდა და ამის გამო არ ეცადა.		

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:


- 1.....
- 2.....
- 3.....

1.12. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ეძებდა ნინო?
2. რა მიზნით ეძებდა ბუღალტერიის თანამშრომელი აღრიცხვის დოკუმენტებს?
3. რა ვერ იპოვა ნინომ საწერი მაგიდის უჯრაში?
4. რა იანგარიშა დათომ სახელფასო უწყისში?
5. დათოს დავალებით, რა უნდა გაეკეთებინა ნინოს?

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.



ბ.

მხოლოდობითი		მრავლობითი	
რას ვშვრებოდი?	ვადგენდი	რას ვშვრებოდი?	ვადგენდით
რას შვრებოდი?	ადგენდი	რას შვრებოდი?	ადგენდით
რას შვრებოდა?	ადგენდა	რას შვრებოდნენ?	ადგენდნენ

გ.

სახ.	რეკვიზიტები	ის	შევსება
მოთხრ.	რეკვიზიტები	ის	შევსება
მიც.	რეკვიზიტები	ის	შევსება
			და სხვ.

1.14. საპრეგნტაციო თემა

რისთვის არის აუცილებელი ბუნებრივი ადრისხვის დოკუმენტების შედგენა?

1.15. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - როგორ ჩაატარებდით ინვენტარიზაციას საწარმოში?



1.16. დაიმასხოვრეთ!

„ყოველ წევს მიუჩინე თავისი ადგილი, ყოველი საქმისთვის შესაბამისი დრო გქონდეს“ /ბენუამენ ფრანკლინი/.

„კარგ ჩინოვნიკებს ცუდი კანონებითაც შეუძლიათ ქვეყნის მართვა, მაგრამ, თუ ჩინოვნიკი არ ვარგა, მას საუკეთესო კანონებიც ვერაფერს უშველის“ /ოტო ფონ ბისმარკი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რისკენ მოუწოდებს ადამიანებს ბ. ფრანკლინი?
2. თქვენი აზრით, რა მოეთხოვება ჩინოვნიკს, ანუ მოხელეს, რომ მან საქმე კარგად გააკეთოს?



1.17. ეს საინტერესოა:

დოკუმენტი ლათინური სიტყვაა (documentum) და დადასტურებას ნიშნავს. ის საჭირო ცნობებს შეიცავს და იმისთვის იქმნება, რომ ინფორმაცია შეინახონ ან სხვას გადასცენ.



კონფიდენციალური იმ დოკუმენტებს ეწოდება, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას წარმოებას, ქვეყანას ან ფინანსურ პოლიტიკას. მაგალითად, საქართველოში დამზადებული ლიმონათის - „ლალიდის წყლების“ - რეცეპტები საიდუმლოა. ის მიტროფანე ლალიძემ (1869-1960) შექმნა, რომელმაც ჯერ კარგად შეისწავლა უალკოჰოლო სასმელების წარმოება, შემდეგ კი სხვადასხვა ნატურალური ხილი გამოიყენა და ასე მიიღო უნიკალური სასმელები. „ლალიდის წყლების“ ქარხანა დღესაც მკაცრად იცავს თავის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

საფრთხე - იგივეა, რაც საშიშროება.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას ნიშნავს ლათინურად სიტყვა დოკუმენტი?
- რა მიზნით ადგენენ დოკუმენტს?
- რა შემთხვევებში ქმნიან კონფიდენციალურ დოკუმენტებს?

II ნაწილი შეფასება და კალკულაცია



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. იყენებთ თუ არა ილუსტრაციებზე გამოხატულ ნივთებს და რა მიზნით?
3. თქვენი აზრით, რა კავშირია მათ შორის?

2.2. ტექსტი:

სამეურნეო საქმიანობა საკმაოდ რთული პროცესია. ის არაერთი საწარმოო ოპერაციისაგან შედგება, მაგალითად, ნედლეულის შესყიდვის, პროდუქციის დამზადების, ფულად ერთეულებში ყიდვა-გაყიდვის, ვალდებულებების დაფარვისა და სხვა სახის საქმიანობისაგან. ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვის დროს მნიშვნელოვანია შეფასების ელემენტი. თუ საწარმოო ოპერაცია ფულადი საზომი ერთეულით არ შეფასდა, მაშინ ბუღალტრული აღრიცხვა ფინანსურ შედეგს ვერ დაიანგარიშებს.

კალკულაცია ლათინური სიტყვაა და „დაანგარიშებას“ ნიშნავს. ისიც ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდური საშუალებაა. თითოეული **დანახარჯის** დაანგარიშებით მიიღება საერთო ხარჯი, რომელიც წარმოებული პროდუქტის **თვითღირებულებას** ადგენს. ამ პროცესის დროს კალკულაციის ხერხს იყენებენ და ითვლიან თანხას, რომელიც კონკრეტული საქონლის საწარმოებლად **გაიღო** საწარმომ. დაანგარიშებისას კარგად ჩანს, თუ რამდენი **დაუჯდა** მას პროდუქტის დამზადება.

იმისთვის, რომ დავადგინოთ ნაწარმის თვითღირებულება, უნდა **შევკრიბოთ** ის თანხები, რომლებიც მის მისაღებად **დაიხარჯა**. ასეთი ფულადი გასაღვლებია, მაგალითად: პროდუქციის საწარმოებლად **დაქირავებული** მუშების ხარჯი, ძირითადი მასალისა და საწარმოო მიზნით **მოხმარებული** ელექტროენერგიის ხარჯები და სხვ. მათი დაანგარიშებით გავიგებთ იმას, რა რაოდენობის თანხა გაიღეს ერთი ცალი პროდუქტის, მაგალითად, ერთი ბოთლი ღვინის, ჩამოსასხმელად.

2.3. ლექსიკა:

შეფასება	აქ: ფულის ერთეულებში დათვლა, ღირებულების დადგენა.
ელემენტი	მთელის შემადგენელი ნაწილი, დეტალი.
კალკულაცია	იგივეა, რაც დაანგარიშება.

დანახარჯი	ის, რაც დაიხარჯა, დახარჯვის შედეგი.
გაიღებს	იგივეა, რაც გასცემს, დახარჯავს.
დაუჯდება	მისთვის რაიმე ფასი ექნება, რაიმე ეღირება (მაგ., ძვირი ან იაფი).
შეკრებს	აქ: მიუმატებს, ერთმანეთს დაამატებს.
დაქირავებული [მუშა]	პირი, რომელიც სამუშაოდ დაიქირავეს, აიყვანეს.
მომხმარებელი	ის, რაც მოიხმარეს, დახარჯეს.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის დროს შეფასების ელემენტი?
2. სადაური სიტყვაა „კალკულაცია“ და რას ნიშნავს ის?
3. როგორ უნდა დაანგარიშდეს საერთო ხარჯი?
4. რა ხერხს იყენებენ პროდუქტის თვითღირებულების დადგენისას?
5. დაასახელეთ საწარმოს მიერ გაღებული ხარჯის ერთი მაგალითი.

სინონიმები	ანტონიმები
რთული - ძნელი კალკულაცია - დაანგარიშება ხერხი - საშუალება მოხმარებული - დახარჯული	რთული - მარტივი მნიშვნელოვანი - უმნიშვნელო შეკრებს - გამოაკლებს



რთული	ძნელი
მაგ., - რა რთული მაგალითი იყო, ძლივს გამოვიყვანე! - ეგ საქმე ძალიან ძნელი გადასაწყვეტია.	

განასხვავეთ:	
კარი გაიღო	თანხა გაიღო
მაგ., ოთახის კარი სწრაფად გაიღო და დედაჩემი შემოვიდა. საწარმომ საუკეთესო პროდუქტის დასამზადებლად ერთი მილიონი გაიღო.	
გვერდით დაუჯდა	ძვირი დაუჯდა
მაგ., ნინო თავის კოლეგას გვერდით დაუჯდა და ლაპარაკი დაუწყო. ქარხანას პროდუქტის წარმოება ძვირი დაუჯდა.	

ა. დაიმასხროვრეთ!

- **თქან** ბოლოსართი ძირითადად სახელებს დაერთვის და რაიმეს ჟონას აღნიშნავს.

ასაკოვანი - იგივეა, რაც: ასაკის მეტნე, მოხუცი.

მნიშვნელოვანი - იგივეა, რაც: მნიშვნელობის მეტნე.

მაგ., ის ქალბატონი ასაკოვანი იყო, მაგრამ ავტობუსში ადგილი არავინ დაუთმო.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას დავეხმარო.

ბ. დაიმასხროვრეთ!

რას შვრება? ხარჯავს იცვამს

რა უქნია? დაუხარჯავს ჩაუცვამს

მაგ., ჩემს მეგობარს 10 ლარი დაუხარჯავს.

რა კარგად გამოიყურება, როგორ ლამაზად ჩაუცვამს.

რა მიქნია?

რა გვიქნია?

რა გიქნია?

რა გიქნიათ?

რა უქნია?

რა უქნიათ?



[მე] დამიმაღლავს

[ჩვენ] დაგვიმაღლავს

[შენ] დაგიმაღლავს

[თქვენ] დაგიმაღლავთ

[მას] დაუმაღლავს

[მათ] დაუმაღლავთ

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ლუკა: საწარმოში იყავი თუ პირდაპირ სახლიდან მოდიხარ?

გოგი: ვერ ხედავ, ტანსაცმელი როგორი დასვრილი მაქვს?! სხვათა შორის, საწარმოშიც ვიყავი და საწყობშიც.

ლუკა: რა?!... რამე იყო დასაანგარიშებელი?!... ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, ასე რა გამოვა, მე რატომ არ დამირეკე?!

გოგი: ვიცოდი, რომ შენც ბევრი საქმე გქონდა და აღარ დავირეკე. ფინანსურ დირექტორს გაყიდვებიდან შემოსული თანხის საერთო რაოდენობა აინტერესებს, ანგარიშს მთხოვს და ქილები სათითაოდ დავთვალე საწყობში, რამე შეცდომა არ მომივიდეს.

ლუკა: დისტრიბუციამ რომ 2 მანქანა კონსერვები დატვირთა ამ დღით, ისიც გადათვალე?!

გოგი: ჰო, მუშები მომეხმარნენ, თორემ მართლაც რას ვიზამდი?

ლუკა: მეგონა, ყველა დოკუმენტი კვირის ბოლოსთვის უნდა გაგვემზადებინა, რა მოხდა?!... რატომ ეჩქარება?!

გოგი: მგონი, ხვალ დირექტორთა საბჭოა და შედეგები ლარში უნდა შევაფასო. ხომ იცი, აღრიცხვის ყველა დოკუმენტს მოგვთხოვენ.

უპასუხეთ კითხვებს:

- საიდან მოდიოდა გოგი?
- რატომ უსაყვედურა ლუკამ გოგის?
- რა აინტერესებდა ფინანსურ დირექტორს?
- რა გააკეთა გოგიმ საწყობში?
- რას სთხოვდა ფინანსური დირექტორი გოგის და რატომ?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თქმაზე:

- „ბუღალტერიის ორი თანამშრომლის საუბარი“

ქილა - ძირითადად მინის, შუშის ჭურჭელი.

სათითაოდ - ცალ-ცალკე, თითო-თითოდ.



ა. დაიმახსოვრეთ!

სხვათა შორის

გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმეს ასაბუთებთ, თქვენს აზრს გამოთქვამთ და გსურთ, ეს აზრი სხვასაც გააგებინოთ. წინადადებაში ის მძიმეებით გამოყავით. მაგ., სხვათა შორის, შენი საქციელი არ მომწონს.



ბ. დაიმახსოვრეთ!

ნაცვალსახელები - **ერთმანეთი და ერთიმეორე** - სინონიმებია და ორ პირს შორის ურთიერთობას გამოხატავს.

მაგ., ისინი **ერთმანეთს** დაეხმარებიან.

ისინი **ერთიმეორეს** დაეხმარებიან.

სახ.	ერთმანეთი	ერთიმეორე
მოთხრ.	[ერთმანეთმა]	[ერთიმეორემ]
მიც.	ერთმანეთს	ერთიმეორეს
ნათ.	ერთმანეთის	ერთიმეორის
მოქმ.	ერთმანეთით	ერთიმეორით
ვით.		
წოდ.		



მოთხრობითის ფორმები - ერთმანეთმა და ერთიმეორემ - იშვიათად გამოიყენება.

მაგ., დაე, ერთმანეთმა [//ერთიმეორემ] გაგაძლიეროთ!

სახ.	ერთმანეთის	დახმარება	ერთიმეორის	დახმარება
მოთხრ.	ერთმანეთის	დახმარებამ	ერთიმეორის	დახმარებამ
მის.	ერთმანეთის	დახმარებას	ერთიმეორის	დახმარებას
				და სხვ.

2.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესიტყვებები:

მოხმარებული ელექტროენერგია	არაერთი საწარმო
ხარჯების დაანგარიშება	პროდუქტის თვითღირებულება
საქონლის წარმოება	საერთო ხარჯი

1. როდის აპირებთ ამ თვის ?
2. ამ თვეში საწარმოს მიერ ბევრი არ იყო, სულ 2300 ლარი დაგვიხარჯავს.
3. ჩვენი ბუღალტერი ხვალვე დაიანგარიშებს და შედეგის შესახებ მალევე მოგახსენებთ.
4. უკვე დავთვალეთ და 8.900 ლარი შეადგინა.
5. წელს ცუდი მოსავალი იყო, ამიტომ სხვა ქვეყნებიდან შემოიტანა ნედლეული.
6. ახალი დანადგარების შესყიდვა დაგჭირდება.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუჟინ	დღეს	ხვალ
1.	გამოიყენა	იყენებს	გამოიყენებს
2.	დაუჯდა	უჯდება	დაუჯდება
3.	შეკრიბა	კრებს	შეკრებს



2.8. მოსმენა

ღიალოგი: საკონსერვო ქარხნის ბუღალტერიაში

ნუ წუწუნებ! - საყვედურებს ნუ გამოთქვამ!
გირჩევნია, საქმეს შეუდგე! - გირჩევნია, საქმე დაიწყო!

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	პომიდვრის კონსერვი ბაზარზე გასაყიდად ორშაბათიდან უნდა გაეტანათ.		

2.	მთავარ ბუღალტერს კიტრის კონსერვის თვითღირებულება აინტერესებდა.		
3.	გიოსა და ლიას შემოსავლები და გასავლები უნდა დაეთვალიათ.		
4.	თანამშრომლებს ხელფასის უწყისიც უნდა შეედგინათ.		
5.	გიოსა და ლიას ყველა ხარჯი კომპიუტერულ პროგრამაში უნდა შეეტანათ.		
6.	ლია თავის თანამშრომელს საქმის დაწყებას აჩქარებდა.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა დავალება მიიღო ლიამ მთავარი ბუღალტრისაგან?
2. რა უნდა დაეთვალიათ ბუღალტერიის თანამშრომლებს?
3. რა შემთხვევაში ვერ შეძლებდა საწარმო თავისი პროდუქციის გაყიდვას?
4. რისი გამოყენებით ანგარიშობდნენ ადრე ბუღალტრები?
5. რა უყიდა დედამ გიოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ და რატომ?
6. რამ გაადვილა დღეს ბუღალტრული აღრიცხვა?

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ა.

ისეთი კალკულატორი,
როგორიც...

ისეთი კალკულატორები,
როგორებიც...

ბ.



დაიმახსოვრეთ!

I. ჩემგან ჩვენგან
II. შენგან თქვენგან
III. [ი]მისგან [ი]მათგან
აგრეთვე: ყველასგან, თითოეულისგან.
მაგ., თქვენგან წასვლა არ მინდა.



გან გამოიყენება მაშინაც, როცა არსებითი სახელი მასალას აღნიშნავს.
მაგ., ოქრო —> სამკაულებს ოქროსგან ამზადებენ.



გან დაერთვის პროფესიის გამოცხადებულ სიტყვებსაც.

მაგ., ბუღალტერი — ბუღალტრისგან საბოლოო პასუხს ველოდები.

2.13. საპრემენტაციო თემა

რაში ეხმარება ადამიანს მათემატიკის ცოდნა?

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – რა შემთხვევაში იყენებთ კალკულატორს?



2.15. დაიმასხოვრეთ!

„ხშირად კარგ რამეებს საზიანო შედეგები მოაქვს. არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ გაანადგურა ფულმა ესა თუ ის ადამიანი, ან როგორ იმსხვერპლა ის გაბედულებამ“ /არისტოტელე/.

„მთავარია ნიჭი, რომელიც განაპირობებს ყველა დანარჩენს“ /ბლემ პასკალი/.

განაპირობებს – პირობად, საფუძვლად უდებს.

უპასუხეთ კითხვებს:

1. შეუძლია თუ არა ფულს ადამიანის განადგურება და რატომ?
2. რატომ არის ადამიანისათვის ზედმეტი გაბედულება, ანუ რისკი, ხანდახან საზიანო?
3. თქვენი აზრით, რა არის მთავარი – ნიჭი თუ შრომისმოყვარეობა?



2.16. ეს საინტერესოა:

1642 წელს ფრანგი ბლემ პასკალი 19 წლის ყმაწვილი იყო, როცა ერთ-ერთი პირველი გამომთვლელი მანქანა გამოიგონა და მას „პასკალინა“ უწოდა. ბიჭი ყურადღებით აკვირდებოდა მამას, რომელიც გადასახადების ამკრეფად მუშაობდა და დაანგარიშებისაგან ძალიან იღლებოდა. ბ. პასკალის მიერ გამოგონილი მანქანა მექანიკური იყო და ყუთის ფორმა ჰქონდა. ის რიცხვებს ერთმანეთს უმატებდა, აკლებდა და ა.შ. დაანგარიშების პასუხის რკინის ყუთის ზედაპირზე იწერებოდა. „პასკალინა“ ძვირი ღირდა, ამიტომ მას ბევრი ვერ ყიდულობდა.

პირველი ელექტრონული კალკულატორი იაპონურმა კომპანია „შარპმა“ (Sharp) 1964 წელს დაამზადა. დღეს ელექტრონული კალკულატორები არაერთი ფირმის სახელით გამოდის.

ზედაპირი – საგნის გარეთა და თან ზედა მხარე.

უპასუხეთ კითხვებს:

- ვინ და რა მიზნით გამოიგონა ერთ-ერთი პირველი გამომთვლელი მანქანა?
- სად იწერებოდა დაანგარიშების შედეგი?
- სად გამოიგონეს პირველი ელექტრონული კალკულატორი?

III ნაწილი ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. თქვენი აზრით, რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?

3.2. ტექსტი:

საანგარიშგებო პერიოდებს უწოდებენ დროის იმ მონაკვეთს, რომელშიც სამეურნეო პროცესებში მომხდარი თითოეული ფინანსური ცვლილება უნდა დათვალონ. როგორც წესი, საანგარიშგებო პერიოდი ერთი წლითაა განსაზღვრული, მაგრამ ის შეიძლება ერთთვიანი ან **კვარტალურიც** იყოს.

თითოეული ანგარიში სამეურნეო ოპერაციით გამოწვეულ ცვლილებას ასახავს. მაგალითად, თუ საწარმოს **ნაღდი ფულის** რაოდენობა იცვლება, მაშინ ეს ფინანსური მოქმედება ნაღდი ფულის დოკუმენტში **პირდაპირ** უნდა გადმოვიდეს და იქ ჩაიწეროს. ამ შემთხვევაში მოქმედებს მეთოდი, რომელსაც **ანგარიშთა სისტემა** ჰქვია. ის ანგარიშთა **ერთობლიობაა**, ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვისას საწარმოო პროცესში მომხდარი მოქმედებები ანგარიშთა სისტემის დახმარებით ასახება.

დაანგარიშებისას ერთი და იგივე ფულადი ერთეული გამოიყენება. მაგალითად, თუ ბუღალტერმა საბანკო ანგარიშიდან რომელიმე საქონლის შესაძენად საწარმოს სალაროში **გადმოიტანა** 3.500 ლარი, მაშინ ეს ფინანსური ოპერაცია ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტში უნდა ჩაიწეროს. საქმე ის არის, რომ ამის პარალელურად კომპანიის სალაროში გაჩნდა ბანკიდან **გადმორიცხული** (გამოტანილი) თანხა - 3.500 ლარი; ე.ი ბანკში არსებულ ანგარიშს დააკლდა ფულის კონკრეტული რაოდენობა. რა საშუალებას მიმართავს ასეთ შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვა? ის **ორმაგი ჩაწერის** მეთოდს გამოიყენებს და ორივე ცვლილებას დააფიქსირებს: I - საწარმოს სალაროში თანხის

შემოტანას და II - საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის შემცირებას. ასეთი ურთიერთმიმართების დაცვა აუცილებელია.

ამრიგად, ანგარიშთა სისტემაცა და ორმაგი ჩაწერაც ბუღალტრული აღრიცხვის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. ისინი საშუალებას გვაძლევს, გავაერთიანოთ ფინანსური ინფორმაციები და დავაზუსტოთ თანხის მიმოქცევა.

3.3. ლექსიკა:

საანგარიშო პერიოდი	ბუღალტრული ანგარიშისთვის დადგენილი დრო, პერიოდი.
კვარტალური პერიოდი	წლის მეოთხედით (3 თვით) განსაზღვრული დროის მონაკვეთი.
ნაღდი ფული	ფული, რომელიც ნამდვილად აქვთ, ხელზე აქვთ.
ანგარიშთა სისტემა	ანგარიშთა მთლიანობა.
ერთობლიობა	მთლიანობა, ერთიანობა.
გადმოიტანს	რაიმე საგანს ადგილს შეუცვლის, თავისკენ წამოიღებს.
პარალელურად	აქ: რაიმესთან ერთად მიმდინარე, ერთდროულად მოქმედი.
გადმორიცხული	აქ: ისეთი თანხა, რომელიც რომელიმე ანგარიშზე გადმოიტანეს, გადმოაგზავნეს.
დააკლდება	შეუმცირდება, ნაკლები ექნება.
ორმაგი ჩაწერა	ბუღალტრული აღრიცხვისას სამეურნეო პროცესის ორმხრივი ასახვა, მაგ., აქტივებისა და პასივების პარალელური ანგარიში.
ურთიერთმიმართება	ერთმანეთთან კავშირი, მიმართება.
მიმოქცევა	აქ: თანხის ბრუნვა სხვადასხვა მიმართულებით.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რას უწოდებენ საანგარიშგებო პერიოდებს?
2. როგორ უნდა მოიქცნენ მაშინ, როცა საწარმოში ნაღდი ფულის რაოდენობა იცვლება?
3. რა არის ანგარიშთა სისტემა?
4. რას აფიქსირებენ ორმაგი ჩაწერის მეთოდით?
5. რის საშუალებას იძლევა ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა?

სინონიმები	ანტონიმები
წელი - წელიწადი ერთთვიანი - თვიური ნაღდი - ნამდვილი მიმოქცევა - ბრუნვა	ერთწლიანი - მრავალწლიანი გადმოიტანა - გადაიტანა გადმორიცხული - გადარიცხული დააკლდა - დაემატა შემცირება - მატება



ნაღდი ფული	ნამდვილი ამბავი
მაგ., - ნაღდი ფული თან არ მაქვს, მთელი თანხა ბანკში შევიტანე. მივხვდი, რომ ის არ მატყუებდა და ნამდვილ ამბავს მიყვებოდა.	



ა. დაიმახსოვრეთ!

ურთიერთ რთულ სიტყვაში გვხვდება და აღნიშნავს ერთმანეთთან დაკავშირებულ მხარეებს.

მაგ., ორმაგი ჩაწერის დროს აქტივებსა და პასივებს შორის

ურთიერთმიმართების დაცვა აუცილებელია.



ბ. დაიმახსოვრეთ!

პირდაპირ - საწინააღმდეგო, მოპირდაპირე მხარეს; ან: დაუფარავად, გარკვევით.

პირისპირ - იგივეა, რაც: პირდაპირ, ანუ საწინააღმდეგო მხარეს.

მაგ., ჩემ პირდაპირ ლამაზი ქალი იდგა.

- პირდაპირ უნდა მიპასუხო!

საგადასახადო ინსპექტორს პირისპირ ვესაუბრე.

ა. პირისპირ → დაპირისპირებს (რას იზამს?) → დაპირისპირება (რა?)

ბ. პირისპირ → საპირისპირო [აზრი]



ჩემ	პირდაპირ	ჩვენ	პირდაპირ
შენ	პირდაპირ	თქვენ	პირდაპირ
[ი]მის	პირდაპირ	[ი]მათ	პირდაპირ
მაგრამ:	მინისტრის პირისპირ...		
	ჩემი სახლის პირდაპირ...		

3.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნიკო: შესყიდვებზე რომ თანხა გავეცით, რამდენი ლარი დაგვრჩა სალაროში?

თინა: ბევრი აღარაა, დაახლოებით ათი ათასი ლარი იქნება. რა?!.. სასწრაფოა რამე?!...

ნიკო: ჰო, ხვალ დილით ერთი თვით დაქირავებულ მუშებს ხელფასი ნაღდი ფულით უნდა გადავუხადოთ.

თინა: მაშინ შრომის ანაზღაურების უწყისიც გასამზადებელი მქონია.

ნიკო: აუცილებლად, თინა, თორემ უხელფასოდ დაგვრჩება ეგ ხალხი. კარგად იმუშავეს და სოფლებში უნდათ წასვლა.

თინა: რამდენი მუშა გვყავდა, ზეპირად თუ გახსოვს?

ნიკო: კი, როგორ არა... სულ ცხრა კაცი იყო....

თინა: აბა, ბანკიდან თანხის გადმორიცხვა აღარ დაგვჭირდება, ათი ათასი ლარი მაგათ კი ეყოფათ.

ნიკო: შენი იმედი მაქვს, თინა, დილისთვის ყველაფერი მოგვარე. ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ვინმეს ხელფასი უგვიანდება.

უპასუხეთ კითხვებს:

- რის შემდეგ დარჩათ საწარმოს სალაროში ათი ათასი ლარი?
- რატომ დააბუსტა ნიკომ სალაროში არსებული თანხის რაოდენობა?
- რომელი ბუღალტრული დოკუმენტი უნდა გაემზადებინა თინას?
- რატომ აღარ დასჭირდებოდათ ბანკიდან თანხის გადმორიცხვა?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თქვენ:

- „დაქირავებული მუშების ანაზღაურება“

შრომის ანაზღაურების უწყისი – ბუღალტრული დოკუმენტი, რომლითაც დაქირავებული მუშების ხელფასებიც აღირიცხება.

3.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:

შეცვლა	გადმორიცხვა	დაკლება
გამოყენება	გაერთიანება	დაზუსტება

1. თუ მთელ თანხას შესყიდვებზე გადავრიცხავთ, მაშინ სხვა ხარჯებს ფული
2. თუ ახალ სამსახურში კარგი ანაზღაურება მექნება, მაშინ ჩემი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა
3. სალაროში ნაღდი ფულის რაოდენობა !
4. შარშან ორი საწარმო და შრომის უკეთესი პირობები შევექმენით.
5. მგონი, უკვე გვიანია და ბანკი თანხას აღარ
6. ბ-ნმა გიორგიმ საკუთარი კაპიტალი ახალი საწარმოს გასახსნელად

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუჟინ	დღეს	ხვალ
1.	იმოქმედა	მოქმედებს	იმოქმედებს
2.	გადმოიტანა	[გადმო]იტანს	გადმოიტანს
3.	დააკლდა	აკლდება	დააკლდება
4.	გააერთიანა	აერთიანებს	გააერთიანებს
5.	დააზუსტა	აზუსტებს	დააზუსტებს



3.8. მოსმენა

დიალოგი: მშენებელი და ბუღალტერი

ხმის აწევა – ხმამაღლა ლაპარაკი
გეხვეწები – გთხოვ

3.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ბუღალტერმა მშენებელს ბანკიდან გადმორიცხული თანხის ზუსტი რაოდენობა უთხრა.		
2.	გივი მარნეულიდან მარმარილოს ქვების ჩამოტანას აპირებდა.		
3.	სამშენებლო პროექტის მიხედვით, მარმარილოს ქვები არ სჭირდებოდათ.		
4.	ლალამ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტში ბანკიდან გადმორიცხული თანხა შეიტანა.		
5.	საბანკო ანგარიშზე ერთი მილიონი ლარი კიდევ იყო.		
6.	ლალის მშენებლის ხმამაღალი ლაპარაკი არ მოეწონა.		
7.	გივი კარგ ხასიათზე იყო.		
8.	ლალი და გივი მხოლოდ თანამშრომლები იყვნენ.		

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. მშენებლის თხოვნით, რომელი საბუღალტრო ოპერაცია შეასრულა ლალამ?
2. რა მიზნით სჭირდებოდა გივის 75.000 ლარი?
3. რომელი საბუღალტრო ოპერაციის გაფორმებას აპირებდა ლალი მეორე დღეს?
4. რა ეწყინა ლალის მშენებლისაგან?
5. რატომ გაჩუმდა ბუღალტერი?
6. რა გზით შეეცადა გივი, რომ თავისი არასწორი საქციელი გამოესწორებინა?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

ანგარიშიდან თანხა მოხსენი!	ანგარიშიდან თანხა არ მოხსნა!
----------------------------	------------------------------

პირში წყალი დაიგუბა - გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.
მაგ., პირში წყალი დავიგუბე, ვინმეს რამე რომ არ გაეგო.



ხმა გაკმინდა – სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.

ხმა მისცა – ვიღაც ან რაღაც აირჩია.

სიტყვა პირზე შეაშრა – უეცრად ველარაფური თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...).

3.13. საპრეზენტაციო თემა

წარმოება თანხის მიმოქცევას მოითხოვს...

3.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **სახლში რემონტს რომ აკეთებდეთ, ჩაინიშნავდით თუ არა საკუთარი თანხის ბრუნვას და რატომ?**



3.15. დაიმახსოვრეთ!

„ერთდროულად იყო ძალიან კარგი და ძალიან მდიდარი, შეუძლებელია“ /პლატონი/.

„თქვენი წარმატება და კეთილდღეობა მხოლოდ თქვენს გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული“ /ჯონ როკფელერი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რაში უშლის ხელს ადამიანს დიდი ქონება?
2. ეთანხმებით თუ არა მეორე მოსაზრებას და რატომ?



3.16. ეს საინტერესოა!

ლუკა ბართლომეო დე პაჩიოლი (1445–1515) ის იტალიელი მათემატიკოსი იყო, რომელმაც თანამედროვე ბუღალტერიის პრინციპები დააფუძნა და ორმაგი ჩაწერის მეთოდი გამოიგონა. მან თავისი პირველი წიგნი 1470 წელს დაწერა. ეს იყო კომერციული არითმეტიკის სახელმძღვანელო. მოგვიანებით ლუკა პაჩიოლი კითხულობდა ლექციებს ალგებრასა და გეომეტრიაში. „თანხის არითმეტიკა, გეომეტრია, ურთიერთობები და პროპორციები“ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელშიც მოცემულია არითმეტიკული წესები, ოპერაციების ტექნიკა და მრავალი სხვა.

ლუკა ბართლომეო დე პაჩიოლი მეგობრობდა უდიდეს იტალიელ მოქანდაკესთან – ლეონარდო და ვინჩისთან.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა პროფესიის იყო ლუკა პაჩიოლი?
- რით არის ცნობილი იტალიელი მეცნიერი - ლუკა პაჩიოლი?

ლექსიკა:

ანგარიშთა სისტემა	ანგარიშთა მთლიანობა.
აქტი	აქ: საწარმოო ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ბლანკი	ნაბეჭდი ფურცელი, რომელშიც ცარიელი ადგილები შესავსებადაა დატოვებული.
გადმოიტანს	რაიმე საგანს ადგილს შეუცვლის, თავისკენ წამოიღებს.
გადმორიცხული	აქ: ისეთი თანხა, რომელიც რომელიმე ანგარიშზე გადმოიტანეს, გადმოგზავნეს.
გაიღებს	იგივეა, რაც გასცემს, დახარჯავს.
დააკლდება	შეუმცირდება, ნაკლები ექნება.
დანადგარი	ადგილზე, მაგალითად, ქარხანაში დადგმული ტექნიკური საშუალება.
დანაკლისი	აქ: ინვენტარიზაციის შედეგად ნაპოვნი საქონლის ნაკლებობა (ის, რაც დააკლდათ).
დანახარჯი	ის, რაც დაიხარჯა, დახარჯვის შედეგი.
დაუჯდება	მისთვის რაიმე ფასი ექნება, რაიმე ეღირება (მაგ., ძვირი ან იაფი).
დაქირავებული[მუშა]	პირი, რომელიც სამუშაოდ დაიქირავეს, აიყვანეს.
ელემენტი	მთელის შემადგენელი ნაწილი, დეტალი.
ერთობლიობა	მთლიანობა, ერთიანობა.
კალკულაცია	იგივეა, რაც დაანგარიშება.
კვარტლური პერიოდი	წლის მეოთხედით (3 თვით) განსაზღვრული დროის მონაკვეთი.
მეტობა	აქ: ინვენტარიზაციის შედეგად ნაპოვნი საქონლის მეტი, ჭარბი რაოდენობა.
მიმოქცევა	აქ: თანხის ბრუნვა სხვადასხვა მიმართულებით.
მონაცემი	მოცემული, მოწოდებული ფაქტი, ცნობა.
მოხმარებული	ის, რაც მოიხმარეს, დახარჯეს.
ნაღდი ფული	ფული, რომელიც ნამდვილად აქვთ, ხელზე აქვთ.
ორდერი	წერილობითი საბუთი, რომელიც გასცემს ნებართვას, თანხმობას.
ორმაგი ჩაწერა	ბუღალტრული აღრიცხვისას სამეურნეო პროცესის ორმხრივი ასახვა (მაგ., აქტივებისა და პასივების პარალელური ანგარიში).
პარალელურად	აქ: რაიმესთან ერთად მიმდინარე, ერთდროულად მოქმედი.
პასუხისმგებელი პირი	პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს მოვალეობა და პასუხს აგებს თავის ქმედებაზე.
რეკვიზიტი	სავალდებულო მონაცემი, რომლიც დოკუმენტში უნდა შეივსოს.
საანგარიშგებო პერიოდი	ბუღალტრული ანგარიშისთვის დადგენილი დრო, პერიოდი.
სალარო	აქ: საგადასახადო ორგანოებში რეგისტრირებული სააღრიცხვო აპარატი.
ურთიერთმიმართება	ერთმანეთთან კავშირი, მიმართება.
უწყისი	დოკუმენტი, რომელიც სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენება. მაგ., ფინანსურ ოპერაციას აფიქსირებს.
უჯრა	აქ: ინფორმაციის შესავსებად გამოყოფილი სპეციალური ადგილი.
შეკრებს	აქ: მიუმატებს, ერთმანეთს დაამატებს.
შეფასება	აქ: ფულის ერთეულებში დათვლა, ღირებულების დადგენა.
წარიმართება	აქ: საქმეს მიმართულება, გზი მიცემა.

ზმნები							
№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	ადასტურებს	ადასტურებდა	დაადასტურა	დაადასტურებს	დაადასტუროს	დაუდასტურებია	დადასტურება
2	აერთიანებს	აერთიანებდა	გააერთიანა	გააერთიანებს	გააერთიანოს	გაუერთიანებია	გაერთიანება
3	აზუსტებს	აზუსტებდა	დააზუსტა	დააზუსტებს	დააზუსტოს	დაუზუსტებია	დაზუსტება
4	აკლდება	აკლდებოდა	დააკლდა	დააკლდება	დააკლდეს	დაჰკლებია	დაკლება
5	[გადმო]იტანს	[გადმო]იტანდა	გადმოიტანა	გადმოიტანს	გადმოიტანოს	გადმოუტანია	გადმოტანა
6	ივსება	ივსებოდა	შეივსო	შეივსება	შეივსოს	შეევსებულა	შევსება
7	იყენებს	იყენებდა	გამოიყენა	გამოიყენებს	გამოიყენოს	გამოუყენებია	გამოყენება
8	კრებს	კრებდა	შეკრიბა	შეკრებს	შეკრიბოს	შეუკრებია	შეკრება
9	მოქმედებს	მოქმედებდა	იმოქმედა	იმოქმედებს	იმოქმედოს	უმოქმედი	მოქმედება
10	უჯდება	უჯდებოდა	დაუჯდა	დაუჯდება	დაუჯდეს	დასჯდომია	[დაჯდომა]
11	[შე]დგება	[შე]დგებოდა	შედგა	შედგება	შედგეს	შემდგარა	შედგომა

VI თავი ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი

I ნაწილი ფინანსური ანგარიშგება



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რაზე მიგვითითებს პირველი ილუსტრაცია?
2. რა აკავშირებს მოცემულ ილუსტრაციებს ერთმანეთთან?
3. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს სამართლიანობის დაცვას?

1.2. ტექსტი:

ფინანსური ანგარიშგება საწარმოს საინფორმაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის დოკუმენტურად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას, საანგარიშგებო პერიოდის ფულად შედეგებსა და ცვლილებებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის იყენებენ ბუღალტრული აღრიცხვის **პრინციპებს**. ერთ-ერთი ამგვარი პრინციპია ფულადი შეფასება, რომლის მიხედვითაც, ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა **ობიექტი** ფულადი საზომი ერთეულით გამოისახება. საქართველოში ასეთი საზომი არის ლარი, მაგრამ თუ ის **მყარი ვალუტის** სახეს დაკარგავს ან **ინფლაციას** დაიწყებს, მაშინ ფინანსური ანგარიშგება შეიძლება **კორექტირდეს**. ასევე, თუ საწარმოს ფულადი რესურსები დაგროვებული აქვს ეროვნულ ერთეულში (/ლარში), მაგრამ შეიმჩნევა, რომ ის დოლართან ან ევროსთან მიმართებით **უფასურდება**, მაშინ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა საწარმომ შეიძლება რომელიმე მყარ ვალუტაში გადაიტანოს.

ფინანსურ ანგარიშგებას თავისი ხარისხობრივი **მახასიათებლებიც** აქვს. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, საიმედოობა, რომელზეც ზემოქმედებს **სამართლიანი წარდგენა**. ის გულისხმობს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენას **სამართლიანობის** პრინციპზე დაყრდნობით. მასში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს ნამდვილი და არ უნდა გვხვდებოდეს **შეგნებულად დაშვებული** შეცდომები: დოკუმენტი არ უნდა მალავდეს საწარმოში გამოშვებული პროდუქტის საერთო რაოდენობას, გაყიდვებიდან შემოსული ფულადი ერთეულების **რიცხვით** მაჩვენებელს და ა.შ. მაგალითად, თუ

საწარმომ გამოუშვა 3.715 ლარის წვენი, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებაში მხოლოდ 2.315 წერია, მაშინ ის არ არის შედგენილი სამართლიანი წარდგენის პრინციპზე და **არასაიმედოა**.

ფინანსურ ანგარიშგებას სხვა პრინციპები და მახასიათებლებიც აქვს, ამ ყველაფერს კი აღრიცხვისას აუცილებლად **ითვალისწინებენ**. ხარისხიანი დოკუმენტაცია დამოკიდებულია ბუღალტრის მაღალ **პროფესიონალიზმსა და პრინციპულობაზე**.

- სამართლიანი წარდგენა ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებელია.

1.3. ლექსიკა:

პრინციპი	ამოსავალი, საყრდენი დებულება, აზრი.
ობიექტი	აქ: რაიმე საგანი, აღრიცხვის ერთეული.
მყარი ვალუტა	კონკრეტულ პერიოდში დასაყრდენი ფულადი ერთეული.
ინფლაცია	ქალაქის ფულის გაუფასურება.
კორექტირდება	შესწორდება, ცვლილებები შევა.
უფასურდება	ფასს, ღირებულებას კარგავს.
მახასიათებელი	ის, რაც რაიმე საგანს ახასიათებს.
სამართლიანი წარდგენა	სწორად, კანონებისა და პრინციპების მიხედვით გადაცემა.
სამართლიანობა	სწორი პრინციპების ერთიანობა, კანონის დაცვა.
შეგნებულად	იგივეა, რაც გააზრებულად.
არასაიმედო	ვისი ან რისი იმედიც არ აქვთ, არასანდო.
ითვალისწინებს	მხედველობაში იღებს, ანგარიშს უწევს.
პროფესიონალიზმი	პროფესიული ცოდნის ერთობლიობა.
პრინციპულობა	პრინციპებით მოქმედება.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რისი ნაწილია ფინანსური ანგარიშგება?
2. რას იყენებენ ფინანსური ანგარიშგების დროს?
3. რა შემთხვევაში კორექტირდება ფინანსური ანგარიშგება?
4. რაში შეიძლება ფინანსური რესურსის გადატანა?
5. რას გულისხმობს სამართლიანი წარდგენა?
6. რაზეა დამოკიდებული ბუღალტრული დოკუმენტების შედგენის ხარისხი?

სინონიმები	ანტონიმები
მომზადება – შედგენა, გამზადება ინფლაცია – გაუფასურება კორექტირდეს – შესწორდეს წარდგენა – პრეზენტირება რიცხვითი – რაოდენობრივი	მყარი – სუსტი სამართლიანობა – უსამართლობა შეგნებულად – შეუგნებლად [და]მაღავს – [გამო]აჩენს საიმედო – არასაიმედო



საგნის მომზადება მაგ., ეს საგანი ჯერ არ მომიმზადებია. ღირეცტორთა საბჭოს სხდომის გეგმა უკვე შედგენილია.	გეგმის შედგენა
ინფლაცია მაგ., – ხომ ხედავ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინფლაციაა. ჩვენი ტრადიციები დღეს ცოტა გაუფასურებულია.	გაუფასურება

ა.

რას იზამს? ბუღალტერი ამ შეცდომას არ დაუშვებს. ის შედეგს დაინგარიშებს. როგორი? თანამშრომლის მიერ დაშვებული შეცდომა მძიმე არ იყო. ბუღალტრის მიერ დაანგარიშებული თანხა 3.540 ლარი იყო.



ბ. დაიმასსოვრეთ!

ამნაირი, ამგვარი და ამისთანა სინონიმებია. მათ დაესმის კითხვა: როგორი?

მაგ., არასრულწლოვანთა მიმართ ამგვარი ქცევა უკანონოა.

მაგნაირი კაბა მეც მაქვს.



ამ უჩვენებს, რომ საგანი I პირთან არის ახლოს.

მაგ გამოხატავს II პირთან სიახლოვეს.

იმ III პირთან მდგომ საგნებს აღნიშნავს.

I	II	III
ამნაირი	მაგნაირი	იმნაირი
ამგვარი	მაგგვარი	იმგვარი
ამისთანა	მაგისთანა	იმისთანა

ბ.

რა? რიცხვი შრომა	როგორი? რიცხვითი შრომითი
მაგ., - რამდენ ჯგუფად იყოფა რიცხვითი სახელები? შრომითი ხელშეკრულება უკვე გამიფორმეს.	



ასეთივე ფორმებია: მამრობითი, მდედრობითი.
მაგ., სპეციალურ გრაფაში უნდა ჩაწეროთ, მდედრობითი სქესის ხარტ თუ მამრობითისა!



სახ.	რიცხვითი	სახელები
მოთხრ.	რიცხვითმა	სახელებმა
მიც.	რიცხვით	სახელებს და სხვ.

1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნიკო: გოგი, დღეს დილით სამსახურში რომ მოვდიოდი, თვალი მოვკარი, მგონი, ლარმა გაუფასურება დაიწყო.

გოგი: სად დაინახე?!

ნიკო: სად და... სავალუტო ჯიხურებზე გამოკრულ დაფებზე.

გოგი: რას ამბობ, ნიკო?!... მაინც რამდენი ერთეულით დაეცა?

ნიკო: მთელი ოცი თეთრით. სამი დღის წინ 100 დოლარი 230 ლარი ღირდა, ახლა 250-ია. იქნებ, ბანკში დარეკო და გადაამოწმო.

გოგი: შენ რასაც ამბობ, ეგ თუ სიმართლეა, მაშინ ხელმძღვანელობა სასწრაფოდ ჩავაყენოთ საქმის კურსში. ჩვენი საბანკო ანგარიშის ნაწილი მყარ ვალუტაში უნდა გადავიტანოთ, თორემ ბევრს წავაგებთ.

ნიკო: მოიცა, ნუ ჩქარობ! პირველიდან ორამდე დარეკვა არ ღირს, შესვენებაზე არ იყვნენ გასული.

გოგი: რა შესვენებაზე, ნიკო?! ჩვენი კრედიტოფიცერი რომც არ იყოს, ეგ რა პრობლემაა, მაგას ხომ ნებისმიერი ოპერატორი მეტყვის. ერთ დღეში 20 ერთეული ძალიან ბევრია, წარმოებას ხომ არ გავაჩერებთ.

ნიკო: კარგი, ადექი!... ამდენ ნერვიულობას ის არ გირჩევნია, პირდაპირ დირექტორთან შეხვიდე...

უპასუხეთ კითხვებს:

- რა ამბავი მოუტანა ნიკომ გოგის?
- სად დაინახა მან ლარის კურსის ვარდნა?
- რისი შექმინდა გოგის?
- რა გადაწყვეტილება მიიღო მან?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ლარი გამყარებას იწყებს“

სავალუტო ჯიხური - ფულის გადასახურდავებული მცირე ზომის ნაგებობა.
ჩავაყენოთ საქმის კურსში - საქმეში გავარკვიოთ, გავაგებინოთ.
კრედიტოფიცერი - საკრედიტო რისკების მენეჯერი ბანკში.

რა დროიდან რა დრომდე? // როდიდან როდემდე?

პირველიდან ორამდე - იგივეა, რაც: პირველი საათიდან ორ საათამდე.

რა ადგილიდან რა ადგილამდე? // საიდან სადამდე?

ჩემი ქალაქიდან შენ სოფლამდე ხუთი კილომეტრია.

1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ფულადი შედეგები	მაღალი პროფესიონალიზმი	მყარი ვალუტა
ეროვნული ბანკი	დაშვებული შეცდომები	სამართლიანი წარდგენა

1. ეროვნული ფულადი ერთეული რომ გადაიქცეს, ამას რეფორმები სჭირდება.
2. მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო და ახალი ბრძანება გამოაქვეყნა.
3. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფინანსური დოკუმენტაციის
4. თქვენ მიერ ცუდი შედეგი გამოიღო.
5. საანგარიშგებო პერიოდში ყოველთვის აღრიცხავენ
6. თინა აბაშიძე დიდი ხანია ბუღალტრად მუშაობს და გამოირჩევა.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დაკარგა	კარგავს	დაკარგავს
2.	გაუფასურდა	უფასურდება	გაუფასურდება
3.	გაითვალისწინა	ითვალისწინებს	გაითვალისწინებს



1.8. მოსმენა

დიალოგი: გაყიდვების მენეჯერი და ბუღალტერი

კანონდარღვევა – კანონის შეუსრულებლობა, მისი დარღვევა.

შენისთანა ბუღალტრებს სანთლით ეძებენ – შენისთანა ბუღალტრები იშვიათია.

დაწვრილებით – დაზუსტებით, ზუსტად.

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ –ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ლალის ანგარიშგების ბუღალტრული დოკუმენტები 12 საათისათვის უნდა დაემთავრებინა.		
2.	საწარმოს ბუღალტრული საბუთები დირექტორს უნდა შეემოწმებინა.		
3.	ლალის აღრიცხვის დოკუმენტებში შეცდომის დაშვება არ სურდა.		
4.	ანგარიშგების დოკუმენტებში დაშვებული შეცდომების გამო ფინანსური პოლიცია პასუხს მოითხოვდა.		
5.	წინა წელს ლალიმ კანონი დაარღვია და შეცდომები შეგნებულად დაუშვა.		
6.	ლალი პროფესიონალი ბუღალტერი იყო.		
7.	ბუღალტერმა გაყიდვების მენეჯერს წლიური ანგარიშის შედგენაში დახმარება სთხოვა.		

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რისთვის მოვიდა ლალი სამსახურში შედარებით ადრე?
2. რატომ ჩქარობდა ბუღალტერი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტის შევსებას?
3. რისი ემინოდა ლალის?
4. როგორი უნდა იყოს ბუღალტრის მიერ შედგენილი ანგარიშგება?
5. როგორი ბუღალტერი იყო ლალი?
6. რა მიზნით ჩავიდა ქვემოთ გაყიდვების მენეჯერი?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

1.13. საპრეზენტაციო თემა

საყვადურების მოსმენა არავის უყვარს...

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - რაში ეხმარება ადამიანს პროფესიონალიზმი?



1.15. დაიმახსოვრეთ!

„ადამიანი თავისი ნებით კი არ ირჩევს სამართლიანობას, არამედ იძულებით“ /გლავკონი/.
„გახსოვდეს, რომ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი“ /ილია ჭავჭავაძე/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის თქვენთვის სამართლიანობა და ეთანხმებით თუ არა პირველ მოსაზრებას?
2. ილიას აზრით, რა თვისება წარმართავს ნებისმიერ საქმიანობას?



1.16. ეს საინტერესოა!

ინფლაცია ლათინური სიტყვაა (inflation) და „გაბერვას“ ნიშნავს. ეს ტერმინი ძირითადად მაშინ გამოიყენება, როცა პროდუქტებზე ფასები იზრდება, ან ქვეყანა იძულებულია, მეტი ფულადი ერთეული გამოუშვას. თუ სახელმწიფოში ძვირფასი ლითონების (ოქროს, ვერცხლის...) რაოდენობა დაიკლებს, მაშინ დაიკლებს ფულის რაოდენობაც. საქართველოში მათი მარაგი ინახება ეროვნულ ბანკში. ეს ორგანიზაცია განსაზღვრავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას.

ინფლაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ XVI ს-ში მომხდარი ამბავი: ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ ევროპის ქვეყნებში მექსიკიდან და პერუდან დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის შემოტანა დაიწყო. საუკუნის ბოლოს ევროპის სამომხმარებლო ბაზარზე ფასები ძალიან გაიზარდა, ანუ ინფლაციური მოვლენა დაფიქსირდა.

მარაგი - ის, რაც მომარაგებულია, შენახულია.

მონეტარული პოლიტიკა - ფულადი პოლიტიკა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა შემთხვევებში იყენებენ ტერმინს „ინფლაცია“?
- როდის იკლებს ფულის რაოდენობა?
- სად ინახება ძვირფასი ლითონების მარაგი საქართველოში?
- რას განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი?

II ნაწილი ბუღალტრული ბალანსი



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რა აერთიანებს მოცემულ ილუსტრაციებს?
2. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა მათ შორის?

2.2. ტექსტი:

ფინანსური ანგარიშგება სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. მათ შორის მნიშვნელოვანია **ბუღალტრული ბალანსი** გამოყოფა. მასში მთლიანად აისახება საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსი გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას კონკრეტული მომენტისთვის. ის საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის უნდა შედგეს.

ბუღალტრულ ბალანსში საწარმოს აქტივებიცა და პასივებიც ეროვნულ ვალუტაში უნდა გამოისახოს. ამ დროს იყენებენ ორმხრივობის, ანუ ორმაგი ჩაწერის, პრინციპს. ბალანსის შედგენის დროს ძირითადად **ვერტიკალური ფორმატი** გამოიყენება. აქ ჯერ აქტივები უნდა ჩამოითვალოს, შემდეგ კი – ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. მათ თითოეულ დასახელებას **ბალანსის მუხლს** უწოდებენ.

ბუღალტრულ ბალანსში აქტივებიცა და პასივებიც გრძელვადიან და მოკლევადიან ერთეულებად უნდა **განლაგდეს**. მათი მუხლები **ლიკვიდურობის** პრინციპითაც **ჯგუფდება**. ლიკვიდურობა ნიშნავს იმას, თუ რამდენად სწრაფად შეუძლია აქტივს ან პასივს გადაიქცეს ფულად. მაგალითად, საწარმოსთვის **სასაქონლო მარაგი** უფრო ლიკვიდური აქტივია, ვიდრე – რომელიმე შენობა-ნაგებობა, რადგან საქონლის გაყიდვას ბევრად ნაკლები დრო სჭირდება. ბალანსის თითოეული მხარის **ჯამს**, მაგალითად, აქტივებისას, ბალანსის ვალუტა ეწოდება, თუმცა ამ შემთხვევაშიც იყენებენ **ტერმინს** ბალანსი.

- ბუღალტრული ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის უნდა შედგეს.
- აქტივისა და პასივის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლს უწოდებენ.

2.3. ლექსიკა:

ბუღალტრული ბალანსი	აქ: საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულად ამსახველი დოკუმენტი.
ვერტიკალური ფორმატი	აქ: დოკუმენტის ფორმა, რომელიც გაყოფილია ზემოდან ქვემოთა მიმართულების ხაზით.

ბალანსის მუხლი	ბალანსის ნაწილი, მისი შემადგენელი.
განლაგდეს	გაეწყოს, დალაგდეს.
ლიკვიდურობა	აქ: ფულად გარდაქმნის შესაძლებლობა.
ჯგუფდება	თავს იყრის, ერთადაა, ჯგუფადაა.
სასაქონლო მარაგი	საქონელი, რომელიც მომარაგებულია, შენახულია (ძირითადად გასაყიდად).
ჯამი	საერთო რაოდენობა.
ბალანსის ვალუტა	ბალანსის თითოეული მხარის (აქტივის ან პასივის) ჯამი.
ტერმინი	რომელიმე დარგისთვის დამახასიათებელი სიტყვა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რა აისახება ბუღალტრულ ბალანსში?
2. რას გვიჩვენებს ის?
3. რომელ პრინციპს ეყრდნობიან ბუღალტრული ბალანსის შედგენისას?
4. ბუღალტრები ძირითადად რომელ ფორმატს იყენებენ?
5. რას ეწოდება ბალანსის მუხლი?
6. რას ნიშნავს ლიკვიდურობა?


სინონიმები	ანტონიმები
კომპონენტი - შემადგენელი გამოყოფა - გამოცალკევება სწრაფად - ჩქარა, უმაღლეს გადაიქცეს - გარდაიქმნას უფრო - გაცილებით	მთლიანად - ნაწილობრივ ბოლოს - თავში[ვე] ვერტიკალური - ჰორიზონტალური სწრაფად - ნელა



უფრო	გაცილებით
მაგ., მე ლურჯი შარვალი უფრო მომეწონა. ჩემი სოფელი გაცილებით ლამაზია.	

განასხვავეთ!	
ღრმა ჯამი	მიმატების ჯამი
მაგ., შუშის ღრმა ჯამზე მწიფე ხილი ეწყო. - როცა დაიანგარიშე, რამდენი გამოგივიდა მიმატების ჯამი?	

ა.



ბ.

მე მინდა ჩამოვთვალო	ჩვენ გვინდა ჩამოვთვალოთ
შენ გინდა ჩამოვთვალო	თქვენ გინდათ ჩამოვთვალოთ
მას უნდა ჩამოვთვალოს	მათ უნდათ ჩამოვთვალონ
მაგ., მე მინდა ჩვენი გაკეთებული საქმეები ჩამოვთვალო.	

მე უნდა ჩამოვთვალო	ჩვენ უნდა ჩამოვთვალოთ
შენ უნდა ჩამოვთვალო	თქვენ უნდა ჩამოვთვალოთ
მან უნდა ჩამოვთვალოს	მათ უნდა ჩამოვთვალონ
მაგ., მე თვითონ უნდა ჩამოვთვალო, რამდენი კაცი იყო სხდომაზე.	

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

კაკო: რა ქენი, გივი, ბალანსის შედგენა უკვე დაამთავრე?!

გივი: არა, ჯერ რა დროსია, ხუთი დღე მაინც დამჭირდება.

კაკო: ვერტიკალურად აკეთებ თუ ჰორიზონტალურად?

გივი: როდის ყოფილა, რომ ბუღალტრული ბალანსი ჰორიზონტალურ ფორმატზე შემედგინა? ვერტიკალურს ვარ მიჩვეული.

კაკო: საგადასახადო ვალდებულებები მუხლების მიხედვით დააწყვე?

გივი: რა უცნაურ კითხვებს მისვამ, კაკო?! გეგონება, პირველად მხედავდე, ან ის არ იცოდე, ეგ რომ არ მეშლება.

კაკო: საწყენად კი არ შეგეკითხე, გივი: ჩემი ბიჭი მინდა შენთან მოვიყვანო. ეკონომიკის ფაკულტეტი შარშან დაამთავრა და იქნებ პრაქტიკულად ნახოს, როგორ ადგენ ბალანსს.

გივი: თავიდანვე ეგრე გეთქვა, არ სჯობდა?! ხვალვე მომიყვანე, ჩემ გვერდით დავსვამ და ნელ-ნელა ყველაფერს ვასწავლი.

ჯერ რა დროსია – ჯერ დრო არ არის, დრო მჭირდება, [საქმე] დროს მოითხოვს.

უპასუხეთ კითხვებს:


- რომელ ფორმატში ადგენდა გივი ბუღალტრულ ბალანსს?
- როგორ ჰქონდა ბუღალტერს ვალდებულებები განაწილებული?
- რა სთხოვა თანამშრომელმა გივის?
- როგორ აპირებდა ბუღალტერი თანამშრომლის შვილისათვის ბალანსის შედგენის სწავლებას?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ბუღალტრული ბალანსის შედგენა“



დაიმახსოვრეთ!



2.6. წაიკითხეთ ტექსტი:

თამარი ნაყინის დამამზადებელი საწარმოს ერთ-ერთ ბუღალტრად დანიშნეს. მან აღრიცხვის ყველა დოკუმენტი წინ დაიწყო და წლის ბოლოსთვის ბუღალტრული ბალანსი შეადგინა. ჯერ პასივები ჩამოწერა, შემდეგ - აქტივები. აქტივებში საწარმოს ყველა ხარჯი აღწერა, გრძელვადიან პასივებში კი კუთვნილი მიწის ნაკვეთი, შენობები და დანადგარები შეიტანა. როცა მთავარმა ბუღალტერმა თამარის მიერ შედგენილი ბუღალტრული ბალანსი ნახა, ის სამსახურიდან გაათავისუფლა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რის მიხედვით უნდა შეედგინა თამარს ბუღალტრული ბალანსი?
- რა მიძიე შეცდომები დაუშვა მან ბალანსის შედგენისას? იპოვეთ ისინი და გაასწორეთ.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	გამოყო	[გამო]ყოფს	გამოყოფს
2.	უჩვენა	უჩვენებს	უჩვენებს
3.	განლაგდა	[გან]ლაგდება	განლაგდება
4.	დაჯგუფდა	ჯგუფდება	დაჯგუფდება



2.8. მოსმენა

დიალოგი: საწარმოს ბუღალტერი და დირექტორის მდივანი

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	თინა მთავარ ბუღალტერთან იყო შესული.		
2.	მთავარი ბუღალტერი და თინა მხოლოდ მოკლევადიან აქტივებს ამოწმებდნენ.		
3.	თინა მთავარი ბუღალტრის შენიშვნის გამო იყო განერვიულებული.		
4.	ბუღალტერს გრძელვადიან აქტივებში საწარმოს კუთვნილი მაცივრები ჰქონდა გამორჩენილი.		
5.	საწარმოს თავის ბალანსზე 7 მაცივარი ჰქონდა.		
6.	თინას ბუღალტრობის დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდა.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის გამო ელოდებოდა სანდრო თინას?
2. რა შეიტანა თინამ მთავარ ბუღალტერთან?
3. რას ამოწმებდნენ ისინი?
4. რის გამო უსაყვედურა მთავარმა ბუღალტერმა თინას?
5. რა შეცდომა გაასწორეს თანამშრომლებმა ბუღალტრულ ბალანსში?

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

სახ.	იგივე	შეცდომა
მოთხრ.	იმავე	შეცდომა ^მ
მიც.	იმავე	შეცდომა ^ს

და სხვ.

მაგ., იმედია, ბუღალტრულ ბალანსში იმავე შეცდომას აღარ დაუშვებ!



დაიმახსოვრეთ!

ალბათ,

გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენ მიერ გამოთქმული აზრი სავარაუდოა, შესაძლებელია, დასაშვებია. წინადადებაში ის მძიმეებით გამოყავით.

მაგ., **ალბათ**, საღამომდე სახლში ვერ მოვალ.

2.13. საპრეზენტაციო თემა

როგორ ვმართავდი საწარმოს, ჩემი რომ იყოს...

2.14. წერა

იმჯელეთ საკითხზე – ჩემს ცხოვრებაში დაშვებული ყველაზე დიდი შეცდომა



2.15. დაიმახსოვრეთ!

„უმდიდრესი კაცი ისაა, ვინც მცირედით კმაყოფილდება, რადგან ეს მიანიშნებს მისი ბუნების სიმდიდრეზე“ /ევრიპიდე/.

„დაეხმარეთ ადამიანებს არა ფულის გამო, არამედ სუფთა გულით“ /ჯონ როკფელერი/.

მცირედით – ცოტათი, მცირეოდენით.

ბუნება – აქ: ადამიანის შინაგანი სამყარო, ხასიათი.

უპასუხეთ კითხვებს:

1. ევრიპიდეს აზრით, ვინ არის უმდიდრესი ადამიანი და რატომ?
2. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანებს დაეხმაროთ?
3. როგორ გესმით სიტყვები – „სუფთა გული“?



2.16. ეს საინტერესოა!

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მდიდარ ადამიანად ამერიკელ ჯონ როკფელერს ასახელებენ. ახალგაზრდობაში ის ოცნებობდა იმაზე, რომ ასი წელი ეცხოვრა და ასი ათასი დოლარი ეშოვა. ჯ. როკფელერმა მოღვაწეობა ბუღალტრობით დაიწყო, ბოლოს კი მსხვილი ნავთობკომპანიის „სტანდარტ-ოილის“ (Standard-Oil) დამფუძნებელი გახდა.

მსოფლიოს პირველი მილიარდერი თავისი შემოსავლის 10%-ს ყოველთვის სწირავდა ეკლესიას და საქველმოქმედო საქმიანობით იყო დაკავებული. ამერიკელი მეწარმის გვარი – როკფელერი – სიმდიდრის სიმბოლოდ იქცა. ის 1937 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი ფონდი ადამიანთა დახმარებას დღესაც განაგრძობს.

დამფუძნებელი – ის, ვინც რაიმეს აფუძნებს, ქმნის (მაგ., საზოგადოებას, პარტიას...)

ქველმოქმედება – სიკეთის კეთება, კეთილმოქმედება.

საქველმოქმედო ფონდი – ფულადი რესურსების მქონე ორგანიზაცია, რომელიც სასიკეთო საქმეებს აკეთებს.

უპასუხეთ კითხვებს:

- ვის ასახელებენ მსოფლიოში პირველ მილიარდერად?
- რა პროფესიით დაიწყო მან თავისი საქმიანობა?
- რას ფუნქცია აქვს მის მიერ დაარსებულ ფონდს დღესაც?

III ნაწილი ფინანსური შედეგი – ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა მიზნით იქმნება წარმოება?
2. როგორ გესმით სიტყვები – მოგება და ზარალი?
3. მოგიგიათ ან წაგიგიათ ოდესმე? მოიყვანეთ პირადი მაგალითი.

3.2. ტექსტი:

ნებისმიერი წარმოება მუშაობს იმ მიზნით, რომ მწარმოებლებს მოგება მოუტანოს. ამიტომ მმართველ პირებს აინტერესებთ, თუ როგორ იმუშავა ორგანიზაციამ დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ისინი ფინანსურ შედეგს ელოდებიან და **წმინდა მოგების** მიღება სურთ.

წმინდა მოგების დაანგარიშებისას აუცილებელია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს შემოსავლებისა და **გაწეული ხარჯების** რაოდენობის განსაზღვრა. თუ ამ ვადაში მისი საერთო შემოსავლების **ოდენობა აღემატება** საერთო ხარჯებს, მაშინ ვიტყვით, რომ საწარმოს წმინდა მოგება აქვს. მაგალითად, 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში წველების ქარხანამ თავისი პროდუქციის მისაღებად 300.000 ლარი დახარჯა. ბუღალტრული ბალანსის შედგენის შედეგად დაანგარიშდა, რომ წარმოებულმა პროდუქციამ გაყიდვის შემდეგ სალაროში შემოიტანა 450.000 ლარი. დადგინდა ისიც, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საწარმოს სხვა სახის შემოსავალი და ხარჯი არ ჰქონია. შესაბამისად, გამოდის, რომ ერთ წელიწადში წმინდა მოგებამ შეადგინა 150.000 ლარი ($450.000 - 300.000 = 150.000$). ამრიგად, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში წმინდა მოგება გვაქვს მაშინ, როდესაც საერთო შემოსავალი აღემატება საერთო ხარჯებს.

წმინდა ზარალს საწინააღმდეგო მოვლენას უწოდებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა საანგარიშგებო პერიოდში საწარმომ იმაზე მეტი დახარჯა, ვიდრე შემოსავლები ჰქონდა. თუ მან 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში პროდუქციის მისაღებად გაიღო 500.000 ლარი, მათ შორის: 300.000 ლარი წარმოების პროცესში დაქირავებული **მუშახელის** ხელფასის ხარჯი და 200.000 ლარი ნედლეულის ხარჯი, ხოლო პროდუქციის **რეალიზაციის** შემდეგ საწარმოს შემოუვიდა - 350.000 ლარი; გამოდის, რომ 2017 წლის განმავლობაში მან უფრო მეტი დახარჯა, ვიდრე ფულადი შემოსავალი მიიღო. მოყვანილი მაგალითის მიხედვით, ამ ორ **ცვლადს** (ხარჯსა და შემოსავალს) შორის **სხვაობა** საწარმოს წმინდა ზარალი იქნება.

საერთო ხარჯი - საერთო შემოსავალი = წმინდა ზარალი

$$500.000 - 350.000 = 150.000$$

ე.ი. გაწეულ ხარჯს (500.000 ლარს) უნდა გამოვაკლოთ მიღებული შემოსავალი (350.000 ლარი); შედეგად მივიღებთ 150.000 ლარს.

წმინდა მოგება ზრდის საკუთარი კაპიტალის ფულად რაოდენობას, ხოლო ზარალი ამცირებს მას. ეს ფინანსური შედეგები ანგარიშგების დოკუმენტებში უნდა აისახოს.

- წმინდა მოგების გაანგარიშებისას აუცილებელია საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების რაოდენობის განსაზღვრა.
- წმინდა მოგება ზრდის საკუთარი კაპიტალის ფულად რაოდენობას, ხოლო ზარალი ამცირებს მას.

3.3. ლექსიკა:

წმინდა მოგება	შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც საწარმოს ხარჯების შემდეგ რჩება.
გაწეული ხარჯი	ხარჯი, რომელიც გასცეს, დახარჯეს.
ოდენობა	აქ: რაოდენობა.
აღემატება	მეტია ვინმეზე, რამეზე.

წმინდა ზარალი	ხარჯებისა და შემოსავლების შედარების შედეგად ფულად ერთეულებში გამოხატული წაგება.
მუშახელი	იგივეა, რაც მუშა.
რელიზაცია	აქ: გაყიდვა, სამომხმარებლო ბაზარზე გასაყიდად გატანა.
ცვლადი	აქ: ნიშანი, რაიმეს მახასიათებელი.
სხვაობა	აქ: რაოდენობრივი განსხვავება.


3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა მიზნით მუშაობს ნებისმიერი წარმოება?
2. რას განსაზღვრავენ წმინდა მოგების დაანგარიშებისას?
3. რა შემთხვევაში უფიქსირდება საწარმოს წმინდა მოგება?
4. რას ნიშნავს წმინდა ზარალი?
5. როგორ მოქმედებს საკუთარ კაპიტალზე წმინდა მოგება და წმინდა ზარალი?

სინონიმები	ანტონიმები
სურს - უნდა აღემატება - მეტია საწინააღმდეგო - საპირისპირო მუშახელი - მუშა სხვაობა - განსხვავება	[წმინდა] მოგება - [წმინდა] ზარალი



აღემატება მაგ., მათი საწარმოს შემოსავალი ჩვენსას ერთი მილიონი ლარით აღემატება. თქვენი პროდუქცია რაოდენობრივად ბევრად მეტია.	მეტია
სხვაობა მაგ., რა სხვაობაა შემოსავლებისა და ხარჯების ფულად რაოდენობას შორის? თუ კარგად არ დააკვირდები, ამ ორ კალიგრაფიას შორის განსხვავებას ვერ იპოვი.	განსხვავება



მაგ., საწარმო თავის პროდუქციას ამ თვეში სულ გაყიდის.
მუშები თავიანთ მოვალეობას კარგად ასრულებენ.

3.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

დათო: რას ანგარიშობ, ნინო, თავს მაღლა რომ არ წევ?!

ნინო: დირექტორს წლევეანდელი წმინდა მოგება აინტერესებს და იმას ვითვლი.

დათო: დიდი დრო დაგჭირდება?!

ნინო: დღეს რომ ვერ მოვრჩები, ეს კარგად ვიცი. რატომ მეკითხები?!...

დათო: იქნებ, საღამოს 8 საათისათვის მაინც მოიცალო, რუსთაველის თეატრის ბილეთები მაქვს და გეპატიჟები.

ნინო: ბალანსში შემოსავლები და ხარჯები სულ ჩამოვწერე. დანარჩენი ხვალაც შემიძლია გავაკეთო.

დათო: ისე, წმინდა მოგება რა არის, ნინო, ასე რომ აინტერესებს ჩვენს დირექტორს?!

ნინო: რას ამბობ, ბიჭო, მაგ მოგებისთვის ვიმუშავეთ მთელი წელი! ჯერ შემოსავლებისა და ხარჯების საერთო რაოდენობა უნდა ჩამოწერო, დაიანგარიშო, მერე ერთმანეთს შეუდარო და მოგებაც გამოიხსნება.

დათო: მეც მაინტერესებს, რამდენი გამოვა. როცა დაითვლი, მითხარი რა,... გთხოვ!

ნინო: აუცილებლად გეტყვი, არ დაგიმალავ. ახლა თავი დამანებე, თუ გინდა, რომ თეატრში წამოგყვე.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა აინტერესებდა დირექტორს?
- რა საქმე ჰქონდა უკვე გაკეთებული ნინოს?
- როგორ აუხსნა ნინომ თავის თანამშრომელს, თუ რა იყო წმინდა მოგება?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ისინი წმინდა მოგებას ითვლიან“

იქნებ, საქმისგან მოიცალო – იქნებ, საქმისაგან გათავისუფლდე, თავისუფალი დრო მონახო.

მე შემიძლია გავაკეთო	ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ
შენ შეგიძლია გააკეთო	თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ
მას შეუძლია გააკეთოს	მათ შეუძლიათ გააკეთონ
მაგ., ჩვენ შეგვიძლია ეს საქმე ხვალ გავაკეთოთ.	

მე შეიძლება გავაკეთო	ჩვენ შეიძლება გავაკეთოთ
შენ შეიძლება გააკეთო	თქვენ შეიძლება გააკეთოთ
მან შეიძლება გააკეთოს	მათ შეიძლება გააკეთონ
მაგ., შეიძლება მან დაწყებული საქმე არც კი გააკეთოს.	



დაიმახსოვრეთ!

**ჯერ სინონიმია სიტყვებისა პირველად, თავდაპირველად.
ჯერჯერობით** ნიშნავს აქამდე, ჯერ კიდევ, ახლაც, ამ მომენტშიც.

ჯერ **მერე/შემდეგ/შემდგომ**

მაგ., ჯერ შემოსავლებს ვიანგარიშებ, მერე ხარჯებს.

თავდაპირველად განცხადება დაწერეთ, შემდეგ დირექტორთან შეხვედრით!

ჯერჯერობით

მაგ., ჯერჯერობით სამსახურში ვარ.

3.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

წლევანდელი მოგება

ხარჯების რაოდენობა

საწარმოს ზარალი

მუშახელის ხელფასი

შემოსავლების ოდენობა

პროდუქციის რეალიზაცია

1. თუ საერთო აღემატება საერთო ხარჯებს, მაშინ საწარმოს წმინდა მოგება დარჩება.
2. ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით 8.000 ლარი შეადგინა.
3. ჩვენი ქარხნის უკმაყოფილო ვარ, ამიტომ მომავალი წლიდან უნდა მოვუმატოთ.
4. ყველა გახარებული დარჩა.
5. მიღებულ თანხებს ხვალვე შევაჯამებ.
6. იმდენად ბევრი იყო, რომ არა მგონია, მოგება დაგვიფიქსირდეს.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დააინტერესა	აინტერესებს	დააინტერესებს
2.	აღემატა	[აღ]ემატება	აღემატება
3.	გამოვიდა	გამოდის	გამოვა



3.8. მოსმენა

ღიალოგი: ხმაური სამსახურის დერეფანში

სხვის საქმეში ჩარევა - სხვისი საქმის გარჩევა რაიმე მიზნით.

ლამის ჭკუიდან შეიშალოს - ლამის გაგიჟდეს; ცოტაც და გაგიჟდება.

არაფერი გაეგება - არაფერი იცის.

3.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	გოგი დერეფანში მომხდარ ამბავს ესწრებოდა.		
2.	ზარალის გამო ფინანსური მენეჯერი გაყიდვების მენეჯერს დერეფანში ეხსუებოდა.		
3.	თინას ხელფასების დაკლების შეეშინდა.		
4.	გაყიდვების მენეჯერი პატიოსნად მუშაობდა და სალამი არ ეზარებოდა.		
5.	გაყიდვების მენეჯერმა თინას საქმეში ჩარევის უფლება არ მისცა.		
6.	გაყიდვების მენეჯერს თანამშრომლები უსამართლოდ საყვედურობდნენ.		

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა ამბავი შეატყობინა თინამ თავის თანამშრომელს?
2. რატომ არ გავიდა დერეფანში გოგი, როცა მას ხმაური შემოესმა?
3. რამდენი იყო საწარმოს ზარალი?
4. რის გამო იზარალა საწარმომ?
5. ვის წინაშე აგებდა პასუხს გაყიდვების მენეჯერი?
6. რატომ შეაწყვეტინა სიტყვა გაყიდვების მენეჯერმა თინას?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.



დაიმახსოვრეთ!

წინაშე - იგივეა, რაც პირდაპირ ან წინ.

მიერ - დაერთვის მოქმედ პირს, საგანს.

ჩემ წინაშე ჩვენ წინაშე
შენ წინაშე თქვენ წინაშე
[ი]მის წინაშე [ი]მათ წინაშე
მაგრამ: დირექტორის წინაშე თავი უნდა
გაიმართლო.

ჩემ მიერ ჩვენ მიერ
შენ მიერ თქვენ მიერ
[ი]მის მიერ [ი]მათ მიერ
მაგრამ: მენეჯერის მიერ დაშვებული
შეცდომა აუცილებლად გამოსწორდება.

სიტყვა შეაწყვეტინა - საუბრის, ლაპარაკის დროს გააჩერა.
მაგ., დირექტორი გაბრაზდა და მუშას სიტყვა შეაწყვეტინა.



სიტყვა ჩამოართვა - საუბრის დროს გააჩერა და ლაპარაკი თვითონ გააგრძელა.

სიტყვა მოუჭრა - საუბარი სხარტი, მოქნილი პასუხით შეაწყვეტინა.

სიტყვა შეუბრუნა - შეეპასუხა; პასუხით წინააღმდეგობა გაუწია [მაგ., თავხედურად, უზრდელად და სხვა].

3.13. საპრეგენტაციო თემა

საწარმოს მოგებას და გარალის თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული

3.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - **ჩემს შეცდომაზე პასუხი მე უნდა ვაგო...**



3.15. დაიმახსოვრეთ!

„კარგი დასაწყისი მცირე რამ არის, მაგრამ ყველაფერი მცირედან იწყება“ /სოკრატე /.

„დამსაქმებლები მეტ ყურადღებას განმცხადებლის სახელებს უთმობენ, ვიდრე მათ კვალიფიკაციას“ /მარიან ბერტრანდი /.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რისკენ მოგვიწოდებს სოკრატე და რა არის თქვენთვის საქმის „კარგი დასაწყისი“?
2. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის პროფესიულ ცოდნას, ანუ კვალიფიკაციას?



3.16. ეს საინტერესოა!

ალფრედ ნობელი (1833-1896) იყო მსოფლიოში ცნობილი შვედი ქიმიკოსი, ინჟინერი, რომელმაც XIX ს-ის ბოლოს ნობელის პრემია დააწესა. 1895 წელს პარიზში მან ხელი მოაწერა ანდერძს, რომლის მიხედვითაც საკუთარი ქონების დიდი ნაწილი ფონდს გადასცა. თანხები პრემიების სახით უნდა მიენიჭებინათ იმ მეცნიერებისათვის, რომლებმაც სხვადასხვა დარგში წარმატებას მიაღწიეს. ალ. ნობელი თავის ანდერძში წერდა: ჩემი განსაკუთრებული სურვილია, რომ პრემიის მინიჭებისას გავლენა არ იქონიოს კანდიდატის ეროვნებამ.

2009 წელს ეკონომიკის დარგში ნობელის პირველი ლაურეატი ქალი ელინორ ოსტრომი იყო.

ანდერძი – დოკუმენტი, რომელიც მფლობელის ნებას გამოხატავს და მისი სიკვდილის შემდეგ უნდა შესრულდეს.

მინიჭება – ბოძება, მიცემა.

წარმატება – საქმით წინსვლის მიღწევა, რაიმეთი სხვაზე მეტობა.

ლაურეატი – პირი, რომელსაც დამსახურებისათვის პრემია მიანიჭეს.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა დაარსა ალფრედ ნობელმა?
- როგორ ადამიანებს ანიჭებენ ნობელის პრემიას?
- რას ითხოვდა ალ. ნობელი თავის ანდერძში?

ლექსიკა:

არასაიმედო	ვისი ან რისი იმედიც არ აქვთ, არასანდო.
აღმატება	მეტია ვინმეზე, რამეზე.
ბალანსის ვალუტა	ბალანსის თითოეული მხარის (აქტივის ან პასივის) ჯამი.
ბალანსის მუხლი	ბალანსის ნაწილი, მისი შემადგენელი.
ბუღალტრული ბალანსი	აქ: საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულად ამსახველი დოკუმენტი.
განლაგდეს	გაეწყოს, დალაგდეს.
გაწეული ხარჯი	ხარჯი, რომელიც გაცეს, დახარჯეს.
ვერტიკალური ფორმატი	აქ: დოკუმენტის ფორმა, რომელიც გაყოფილია ზემოდან ქვემოთა მიმართულების ხაზით.
ზარალი	აქ: მატერიალური ან ფულადი რესურსების დანაკარგი, წაგება.
ითვალისწინებს	მხედველობაში იღებს, ანგარიშს უწევს.
ინფლაცია	ქაღალდის ფულის გაუფასურება.
კორექტირდება	შესწორდება, ცვლილებები შევა.
ლიკვიდურობა	აქ: ფულად გარდაქმნის შესაძლებლობა.
მახასიათებელი	ის, რაც რაიმე საგანს ახასიათებს.
მუშახელი	იგივეა, რაც მუშა.
მყარი ვალუტა	კონკრეტულ პერიოდში დასაყრდენი ფულადი ერთეული.
მწარმოებელი	პირი ან ორგანიზაცია, რომელიც რაიმეს აწარმოებს.
ობიექტი	აქ: რაიმე საგანი, აღრიცხვის ერთეული.
ოდენობა	აქ: რაოდენობა.
პრინციპი	ამოსავალი, საყრდენი დებულება, აზრი.
პრინციპულობა	პრინციპებით მოქმედება.
პროფესიონალიზმი	პროფესიული ცოდნის ერთობლიობა.
რეალიზაცია	აქ: გაყიდვა, სამომხმარებლო ბაზარზე გასაყიდად გატანა.

სამართლიანი წარდგენა	სწორად, კანონებისა და პრინციპების მიხედვით გადაცემა.
სამართლიანობა	სწორი პრინციპების ერთიანობა, კანონის დაცვა.
სასაქონლო მარაგი	საქონელი, რომელიც მომარაგებულია, შენახულია (ძირითადად გასაყიდად).
სხვაობა	აქ: რაოდენობრივი განსხვავება.
ტერმინი	რომელიმე დარგისთვის დამახასიათებელი სიტყვა.
უფასურდება	ფასს, ღირებულებას კარგავს.
შეგნებულად	იგივეა, რაც გააზრებულად.
ცვლადი	აქ: ნიშანი, რაიმეს მახასიათებელი.
წმინდა ზარალი	ხარჯებისა და შემოსავლების შედარების შედეგად ფულად ერთეულებში გამოხატული წაგება.
წმინდა მოგება	შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც საწარმოს ხარჯების შემდეგ რჩება.
ჯამი	საერთო რაოდენობა.
ჯგუფდება	თავს იყრის, ერთადაა, ჯგუფადაა.

ზმნები

№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აინტერესებს	აინტერესებდა	დააინტერესა	დააინტერესებს	დააინტერესოს	დაუინტერესებია	დაინტერესება
2	[აღ]ემატება	[აღ]ემატებოდა	აღმატა	აღმატება	აღმატოს	აღმატებია	აღმატება
3	გამოდის	გამოდიოდა	გამოვიდა	გამოვა	გამოვიდეს	გამოსულა	გამოსვლა
4	[გამო]ყოფს	[გამო]ყოფდა	გამოყო	გამოყოფს	გამოყოს	გამოუყვია	გამოყოფა
5	[გან]ლაგდება	[გან]ლაგდებოდა	განლაგდა	განლაგდება	განლაგდეს	განლაგებულა	განლაგება
6	კარგავს	კარგავდა	დაკარგა	დაკარგავს	დაკარგოს	დაუკარგავს	დაკარგვა
7	მაღაყს [შემოსავალს]	მაღავდა [შემოსავალს]	დამალა [შემოსავალი]	დამალავს [შემოსავალი]	დამალოს [შემოსავალი]	დამალავს [შემოსავალი]	დამალვა [შემოსავლისა]
8	უფასურდება	უფასურდებოდა	გაუფასურდა	გაუფასურდება	გაუფასურდეს	გაუფასურებულა	გაუფასურება
9	უჩვენებს	უჩვენებდა	უჩვენა	უჩვენებს	უჩვენოს	უჩვენებია	ჩვენება
10	ჯგუფდება	ჯგუფდებოდა	დაჯგუფდა	დაჯგუფდება	დაჯგუფდეს	დაჯგუფებულა	დაჯგუფება

VII თავი ბუღალტრულ ანგარიშთა არსი და საერთაშორისო სტანდარტები

I ნაწილი ბუღალტრული ანგარიშები



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის გამოსახული ილუსტრაციებზე?
2. რა შეიძლება აერთიანებდეს ამ საგნებს?

1.2. ტექსტი:

ბუღალტრული ანგარიში საანგარიშგებო პერიოდისათვის არის განკუთვნილი და **ერთგვაროვანი** ნიშნით **აჯგუფებს** აქტივებში, ვალდებულებებში, საკუთარ კაპიტალში, შემოსავლებსა და ხარჯებში მომხდარ ცვლილებებს, მაგალითად: ნედლეულის შეძენას, დამზადებული პროდუქციის გაყიდვას, ხელფასების გაცემას და ა.შ. ბუღალტრული ანგარიშები შეიძლება იყოს ერთგვარდინი და ორგვარდინი. ორგვარდინი დოკუმენტი პარალელურ ნაწილებადაა გაყოფილი, რომლებსაც საკუთარი დასახელებები აქვს: მარცხენა მხარეს **დებეტი** ეწოდება, ხოლო მარჯვენა მხარეს – **კრედიტი**.

ანგარიშის დასახელება:X.....

დებეტი

კრედიტი



ბუღალტრული ანგარიშები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისშივე მთავარ ბუღალტრულ წიგნში – **რეგისტრში** – უნდა გაიხსნას და წინა წლის ბალანსს უნდა დაემყაროს. **ანგარიშის გახსნა** ნიშნავს, რომ რეგისტრში **ბალანსის მუხლი** უნდა მიეთითოს და შესაბამისი თანხაც ჩაიწეროს. აქ სამეურნეო ოპერაციების შესახებ **ახალ** ინფორმაციას დეტალურად და ქრონოლოგიურად აღრიცხავენ.

ბუღალტრული ანგარიშები იყოფა **აქტიურ და პასიურ ანგარიშებად**. მაგალითად, რადგან საქონელი აქტივის ერთ-ერთი სახეა, ის აქტიურ ანგარიშში შევა. პასივების, ე.ი. ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, აგრეთვე შემოსავლების ამსახველ ანგარიშებს პასიურ ანგარიშებს უწოდებენ. თითოეული მათგანის (დებეტისა და კრედიტის) დაჯამებით მიიღება **ბრუნვა**, რომლის შემადგენლობაში **საწყისი ნაშთის** შეტანა არ შეიძლება.

დებეტისა და კრედიტის ფულად ერთეულში გამოსახული რაოდენობის სხვაობით ითვლება ანგარიშის ნაშთი, ანუ **სალდო**.

- დებეტი და კრედიტი ბუღალტრული ანგარიშის ორი მხარეა.
- მთავარ ბუღალტრულ წიგნს რეგისტრი ეწოდება.
- სალდო ანგარიშთა ნაშთს ჰქვია.

1.3. ლექსიკა:

ერთგვაროვანი	იგივეა, რაც ერთნაირი, ერთი სახისა.
აჯგუფებს	ჯგუფებად, ნაწილებად დაყოფს.
დებეტი	აქ: ბუღალტრული ანგარიშის მარცხენა გვერდი, რომელშიც ბუღალტრული ოპერაციები ანგარიშდება, მაგ., აქტივის ზრდა.
კრედიტი	აქ: ბუღალტრული ანგარიშის მარჯვენა გვერდი, რომელშიც ბუღალტრული ოპერაციები ანგარიშდება, მაგ., აქტივის შემცირება.
რეგისტრი	აქ: მთავარი ბუღალტრული წიგნი.
ანგარიშის გახსნა	აქ: საანგარიშგებო პერიოდში ახალი ბუღალტრული ანგარიშის დაწყება.
აქტიური ანგარიშები	აქტივებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები, მათი გამოთვლა.
პასიური ანგარიშები	პასივებისა და შემოსავლების ამსახველი ანგარიშები, მათი გამოთვლა.
[ფულის] ბრუნვა	აქ: [თანხის] მიმოქცევა.
საწყისი ნაშთი	ფულადი ნაშთი, რომელიც წინა საანგარიშგებო პერიოდიდან გადმოდის ახალი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტში.
სალდო	რაოდენობრივი სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. როგორი ნიშნით აჯგუფებს აქტივებსა და პასივებს ბუღალტრული ანგარიში?
2. რა ფორმისაა ბუღალტრული ანგარიშის ორგვერდიანი დოკუმენტი?
3. სად იწერება დებეტი და რას ანგარიშობენ მასში?
4. სად იწერება კრედიტი და რას ანგარიშობენ ამ ნაწილში?
5. რას უწოდებენ რეგისტრს?
6. რას ნიშნავს ანგარიშის გახსნა?
7. რის შედეგად მიიღება ბრუნვა?
8. რას ჰქვია სალდო?

სინონიმები	ანთონიმები
ერთგვაროვანი - ერთნაირი დაემყაროს - დაეფუძნოს იყოფა - ნაწილდება ნაშთი - სალდო	ერთგვაროვანი - მრავალგვაროვანი გაცემა - მიღება დასაწყისი - დასასრული გახსნა - დახურვა შედის - გადის



ნაშთი	სალდო
მაგ., საჩხერეში ანტიკური კულტურის ნაშთები აღმოაჩინეს. ამ საანგარიშგებო პერიოდში სალდო რამდენი ლარი გამოვიდა?	

ა.

როგორი? ახალი მყარი მაგ., - რა სიახლეს შემოგვთავაზებთ? ლარის სიმყარე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.	რა? სიახლე სიმყარე
---	--

ბ.

• ბუღალტრული ანგარიში დააჯამე! • ბუღალტრული ანგარიში უნდა დააჯამო!	ახალი ანგარიში გახსენი! ახალი ანგარიში არ გახსნა! ან: ჯგუფებად გაყავი! ჯგუფებად არ გაყო!
---	---

1.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ნელი: ახალი ბუღალტრული ანგარიში გახსენი, სანდრო?

სანდრო: დიახ, ამ დღით...

ნელი: ხარჯები ერთგვაროვანი ნიშნით დააჯგუფე თუ არა?

სანდრო: არა, ამდენ საქმეს როგორ მოვასწრებდი?! ჯერ აქტივებს ვაწყო. უკვე მოკლევადიან მუხლებზე გადავედი.

ნელი: ხომ იცი, ბალანსი ვერტიკალურ ფორმატზე უნდა მიახლოებო, მაგას ვარ მიჩვეული.

სანდრო: დიახ, ქალბატონო ნელი, როგორც თქვენ მასწავლეთ, მეც ისე ვაკეთებ.

ნელი: დამანახე ერთი, რას აკეთებ?! უი, შენ რა გითხრა, მთავარი გამოგრჩენია! საანგარიშგებო პერიოდის დასაწყებად ძველი ბალანსიდან საწყისი ნაშთის გადმოტანა რომ იყო საჭირო, დაგავიწყდა?!

სანდრო: ვაიმე, ეს როგორ მომივიდა! ახლავე გავასწორებ...

ნელი: ჯერ გეპატიება, სანდრო, ანგარიშის შედგენას გამოცდილება და პროფესიონალიზმი უნდა, შენ კი მუშაობა ერთი კვირის წინ დაიწყე. ჭკვიანი ბიჭი ხარ და ამიტომ აგიყვანე ასისტენტად. თვითონ ნახავ, ორ-სამ თვეში როგორ კარგად გააკეთებ ყველაფერს.

სანდრო: გმადლობთ, ქ-ნო ნელი, ასე რომ მენდობით!

[უი,] **შენ რა გითხრა** - იგივეა, რაც: რაღა უნდა გითხრა.
ფრაზა გამოიყენება მსუბუქი შენიშვნის დროს.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას აწყობდა სანდრო ახალგაზსნილ ანგარიშში ერთგვაროვანი ნიშნით?
- რას იყო მიჩვეული ქ-ნი ნელი?
- რა შეცდომა დაუშვა ბუღალტრის ასისტენტმა?
- რატომ არ გაბრაზდა ბუღალტერი სანდროს მიერ დაშვებული შეცდომის გამო?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „ბუღალტრული ანგარიშის გახსნა“

ა.

..... **თუ არა**

გამოიყენეთ მაშინ, როცა დადებით მოქმედებას უპირისპირაბთ უარყოფითს.

მაგ., - დააჯგუფე თუ არა ხარჯები?

იგივეა, რაც: - დააჯგუფე თუ არ დააჯგუფე ხარჯები?

ბ.

**რამდენი? ამდენი მაგდენი იმდენი
 ისინი გამოხატავს ზომასა და ოდენობას.**

მაგ., ამდენ საქმეს როგორ მოვასწრებ?

იმდენ ატამს ვიყიდი, რომ კომპოტიც გავაკეთო.

I	II	III
ამდენი	მაგდენი	იმდენი

სახ. ამდენი საქმე
 მოთხრ. ამდენმა საქმემ
 მიც. ამდენ საქმეს

და სხვ.

მაგ., ამდენ პროდუქციას ერთ თვეში როგორ გავყიდით?!

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ვერტიკალური ფორმატი

ბალანსის მუხლი

საწყისი ნაშთი

პასიური ანგარიშები

აქტიური ანგარიში

რაოდენობის სხვაობა

1. თუ არ მიუთითებ, ისე არაფერი იანგარიშო!
2. ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალისა და შემოსავლების ამსახველ ანგარიშებს უწოდებენ.
3. ბუღალტრული ბალანსი უნდა შედგეს.
4. საწარმო თავის კაპიტალს ითვლის.
5. დებეტისა და კრედიტის სალდო ჰქვია.
6. წინა საანგარიშგებო პერიოდის დოკუმენტიდან გადმოიტანე და ახალი აღრიცხვა ისე დაიწყე:!

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დააჯგუფა	აჯგუფებს	დააჯგუფებს
2.	გაიხსნა	იხსნება	გაიხსნება
3.	დაემყარა	ემყარება	დაემყარება
4.	გაიყო	იყოფა	გაიყოფა



1.8. მოსმენა

დილოგი: წინა წლის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტის ძიებაში

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	წინა წლის საანგარიშგებო პერიოდის ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი სეიფში იდო.		
2.	რეზომ ბუღალტრულ პროგრამაში ახალი ანგარიში გახსნა.		
3.	რეზო ასაკოვანი იყო, ამიტომ კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა არ იცოდა.		
4.	რეზომ წინა ბალანსიდან საწყისი ნაშთი გადმოიტანა.		
5.	ფინანსურმა მენეჯერმა აღრიცხვის დოკუმენტის ამობეჭდილი ვერსია მოითხოვა.		ლექსიკა
6.	ნანამ იცოდა, რომ ფინანსური მენეჯერი მას სამსახურიდან ათავისუფლებდა.		

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ეძებდა ნანა სეიფში?
2. რისთვის დასჭირდა რეზოს წინა წლის აღრიცხვის დოკუმენტი?
3. სად გახსნა ახალი ანგარიში რეზომ და რა გადმოიტანა წინა დოკუმენტიდან?
4. ნანას აზრით, რისთვის სჭირდებოდა ბუღალტრული აღრიცხვის ამობეჭდილი ვერსია ფინანსურ მენეჯერს?
5. რისი იმედი გაუჩნდა რეზოს?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

კითხვები რატომ? რის გამო? გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზეზი გაინტერესებთ.

უპასუხეთ სიტყვებით: იმიტომ, რომ

იმის გამო, რომ

ამიტომ // მაგიტომ // იმიტომ

მაგ., - რატომ ეძებ ძველ დოკუმენტს?

- იმიტომ, რომ დირექტორს სჭირდება.



დაიმახსოვრეთ!

ჩემი აზრით

გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენს აზრს, შეხედულებას გამოთქვამთ. წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით.

მაგ., ჩემი აზრით, ის ბანკიდან სესხის გამოტანას აპირებს.

1.13. საპრეზენტაციო თემა

ფულის ბრუნვა ჩემს ოჯახში

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - საკუთარი შემოსავალი და გასავალი ყველამ უნდა იანგარიშოს



1.15. დაიმასხოვრეთ!

„ადამიანი იმით ფასდება, თუ როგორ იყენებს ძალაუფლებას“ /პლატონი/.

„ადამიანს, რომელსაც არასოდეს დაუშვია შეცდომები, არც უცდია რაიმე ახლის კეთება“ /ალფრედ აინშტაინი/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. როგორ მოიქცევით, ძალაუფლება რომ გქონდეთ?
2. რა არის თქვენთვის ისეთი შეცდომა, რომელსაც ადვილად აპატიებთ ადამიანს?



1.16. ეს საინტერესოა!

სიტყვა ბალანსი ლათინური ენიდან მომდინარეობს და სასწორის ორი ჯამის აღმნიშვნელია, ამიტომ მისი პირდაპირი მნიშვნელობა არის წონასწორობა. მას ხშირად იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა ორ საგანს ან მოვლენას წონიან, მათ წონასწორობაზე მიუთითებენ. თუ ბალანსი დარღვეულია, მაშინ ამბობენ სიტყვას - დისბალანსი. მაგალითად, დისბალანსი ორი ადამიანის ურთიერთობაშიც შეიძლება არსებობდეს. ასეთ დროს ერთი მათგანი ბევრად ძლიერ პოზიციას იკავებს და მეორეს ჩაგრავს.

ბალანსი ბუღალტერიაში დამკვიდრებული ტერმინია. ის გამოხატავს ფულად ერთეულებში აღრიცხვის მიხედვით დადგენილ წონასწორობას აქტივებსა და პასივებს შორის.


წონასწორობა - მდგომარეობა, როცა წონას ადგენენ, ორ მხარეს ათანაბრებენ.

ჩაგრავს - ცუდად ექცევა.

უპასუხეთ კითხვებს:

- რას ნიშნავდა ლათინურ ენაში ბალანსი?
- რა შემთხვევაში იყენებენ სიტყვას - ბალანსი?
- თუ დარღვეულია წონასწორობა, რომელი სიტყვა უნდა გამოვიყენოთ?
- რას გულისხმობს ბალანსი ბუღალტერიაში?

II ნაწილი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. საერთაშორისო სტანდარტები



2.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რისი სიმბოლოებია გამოხატული ილუსტრაციებზე?
2. როგორ გესმით სიტყვა „საერთაშორისო“?

2.2. ტექსტი:

ბუღალტრული ანგარიშები სხვადასხვა სახისაა, ამიტომ საჭიროა მათი ერთ სისტემაში **მოქცევა**. ამ მოქმედებას ანგარიშთა **სისტემატიზაცია** ჰქვია. ფაქტია, რომ სამეურნეო ოპერაციების მრავალფეროვნება მათ გაერთიანებას, ანუ მთლიან დათვლას, მოითხოვს.

ანგარიშთა გეგმა ის სისტემაა, რომლის მიხედვითაც საწარმოები ბუღალტრულად აღრიცხავენ სამეურნეო ოპერაციებს. სწორედ ამის მიხედვით მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ გეგმის შემადგენლობაში შედის ის აუცილებელი კომპონენტები, რომლებიც ბუღალტრულად უნდა აღირიცხოს და დაანგარიშდეს. ასეთებია, მაგალითად, ნაღდი ფული სალაროში, ფული საბანკო ანგარიშებზე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები, ძირითადი საშუალებები (მიწა, შენობები, მანქანა-დანადგარები...), არამატერიალური აქტივები (ლიცენზიები, სავაჭრო ნიშნები...) და სხვ.

იმისთვის, რომ მსოფლიოს ქვეყნებში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ფორმები და **სტანდარტები** გაუმჯობესდეს, არსებობს დამოუკიდებელი **კომიტეტი**, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (**ბასს'**) ქმნის. ის შეიცავს ძირითად მითითებებს ფინანსური **მონაცემების** ფორმების, ანალიზისა და **შეჯამების** შესახებ. ამიტომ ბასს-ის, ანუ **რეკომენდებული** საერთაშორისო **წესების**, მიხედვით შედგენილი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები ყველასთვის გასაგები და სამართლიანია. მათზე დაყრდნობით საწარმოს შეუძლია საჭირო გადაწყვეტილებები **მიიღოს**, მაგალითად, ბანკიდან აილოს სესხი, **მოიზიდოს** ინვესტორი და სხვ. საერთაშორისო სტანდარტებმა ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებში შეცდომები **შეამცირა** და **სუბიექტური მიდგომა მინიმუმამდე** დაიყვანა. ერთ-ერთი ასეთი სტანდარტია, მაგალითად, გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივების ცალ-ცალკე დაჯგუფება.

ამრიგად, სანამ ბუღალტერი აღრიცხვის დოკუმენტების შედგენას დაიწყებს, მანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს უნდა გაეცნოს.

• **ბასსი (IAS)** - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

2.3. ლექსიკა:

მოქცევა	აქ: მოთავსება, თავმოყრა.
სისტემატიზაცია	წესრიგში მოყვანა, სტრუქტურული განლაგება, გამთლიანება.
ანგარიშთა გეგმა	ბუღალტრული ანგარიშების სისტემური ჩამონათვალი.
სტანდარტი	აქ: ნორმა, საფუძველი.
კომიტეტი	ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და რაიმე საქმიანობას ხელმძღვანელობს.
მონაცემი	აქ: რაიმე მოქმედების შესაძლებლობა.
შეჯამება	შედეგის მიღწევის მიზნით დაანგარიშება, გამთლიანება.
რეკომენდებული წესი	წესი, ნორმა, რომელსაც ურჩევენ.
მოიზიდავს	აქ: დააინტერესებს, სურვილს აღუძრავს, საკუთარ მხარეს გადმოიბირებს.
ამცირებს	აცოტავებს, მცირეს ქმნის.
სუბიექტური მიდგომა	პირადი დამოკიდებულება.
მინიმუმი	ყველაზე მცირე რაოდენობა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რას მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების მრავალფეროვნება?
2. რა არის ანგარიშთა გეგმა?
3. რა მზადდება ანგარიშთა გეგმის მიხედვით?
4. რა მიზნით არსებობს ბასი?
5. რას საქმიანობს ბასი?
6. რა შეამცირა თანამედროვე სტანდარტებმა ბუღალტრულ აღრიცხვაში?
7. რა უნდა გაითვალისწინოს ბუღალტერმა?

სინონიმები	ანტონიმები
საერთაშორისო - ინტერნაციონალური მოქცევა - მოთავსება მრავალფეროვნება - მრავალგვარობა სტანდარტი - ნორმა, წესი სანამ - ვიდრე	გასაგები - გაუგებარი სამართლიანი - უსამართლო შეამცირა - გაზარდა მინიმუმი - მაქსიმუმი



მოქცევა	მოთავსება
მაგ., ბუღალტრული ანგარიშების ერთ სისტემაში მოქცევა აუცილებელია. - შეიძლება, რომ ამდენი ლიტრი ღვინო ერთ ჭურჭელში მოთავსდეს?!	

ა.

რას იზამს? შეაჯამებს როგორი? შემაჯამებელი
მაგ., შემაჯამებელ დოკუმენტს ხელს ხვალ მოვაწერ.

ბ.

პითხვები რისთვის? რა მიზნით? გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზანი გაინთქმეს.

უპასუხეთ სიტყვებით: იმისთვის, რომ

იმ მიზნით, რომ

ამისთვის // მაგისთვის // იმისთვის

მაგ., - განცხადება რისთვის დაწერეთ?

- იმისთვის, რომ კონკურსში მივიღო მონაწილეობა.



ბ. დაიმასხოვრეთ!

.....მანამ / სანამ / ვიდრე.....

ასეთი წინადადებები მიუთითებენ დროზე და ნიშნავს რაღაც დრომდე.

მაგ., სამსახურში მანამ დამელოდე, სანამ სამინისტროდან არ მოვბრუნდები.

სამსახურში დამელოდე, სანამ [//ვიდრე] უკან არ მოვბრუნდები.

მანამ დაგიცდი, ვიდრე შენ არ მობრუნდები.

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

ლუკა: დიდი ხანია, გიგო, რაც ბუღალტრად დაიწყე მუშაობა?

გიგო: არც ისე,... ერთი წელი იქნება. რატომ მეკითხები?!

ლუკა: მგონია, ცოტა რთული პროფესიაა, მაგრამ მეტი გზა აღარ მაქვს, მეც უნდა გავიარო სპეციალური კურსი, ბუღალტერიის სწავლა მინდა.

გიგო: უნივერსიტეტში კარგი სტუდენტი იყავი და არაფერი გაგიჭირდება, ნუ გეშინია! მთავარია, მოინდომო.

ლუკა: კი მოვინდომებ, მაგრამ...

გიგო: შენ არასდროს გინახავს ანგარიშთა გეგმა?! მთავარი მაგის ცოდნაა, შიგნით ყველაფერი წერია, რაც ბუღალტრულად უნდა დაიანგარიშო. ზოგს პრაქტიკულადაც ისწავლი.

ლუკა: ბუღალტერიის კურსი მაინც უნდა გავიარო, თორემ აუცილებლად გამიჭირდება,... თანაც სერტიფიკატის გარეშე არავინ მიმიღებს სამსახურში.

გიგო: ბუნებრივი კურსები ბევრგან არის გახსნილი, ყველაფერს საერთაშორისო სტანდარტებით ასწავლიან. აუცილებლად აიღე, გიგო, სერტიფიკატი და სამსახურის შოვნა პრობლემა აღარ იქნება, კარგ ბუნებრივს ყველა საწარმო ეძებს.

ლუკა: რამე რომ გამიჭირდეს, ხომ დამეხმარები?

გიგო: სჯობდა, ეგ კითხვა არ დაგესვა... აბა, რას ვიზამ!

ლუკა: მოკლედ, შენი იმედი მექნება...

უპასუხეთ კითხვებს:

- რა პროფესიით მუშაობდა გიგო?
- რა უნდა გაეკეთებინა ლუკას, რომ ბუნებრივი კარგად ესწავლა?
- გიგოს აზრით, რისი ცოდნა იყო მთავარი და რატომ?
- რის გარეშე გაუჭირდებოდა ბუნებრივად მუშაობა ლუკას?
- რა ურჩია გიგომ ლუკას?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თქვენ:

- „თანაკურსელების საუბარი – მეც მინდა, ბუნებრივად რომ ვიმუშაო“

მხოლოდობითი					
ვეკითხები	მე	მეგობარს	მეკითხება	მეგობარი	მე
ეკითხები	შენ	მეგობარს	გეკითხება	მეგობარი	შენ
ეკითხება	ის	მეგობარს	ეკითხება	მეგობარი	მას
მრავლობითი					
ვეკითხებით	ჩვენ	მეგობარს	გვეკითხება	მეგობარი	ჩვენ
ეკითხებით	თქვენ	მეგობარს	გეკითხებათ	მეგობარი	თქვენ
ეკითხებითა	ისინი	მეგობარს	ეკითხება	მეგობარი	მათ

მაგ., ვერ გავიგე, რას მეკითხება?!

2.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

მათი სისტემატიზაცია	გაერთიანების მოთხოვნა
ანგარიშთა გეგმა	დამოუკიდებელი საბჭო
რეკომენდებული წესები	სუბიექტური მიდგომა

1. სამეურნეო ოპერაციების მრავალფეროვნება მათ
2. ბუნებრივი ალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს-ი) შექმნა.
3. საერთაშორისო სტანდარტებმა ალრიცხვის დოკუმენტებში მინიმუმამდე დაიყვანა.
4. ბუნებრივი ანგარიშები სხვადასხვა სახისაა, ამიტომ საჭიროა
5. შემადგენლობაში შედის ის კომპონენტები, რომლებიც ბუნებრივად უნდა აღირიცხოს.
6. ბასს-ის მიერ ბუნებრივი ალრიცხვის დოკუმენტთა შედგენისას იყენებენ.

2.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	მოაქცია	აქცევს	მოაქცევს
2.	მომზადდა	მზადდება	მომზადდება
3.	მიაწოდა	აწვდის	მიაწვდის
4.	შეამცირა	ამცირებს	შეამცირებს
5.	გაითვალისწინა	ითვალისწინებს	გაითვალისწინებს



2.8. მოსმენა

დიალოგი: მთავარი ბუღალტერი და მისი კონსულტანტი

რეგულაცია - მოწესრიგება.

ჩემთან ხომ არ მოგამაგრებდნენ - ჩემთან ხომ არ მოგიყვანდნენ დასახმარებლად, სასწავლებლად ან კონსულტაციების გასაწევად.

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ანგარიშთა გეგმა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ არის შედგენილი.		
2.	ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი ადგენს.		
3.	ეკონომიკის სამინისტროსთან არსებობს კომისია, რომელიც გამოსცემს დადგენილებებს ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.		
4.	ბუღალტრულ აღრიცხვას სპეციალური კანონი არ არეგულირებს.		
5.	გიორგი მთავარ ბუღალტერთან ასისტენტად იყო მიმაგრებული.		
6.	მთავარი ბუღალტერი გიორგის ენდობოდა, ამიტომ მის მიერ შესრულებული დავალების შემოწმებას არ აპირებდა.		

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

2.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის მიხედვით იყო დაწყებული ალრიცხვის კომპონენტები ანგარიშთა გეგმაში?
2. ვინ აწესებს საერთაშორისო სტანდარტებს?
3. ვინ და რა არეგულირებს საქართველოში ბუნებრივი ალრიცხვის სტანდარტებს?
4. რა მიზნით იყო გიორგი მიმდგომი მთავარ ბუნებრივტერთან?
5. რა ეგონა გიორგის?
6. რატომ უნდა გაჰყოლოდა გიორგი ალრიცხვის პროცესში ანგარიშთა გეგმის თანმიმდევრობას?

თანმიმდევრობა - ერთმანეთზე მიყოლება, ზედიზედ მოქმედება, საქმის კეთება დადგენილი წესით.

2.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

შემდეგ - უკან, შემდგომ, მერა.

მაგ., - კაბინეტში ჩემ შემდეგ შებრძანდით!
- ნაწერების გასწორების შემდგომ ნიშნებს გამოვაცხადებთ.



ჩემ შემდეგ	ჩვენ შემდეგ
შენ შემდეგ	თქვენ შემდეგ
[ი]მის შემდეგ	[ი]მათ შემდეგ

მაგრამ: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ...

2.13. საპრეზენტაციო თემა

რაში დაგვეხმარება ბუნებრივი ალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები?

2.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - მე ყველაფერი ვიცი და სწავლა არ მჭირდება...



2.15. დაიმასხოვრეთ!

„კაცი მხოლოდ მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს“ /ილია ჭავჭავაძე/.

„ძვირფასია ცოდნა, რომელსაც საქმის კეთების დროს იძენ და არა მაშინ, როცა გასაკეთებელზე ფიქრობ“ /პაულო კოელიო/.

ხერხი - ხის მასალის დასაჭრელი სამუშაო იარაღი.

აქ: ბრძოლის, მოქმედების იარაღი.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა ძალა აქვს ცოდნას?
2. პ. კოელიოს თვალსაზრისით, რომელი ცოდნაა განსაკუთრებით ღირებული? მოიყვანეთ პირადი მაგალითი.



2.16. ეს საინტერესოა!

სტანდარტი საერთაშორისო სიტყვაა და ინგლისურ ენაში მისი პირდაპირი მნიშვნელობა არის „დროშა“, ხოლო გერმანულში – „მაგრად დგომა“. თანამედროვე გაგებით, ძირითადად რომელიმე ტიპურ მაგალითს, ნიმუშს, დაწესებულ ნორმას გულისხმობს. მრავალგვარი სტანდარტი არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია პროფესიული სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის ქონას. ეს თვისებები ადამიანის პროფესიულ კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

სიტყვა სტანდარტი ზოგჯერ იურიდიული დოკუმენტის აღსანიშნავად გამოიყენება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტები ის კონკრეტული წესებია, რომლებსაც წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები იცავს.

წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები – ქვეყნები, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიულ პოლიტიკას განსაზღვრავს.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორია სიტყვა „სტანდარტის“ პირდაპირი მნიშვნელობები ინგლისურსა და გერმანულში?
- რა ძირითადი შინაარსით გამოიყენება ის დღეს?
- რას გულისხმობს პროფესიული სტანდარტი?
- რა არის საერთაშორისო სტანდარტები და რომელი ქვეყნები იცავს მათ?

II ნაწილი სამეზარეულო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები



3.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. ყოფილხართ თუ არა საჯარო რეესტრში და რა მიზნით?

3. სად გინახავთ მესამე ილუსტრაციაზე გამოხატული ნივთი?
4. თქვენი აზრით, რა აკავშირებს ამ ილუსტრაციებს ერთმანეთთან?

3.2. ტექსტი:

1994 წელს საქართველოს პარლამენტმა სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა **სამართლებრივი მხარის** მოსაგვარებლად მიიღო საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის მიხედვით, **სამეწარმეო საქმიანობა** არის „არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. სამეწარმეო საქმიანობის უფლება აქვთ როგორც ფიზიკურ, ისე – იურიდიულ პირებს. გამოიყოფა რამდენიმე სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:

ინდივიდუალური მეწარმე (ინდემეწარმე) ის **ფიზიკური პირია**, რომელიც ინდივიდუალურ საწარმოს ფლობს და არ ჰყავს **თანამესაკუთრე**. კანონის მიხედვით, როგორც სხვა **მეწარმე სუბიექტები**, ისიც უნდა დარეგისტრირდეს **საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში**. ეს დაწესებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება. ინდემეწარმე პირადად და მთელი ქონებით აგებს პასუხს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მას სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე ეკისრება. ასეთ ვალდებულებებში შედის, მაგალითად, სახელმწიფო გადასახადების გადახდა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იურიდიული პირია. საერთოდ, იურიდიულ პირად იწოდება ის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთარი ქონება და წერილობითი დოკუმენტი – **წესდება**. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რამდენიმე ფიზიკური პირი (პარტნიორი) ქმნის. აქ მმართველი პირი არის დირექტორი, რომელსაც პარტნიორთა საერთო კრება ირჩევს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებსაც იცნობს. მთავარია, რომ თითოეული მათგანი საჯარო რეესტრში **დარეგისტრირდეს**, რადგან მეწარმის შესახებ არსებული მონაცემები გადაეცემა **შემოსავლების სამსახურს**, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება. სახელმწიფო მეწარმე სუბიექტებსა და მათ საქმიანობას რეგისტრაციის დღიდანვე **აკონტროლებს**.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი მეწარმე სუბიექტები თავიანთ საქონელს ან მომსახურებას ნაღდი ფულის სახით ყიდნიან, მაშინ მომხმარებელთან **ანგარიშსწორებისას** უნდა გამოიყენონ **საკონტროლო-საღარი აპარატი**. კანონი მათ ავალებს იმასაც, რომ ჰქონდეთ ბუღალტრული აღრიცხვა. ამიტომ მეწარმე სუბიექტებს ჰყავთ ბუღალტრები, რომლებიც აკვირდებიან სამეურნეო პროცესებს, აღრიცხავენ და ქმნიან შესაბამის დოკუმენტებს.

- სამეწარმეო საქმიანობა არის „არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.
- მეწარმე სუბიექტებმა ანგარიშსწორებისას უნდა გამოიყენონ საკონტროლო-საღარი აპარატები და უნდა ჰყავდეთ ბუღალტრები.

3.3. ლექსიკა:

სამართლებრივი მხარე	ის ნაწილი, რომელიც სამართალს, კანონს ითვალისწინებს.
სამეწარმეო საქმიანობა	სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული არაერთგზისი საქმიანობა, რომლის მიზანია მოგება.
ინდივიდუალური მეწარმე	ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ინდივიდუალური საწარმო და მართავს მას.

ფიზიკური პირი	ცალკეული პირი. ის სამოქალაქო სამართლის სუბიექტია.
თანამესაკუთრე	პირი, რომელიც სხვასთან ერთად ფლობს საკუთრებას.
მეწარმე სუბიექტები	აქ: ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას მისდევენ.
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	იგივეა, რაც საჯარო რეესტრი, ანუ რეგისტრაციის ადგილი.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	საზოგადოება, რომელიც კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს და მოგების მიზანი აქვს.
იურიდიული პირი	აქ: პირი ან საზოგადოება, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობა.
წესდება	ორგანიზაციის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საქმიანობის წესები.
დარეგისტრირდება	რეგისტრაციას გაივლის, აღრიცხვაზე ავა.
შემოსავლების სამსახური	ორგანიზაცია, რომელიც კანონის დაცვით აკონტროლებს ფიზიკური თუ იურიდიული პირების შემოსავლებს.
ანგარიშსწორება	ფიზიკური და იურიდიული პირების გადახდისა და შემოსული თანხების ჩარიცხვა ანგარიშზე.
საკონტროლო-სალარო აპარატი	საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული მესსიერების მქონე აპარატი, რომლის მიხედვითაც შემოსავლები კონტროლდება.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რას აგვარებს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“?
2. რა არის სამეწარმეო საქმიანობა?
3. კანონის მიხედვით, ვინ არის ინდმეწარმე?
4. რა უნდა ჰქონდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას?
5. რა ევალებათ მეწარმე სუბიექტებს?
6. რას აკონტროლებს შემოსავლების სამსახური?
7. რა გამოიყენება მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას?
8. რას ავალდებულებს კანონი მეწარმე სუბიექტებს?

სინონიმები	ანტონიმები
არაერთჯერადი - არაერთგზისი პირადად - თვითონ ექვემდებარება - ემორჩილება	არაერთჯერადი - მრავალჯერადი ორგანიზებულიად - არაორგანიზებულიად



პირადად მაგ., - ამის პასუხს პირადად მოგახსენებთ, არ ინერვიულოთ! ეს მანქანა მე თვითონ გავაკეთე.	თვითონ
ექვემდებარება მაგ., შემოსავლების სამსახური ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება. ნიკო 12 წლისაა და თავის მშობლებს უკვე არ ემორჩილება.	ემორჩილება



ა. დაიმასხოვრეთ!

თანა აღნიშნავს თანხლებას, ვიდაცასთან ერთად ყოფნას ან ვინმესთან ერთად რაიმეს ქონას.

ასეთი სიტყვებია: თანამესაკუთრე, თანამონაწილე, თანამშრომელი და სხვ.

ბ.

რას იზამს? გააკონტროლებს **როგორი?** გაუკონტროლებელი
გამოიყენებს გამოუყენებელი

მაგ., სალარო აპარატის გარეშე საწარმოს ფინანსები გაუკონტროლებელი დარჩება.

- გადაყარე ეს გამოუყენებელი ნივთები, რაღად გინდა!

3.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

პაატა: როდის გახსენი შენი საწარმო, კაკო?

კაკო: უკვე ორი წელი იქნება, რაც ინდმეწარმე ვარ.

პაატა: იმიტომ გეკითხები, რომ პატარა საწარმოს გახსნა მეც მინდა.

კაკო: გახსენი მერე,... ისედაც მიკვირდა, იმდენი ძროხა გყავს, რომ ყველის დამზადება თავისუფლად შეგიძლია.

პაატა: ჰო, მეც ზუსტად მაგას ვფიქრობ, მაგრამ აქამდე ვერ გავბედე. თან თანხას ვაგროვებდი, რამდენიმე დანადგარი რომ მეყიდა.

კაკო: იცი, რას გირჩევ, კაკო,... ჯერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ჩაიხედე. იქ ნახავ, რეგისტრაცია როგორ უნდა გაიარო.

პაატა: ეგ რა კარგი რამე მირჩიე, აუცილებლად ჩავიხედები და მაგის მიხედვით მოვიქცევი,... ამ ზაფხულს ჩემს ნაკვეთში პატარა საწარმოს მშენებლობა უნდა დავიწყო და იმედი მაქვს, ყველაფერი გამომივა.

კაკო: მეც ეგრე დავიწყე, ჩემო პაატა, და ხომ ხედავ, ახლა რამდენ ბოთლ მინერალურ წყალს ვასხამ. თან ღირექტორიც მე ვარ და გაყიდვების მენეჯერიც.

პაატა: ბუღალტერიც?!...

კაკო: არა, კაცო, ბუღალტრის აყვანა აუცილებლად მოგიწევს, აღრიცხვას კანონი გვავალდებულებს.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა სტატუსი ჰქონდა კაკოს?
- რა მიზნით უსვამდა კითხვებს პაატა კაკოს?
- რისთვის აგროვებდა თანხას პაატა?
- რა ურჩია თანასოფელელმა პაატას?
- რას ავალდებულებს კანონი ინდმეწარმეს?

ბ) აავით ასეთივე დიალოგი თემაზე:

- „საკუთარი საწარმოს გახსნა მინდა“



დაიმახსოვრეთ!

მიხედვით – ვინმეს ან რაიმეს გათვალისწინებით, შესაბამისად.

მიუხედავად – ყურადღების მიქცევის გარეშე, ანგარიშის გაუწევლად.

მაგ., საქმის მასალების მიხედვით ნათელია, რომ...

დადლილობის მიუხედავად, მაინც ბევრი საქმე გავაკეთე.

ამისდა მიხედვით; ან: ამისდა მიუხედავად...

ან: მიუხედავად სირთულისა, მაინც უნდა გავხსნა ჩემი საწარმო.

3.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

სამართლებრივი მხარე

სამეწარმეო საქმიანობა

ინდივიდუალური მეწარმე

საჯარო რეესტრი

იურიდიული პირი

მმართველი პირი

ფიზიკური პირი

საკონტროლო-საღარიბო აპარატი

1. ის ფიზიკური პირია, რომელიც ინდივიდუალურ საწარმოს ფლობს.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არის დირექტორი, რომელსაც პარტნიორთა საერთო კრება ირჩევს.
3. მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას უნდა გამოვიყენოთ
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რამდენიმე ქმნის.
5. საქართველოს პარლამენტმა სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა მოსაგვარებლად კანონი მიიღო.
6. კანონის მიხედვით, არის არაერთჯერადი საქმიანობა, რომელსაც მოგების მიზანი აქვს.
7. მეწარმე სუბიექტები უნდა დარეგისტრირდნენ.
8. იწოდება ის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთარი ქონება და წესდება.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუჟინ	დღეს	ხვალ
1.	დარეგისტრირდა	რეგისტრირდება	დარეგისტრირდება
2.	დაექვემდებარა	ექვემდებარება	დაექვემდებარება
3.	აგო [პასუხი]	აგებს [პასუხს]	აგებს [პასუხს]
4.	დაეკისრა	ეკისრება	დაეკისრება
5.	აირჩია	ირჩევს	აირჩევს



3.8. მოსმენა

დიალოგი: მოდი, სამეწარმეო საქმიანობა დავიწყეთ!

საქმეს ავაწყობთ - საქმეს თანმიმდევრულად გავაკეთებთ.

სათბური - ხელოვნურად შექმნილი სითბოს დამჭერი ნაგებობა, ძირითადად მინისა. იგივეა, რაც ორანჟერია.

3.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓ -ით:

N		სწორი	არასწორი
1.	ეკამ თამაზს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება შესთავაზა.		
2.	ეკას დიდი თანხა ჰქონდა დაგროვილი.		
3.	ეკას შპს-სთვის სახელიც კი ჰქონდა მოფიქრებული.		
4.	მეგობრებს სათბურებში სოკო უნდა მოეყვანათ.		
5.	თამაზს ბუნებრივად აღრიცხვას ჩააბარებდნენ.		
6.	თამაზი ფიქრობდა, რომ სამეწარმეო საქმიანობისათვის მეგობრები გამოუცდელეები იყვნენ.		
7.	მეგობრებმა საქმეზე მოლაპარაკება ერთი კვირით გადადეს.		

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის გამო შეშფოთდა თამაზი, როცა მას ეკამ შპს-ს გახსნა შესთავაზა?
2. ვისთან ერთად აპირებდა ეკა წარმოების დაწყებას?
3. რა ჰქონდა მოფიქრებული ეკას?
4. ეკას აზრით, რატომ იყო მომგებიანი სოკოს მოყვანა?
5. თამაზის შეხედულებით, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული შპს-ს გახსნა?
6. რაზე შეთანხმდნენ მეგობრები?

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

მაგარი ზურგი აქვს – იგივეა, რაც ძლიერი პატრონი, მფარველი ჰყავს.



ენა წაიგრძელა – ზედმეტს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს; იგივეა, რაც: გრძელი ენა აქვს, ენაგრძელია.
ენა წინ უსწრებს – უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს.
ზურგი შეაქცია – უარყო, მიატოვა ვინმე ან რამე.

3.13. საპრეზენტაციო თემა

ადამიანს სირთულეებისა არ უნდა ეშინოდეს...

3.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე – **როგორ მოიქცევით, წარმოების გახსნა რომ დაგჭირდეთ?!**



3.15. დაიმახსოვრეთ!

„როცა ფულიანი ადამიანი ხვდება გამოცდილს, გამოცდილი ადამიანი ფულით მიდის, ხოლო ფულიანი – გამოცდილებით“ /არქიმედე/.

„სადაც მთავრდება იდეები, იქ იწყება სიცარიელე“ /ლენარდო და ვინჩი/.

იდუა – მთავარი აზრი, ჩანაფიქრი, დედააზრი.

უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა შეუძლია ფულისა და გამოცდილების ერთიანობას?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ არის სიცარიელე იდეათა არქონა?



3.16. ეს საინტერესოა!

არქიმედე (ძვ.წ. 287- 212) ძველი ბერძენი მათემატიკოსი და მექანიკოსი იყო. მუშაობის დროს მას ავიწყდებოდა ჭამა და საკუთარ თავს საერთოდ არ უვლიდა. ის იდეებით ცხოვრობდა და მთელი 20 საუკუნით გაუსწრო თანამედროვეობას. ამიტომ არქიმედეს სიცოცხლეშივე უკავშირებდნენ ლეგენდებს, რომელთა საფუძველი მისი გენიალური გამოგონებები იყო. არქიმედეს მიეწერება ცნობილი შეძახილი „ვერიკა!“, რომელიც ბერძნულად ნიშნავს „ვიპოვე!“. ეს ფორმა დღეს მსოფლიოს ბევრ ენაში აღფრთოვანების გამოსახატად გამოიყენება. მეცნიერი ამ შეძახილით მაშინ გამოვარდნილა ქუჩაში, როცა თავისი ერთ-ერთი კანონი აღმოუჩენია.

თანამედროვეობა - თანამედროვე ეპოქა, დრო.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი პიროვნული თვისებები ჰქონდა არქიმედეს და რითი ცხოვრობდა ის?
- რას უკავშირებდნენ არქიმედეს და რატომ?
- რომელი შეძახილი მიეწერება მას და რას ნიშნავს ის?

ლექსიკა

ამცირებს	აცოტავებს, მცირეს ქმნის.
ანგარიშთა გეგმა	ბუღალტრული ანგარიშების სისტემური ჩამონათვალი.
ანგარიშის გახსნა	აქ: საანგარიშგებო პერიოდში ახალი ბუღალტრული ანგარიშის დაწყება.
ანგარიშსწორება	ფიზიკური და იურიდიული პირების გადახდისა და შემოსულის თანხების ჩარიცხვა ანგარიშზე.
აქტიური ანგარიშები	აქტივებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები, მათი გამოთვლა.
აჯგუფებს	ჯგუფებად, ნაწილებად დაყოფს.
ბალანსის მუხლი	ბუღალტრული ბალანსის ნაწილი.
დარეგისტრირდება	რეგისტრაციას გაივლის, აღრიცხვაზე ავა.
დებეტი	აქ: ბუღალტრული ანგარიშის მარცხენა გვერდი, რომელშიც ბუღალტრული ოპერაციები ანგარიშდება, მაგ., აქტივის ზრდა.
ერთგვაროვანი	იგივეა, რაც ერთნაირი, ერთი სახისა.
თანამესაკუთრე	პირი, რომელიც სხვასთან ერთად ფლობს საკუთრებას.
ინდივიდუალური მეწარმე	ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ინდივიდუალური საწარმო და მართავს მას.
იურიდიული პირი	აქ: პირი ან საზოგადოება, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობა.
კომიტეტი	ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და რაიმე საქმიანობას ხელმძღვანელობს.
კრედიტი	აქ: ბუღალტრული ანგარიშის მარჯვენა გვერდი, რომელშიც ბუღალტრული ოპერაციები ანგარიშდება, მაგ., აქტივის შემცირება.

მეწარმე სუბიექტები	აქ: ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას მისდევენ.
მინიმუმი	ყველაზე მცირე რაოდენობა.
მოიზიდავს	აქ: დააინტერესებს, სურვილს აღუძრავს, საკუთარ მხარეს გადმოიბირებს.
მონაცემი	აქ: რაიმე მოქმედების შესაძლებლობა.
მოქცევა	აქ: მოთავსება, თავმოყრა.
პასიური ანგარიშები	პასივებისა და შემოსავლების ამსახველი ანგარიშები, მათი გამოთვლა.
რეგისტრი	აქ: მთავარი ბუღალტრული წიგნი.
რეკომენდებული წესი	წესი, ნორმა, რომელსაც ურჩევნ.
საკონტროლო-საღარიბო აპარატი	საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული მესიერების მქონე აპარატი. რომლის მიხედვითაც კონტროლდება შემოსავლები.
საღარიბო	რაოდენობრივი სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის.
სამართლებრივი მხარე	ის ნაწილი, რომელიც სამართალს, კანონს ითვალისწინებს.
სამეწარმეო საქმიანობა	სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული არაერთგზისი საქმიანობა, რომლის მიზანია მოგება.
საწყისი ნაშთი	ფულადი ნაშთი, რომელიც წინა საანგარიშგებო პერიოდიდან გადმოდის ახალი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტში.
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	იგივეა, რაც საჯარო რეესტრი, ანუ რეგისტრაციის ადგილი.
სისტემატიზაცია	წესრიგში მოყვანა, სტრუქტურული განლაგება, გამთლიანება.
სტანდარტი	აქ: ნორმა, საფუძველი.
სუბიექტური მიდგომა	პირადი დამოკიდებულება.
ფიზიკური პირი	ცალკეული პირი. ის სამოქალაქო სამართლის სუბიექტია.
[ფულის] ბრუნვა	აქ: [თანხის] მიმოქცევა.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	საზოგადოება, რომელიც კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს და მოგების მიზანი აქვს.
შემოსავლების სამსახური	ორგანიზაცია, რომელიც კანონის დაცვით აკონტროლებს ფიზიკური თუ იურიდიული პირების შემოსავლებს.
შეჯამება	შედეგის მიღწევის მიზნით დაანგარიშება, გამთლიანება.
წესდება	ორგანიზაციის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია საქმიანობის წესები.

ზმნები							
№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შერება?	რას შერებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აგებს [პასუხს]	აგებდა [პასუხს]	აგო [პასუხი]	აგებს [პასუხს]	აგოს [პასუხი]	უგია [პასუხი]	[პასუხის] გება
2	ამცირებს	ამცირებდა	შეამცირა	შეამცირებს	შეამციროს	შეუმცირებია	შემცირება
3	აქცევს	აქცევდა	მოაქცია	მოაქცევს	მოაქცეოს	მოუქცევია	მოქცევა
4	აჯგუფებს	აჯგუფებდა	დააჯგუფა	დააჯგუფებს	დააჯგუფოს	დაუჯგუფებია	დაჯგუფება
5	ეკისრება	ეკისრებოდა	დაეკისრა	დაეკისრება	დაეკისროს	დაჰკისრებია	დაკისრება
6	ექვემდებარება	ექვემდებარებო- და	დაექვემდებარა	დაექვემდებარე- ბა	დაექვემდებარ- ოს	დაჰქვემდებარე- ბია	დაქვემდებარე- ბა
7	ემყარება	ემყარებოდა	დაემყარა	დაემყარება	დაემყაროს	დამყარებია	დამყარება
8	ირჩევს	ირჩევდა	აირჩია	აირჩევს	აირჩიოს	აურჩევია	არჩევა
9	იყოფა	იყოფოდა	გაიყო	გაიყოფა	გაიყოს	გაყოფილა	გაყოფა
10	იხსნება	იხსნებოდა	გაიხსნა	გაიხსნება	გაიხსნას	გახსნილა	გახსნა
11	მზადდება	მზადდებოდა	მომზადდა	მომზადდება	მომზადდეს	მომზადებულა	მომზადება
12	რეგისტრირ- დება	რეგისტრირდე- ბოდა	დარეგისტრირ- და	დარეგისტრირ- დება	დარეგისტრირ- დეს	დარეგისტრირე- ბულა	დარეგისტრი- რება



1.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რამდენად არის საჭირო სპეციალობის დამადასტურებელი დიპლომი ან სერტიფიკატი?
2. მიიღებდით თუ არა კონკურსანტს სამსახურში ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის ან სერტიფიკატის გარეშე?

1.2. ტექსტი:

ლევან აბაშიძემ ხუთი წლის წინ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალური კურსი დაამთავრა, სერტიფიკატი აიღო და საკონსერვო ქარხნის ბუღალტრად მალევე დაიწყო მუშაობა. რადგან სამეურნეო საქმიანობა საკმაოდ რთული პროცესია და მრავალი საწარმოო ოპერაციისაგან შედგება, ყველაფერი ოპერატიულად, ზუსტად და დოკუმენტურად უნდა აღირიცხოს. ლევანს თითქმის ყოველდღე ბუღალტრული საბუთების შედგენა უწევს. ის სპეციალური ფორმის ბლანკებზე აღრიცხავს საწარმოში შემოსულ და გასულ თანხებს და ასე ქმნის საღაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერებს. თუ საწარმომ რაიმე საქონელი შეიძინა, ამას მიღება-ჩაბარების აქტით აფორმებს. თვის ბოლოს მას ყოველთვის მზადა აქვს ხელფასის უწყისი, რათა თანამშრომლებს ანაზღაურების მიღება არ დაუგვიანდეთ. ლევანის ფუნქციებში საწარმოს ინვენტარის აღრიცხვაც შედის. საკონსერვო ქარხანას 10 სატვირთო მანქანა და 3 მსუბუქი ავტომობილი ემსახურება, საწარმოში კი 25-მდე მანქანა-დანადგარი მუშაობს, არის მაცივრებიც, ამიტომ ინვენტარიზაცია აუცილებელი ბუღალტრული პროცესია, რომელსაც ლევანი აღრიცხვის დოკუმენტებში ინიშნავს.

ყველაზე რთული პერიოდი წლის ბოლოს დგება, როცა ლევანმა საანგარიშგებო პერიოდის ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარუდგინოს დირექტორთა საბჭოს. ის ფინანსური ანგარიშგებისას დადგენილ პრინციპებს ეყრდნობა და ყველაფერს ფულადი საზომი ერთეულით, ანუ ლარით, ითვლის. ბუღალტერი ცდილობს, აღრიცხვის დოკუმენტები საიმედო იყოს. მან კარგად იცის, რომ სამართლიანობის პრინციპის დაცვა აუცილებელია და შეგნებული შეცდომები არ ეპატიება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ლევანი ყველაზე დიდ დროს ბუღალტრული ბალანსის შედგენას უთმობს, რადგან მასში საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი სრულად უნდა

აღიწეროს. მუშაობისას ის ვერტიკალურ ფორმატს იყენებს. ასე ალაგებს ბუღალტერი აქტიურ და პასიურ ანგარიშებს, ხოლო მათი დაჯამებით არკვევს, თუ რამდენი ლარის ბრუნვაა საწარმოში, ან რამდენია საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილი სალდო.

ლევანმა თავისი დაუღალავი შრომით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რადგან პროფესიონალია, პრინციპული და პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული. მას ყველა ენდობა. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ახალი წლიდან ლევანი დააწინაუროს და მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე გადაიყვანოს.

- სამეურნეო საქმიანობა საკმაოდ რთული პროცესია და არაერთი საწარმოო ოპერაციისაგან შედგება, ამიტომ ყველაფერი ოპერატიულად, ზუსტად და დოკუმენტურად უნდა აღირიცხოს.
- ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები საიმედო უნდა იყოს. მათში სამართლიანობის პრინციპის დაცვა აუცილებელია.



დააწინაურებს - თანამდებობრივად წინ წაწევს, შედარებით მაღალ თანამდებობაზე დანიშნავს.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. რის შემდეგ შეძლო ლევან აბაშიძემ ბუღალტრად მუშაობის დაწყება?
2. როგორ აღრიცხავს ლევანი საწარმოო ოპერაციებს?
3. რა ბუღალტრული დოკუმენტების შექმნა უწევს მას? დაასახელეთ მაგალითები.
4. რა უნდა წარუდგინოს ლევანმა წლის ბოლოს დირექტორთა საბჭოს?
5. როგორ ითვლის ბუღალტერი საწარმოს შემოსავლებსა და გასავლებს ფინანსური ანგარიშგებისას?
6. რას ცდილობს და რა იცის ბუღალტერმა?
7. რას უთმობს ყველაზე დიდ დროს ლევანი და რატომ?
8. რომელ ფორმატს იყენებს ბუღალტერი ბალანსის შედგენისას?
9. რას არკვევს ლევანი ანგარიშთა დაჯამების შედეგად?
10. რა თვისებების გამო მოიპოვა ბუღალტერმა ავტორიტეტი?

სინონიმები	ანტონიმები
არაერთი - მრავალი ყოველდღე - ყოველდღიურად ავტორიტეტი - სახელი	წინ - უკან ყოველთვის - არასდროს დაცვა - დარღვევა



ავტორიტეტი

სახელი

მაგ., ნანა გიორგაძე საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.
- იქნებ, თქვენი სახელი მითხრათ?! - მე გიორგი მქვია.

1.4. ა) წიკითხეთ დიალოგი:

გივი: რა ქენი, კაკო, დოკუმენტი გაამზადე?

კაკო: რომელზე მეკითხები, რა გინდა?!

გივი: ჩარიცხული ხელფასიდან გადასახადის თანხა რომ უნდა გამოგეკლო, იმაზე ვლაპარაკობ...

კაკო: კი, ეგ უკვე მზადა მაქვს.

გივი: ხელზე ასაღები ანაზღაურება რამდენი გამოგვივიდა, ერთი მანახე...

კაკო: არა უშავს, ნორმალურია, შენ და ლალი 1200 ლარს აიღებთ!

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ბუღალტრული დოკუმენტის ნახვა მოსთხოვა გივიმ კაკოს?
- რა იყო დაანგარიშებული დოკუმენტში?

ბ) ააგეთ ასეთივე დიალოგი თქვენზე:

- „სალაროს გასაგლის ორდერი მაჩვენე...“

1.5. წიკითხეთ დიალოგი:

ნინო: სასწრაფოდ უნდა შეგვკრიბოთ ყველა ის ხარჯი, რომლებიც პომიდვრის მწნილის დასამზადებლად დაგვჭირდა!

კახა: ეგ საქმე დღესვეა გასაკეთებელი, ნინო?!

ნინო: კი, პასუხი ფინანსურ მენეჯერს უნდა, რომ პროდუქციის გაყიდვა დავიწყეთ. ერთ კვირაში სამომხმარებლო ბაზარზე შეგვაქვს, მაღაზიებშიც დავარიგებთ და ბაზრობებზეც.

კახა: აღრიცხვას მოხმარებული ნედლეულის ხარჯით დავიწყებ...

ნინო: როგორც შენ გინდა, ოღონდ არც ელექტროენერგიის ხარჯი დავავიწყდეს და არც დაქირავებული მუშებისა.

კახა: არა, ეგენი რომ დამავიწყდეს, როგორ გავიგებ, რა დავავიწყდა ერთი ქილა პომიდვრის მწნილის წარმოება?!

ნინო: იცოდე, შენს პასუხს ელოდებიან და ანგარიში სამსახურიდან წასვლის წინ მაინც შეუტანე მენეჯერს!

უპასუხეთ კითხვებს:

- რა უნდა დაეჯამებინა კახას?
- რა აინტერესებდა ფინანსურ მენეჯერს - პროდუქტის ხარისხი, მისი რაოდენობა თუ თვითღირებულება? გახაზეთ ფრაზები, რომელთა მიხედვითაც უპასუხეთ კითხვას.
- რა დაავალა ნინომ კახას?

პომიდვრის მწნილი - პომიდვრის მჟავე

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

საანგარიშებო პერიოდი
მიღება-ჩაბარების აქტი
სპეციალური ბლანკები

ხელფასის უწყისი
სამართლიანობის პრინციპი
ბუღალტრული ბალანსი

1. ჩვენს ბუღალტერს თვის ბოლოს ყოველთვის მზადა აქვს, რათა თანამშრომლებს ანაზღაურების მიღება არ დაუგვიანდეთ.
2. ლევანმა იცის, რომ დოკუმენტებში დაცვა აუცილებელია და შეგნებული შეცდომები არ ეპატიება.
3. ლევანი შედგენას დიდ დროს უთმობს, რადგან მასში საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი სრულად უნდა აღწეროს.
4. ბუღალტერი აღრიცხავს საწარმოში შემოსულ თანხებს.
5. ლევანმა ერთწლიანი ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარუდგინოს დირექტორთა საბჭოს.
6. თუ საწარმომ რაიმე საქონელი შეიძინა, ლევანი მას აფორმებს.

1.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	დამიგვიანდა	მიგვიანდება	დამიგვიანდება
2.	ეპატია	ეპატიება	ეპატიება
3.	ენდო	ენდობა	ენდობა
4.	დააწინაურა	აწინაურებს	დააწინაურებს



1.8. მოსმენა

დიალოგი: გაუთვალისწინებელი ხარჯი
(დირექტორი და ბუღალტერი)

გაუმართავი მანქანა - მანქანა, რომელიც ტექნიკურად არ არის გამართული, ცუდად მუშაობს.

ტრანსპორტირება - აქ: პროდუქციის ტრანსპორტით გადატანა.

1.9. მოსმენილი მასალის მიხედვით სწორი და არასწორი აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
1.	დირექტორმა საანგარიშგებო დოკუმენტში წმინდა მოგების ნაკლებობა შენიშნა.		
2.	დირექტორი გაუთვალისწინებელი ხარჯებით დაინტერესდა.		
3.	ბუღალტრის განმარტებით, საწარმოს გაუთვალისწინებელი ხარჯი საერთოდ არ ჰქონია.		
4.	პროდუქციით დატვირთულ მანქანას ავტოავარია მოუვიდა და ქილები დაიმტვრა.		
5.	დირექტორი დიდი ხნის გახსნილ შპს-ს ხელმძღვანელობდა.		
6.	ბ-ნ გიორგის ახალი სატვირთოს შეძენა ჰქონდა გადაწყვეტილი.		
7.	გაუმართავი მანქანით პროდუქციის ტრანსპორტირება საშიში არ იყო.		
8.	დირექტორმა ახალი მანქანის შესაძენად ბანკიდან კრედიტის აღება გადაწყვიტა.		

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1.
2.
3.

1.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რის გამო დასვა კითხვა დირექტორმა გაუთვალისწინებელი ხარჯების შესახებ?
2. რას ელოდა ის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს?
3. რამდენი ლარით იყო ნაკლები წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით?
4. რა ფაქტმა გამოიწვია ხარჯების გაზრდა კონკრეტულ საანგარიშგებო პერიოდში?
5. დირექტორის აზრით, რისი შესყიდვის გადადება არ შეიძლებოდა და რატომ?
6. როგორ ფიქრობდა საწარმოს ხელმძღვანელი პრობლემის მოგვარებას?

1.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი.

1.13. საპრეზენტაციო თემა

რა თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ თანამშრომლებს შორის ავტორიტეტი მოვიპოვოთ?

1.14. წერა

იმსჯელეთ საკითხზე - მე პიროვნება ვარ, ამიტომ საკუთარი პრინციპები მაქვს...



1.15. დაიმასხვრეთ!

„გახსოვდეს, რომ აზრის შეცვლა და ისეთი მოქმედება, რომელიც შენს შეცდომას გამოასწორებს, უფრო შეეფერება თავისუფლებას, ვიდრე შეცდომის ჯიუტად დაცვა“ /მარკუს ავრელიუსი/.

„წინ თუ არ წახვალ, აუცილებლად დაეცემი. ყველაზე მთავარია, სცადო, ერთი ნაბიჯით მაინც წაიწიო წინ“ /აკუტაგავა/.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რას არ გვირჩევს მარკუს ავრელიუსი?
2. როგორ ადამიანს შეუძლია საკუთარი შეცდომის გამოსწორება აზრის შეცვლით?

3. იაპონელი მწერლის - აკუტაგავას - მოსაზრებით, რა შემთხვევაში ეცემა ადამიანი?



1.16. ეს საინტერესოა!

მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ყოველწლიურ რეიტინგს ცნობილი ანალიტიკოსები და ფინანსური კომპანიები მათი ჯამური აქტივების მიხედვით ადგენენ, ჯამური აქტივები კი არის საერთო ღირებულება ყველა იმ ფულადი საშუალებისა, რომლებიც ამ კომპანიებს საკუთრებაში აქვთ. უკვე რამდენიმე წელია, რაც საბანკო სექტორში ლიდერის პოზიცია ჩინეთს უკავია. 2018 წლის მონაცემების მიხედვით, 20 უმსხვილეს ბანკს შორისაა „ჯემორგან ჩეისი“ (JPMorgan Chase), რომელიც 2000 წელს დაფუძნდა და წარმატებას მალე მიაღწია. ის აშშ-ში საბანკო სექტორის ლიდერია და მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკია. მისი ცენტრალური ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს.

რეიტინგი - კონკურსის ან გამოკითხვის მიხედვით დადგენილი ადგილი, პოზიცია.

უპასუხეთ კითხვებს:

- რის მიხედვით ადგენენ ბანკების რეიტინგს?
- რა არის ჯამური აქტივები?
- თქვენი აზრით, რა საშუალებებითა და უნარებით შეიძლება წარმატების მიღწევა?

ზმნები

№	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1.	აწინაურებს	აწინაურებდა	დააწინაურა	დააწინაურებს	დააწინაუროს	დაუწინაურებია	დაწინაურება
2.	ენდობა	ენდობოდა	ენდო	ენდობა	ენდოს	ნდობია	ნდობა
3.	ეპატიება	ეპატიებოდა	ეპატიო	ეპატიება	ეპატიოს	ჰპატიებია	პატიება
4.	უგვიანდება	უგვიანდებოდა	დაუგვიანდა	დაუგვიანდება	დაუგვიანდეს	დაჰგვიანებია	დაგვიანება



I თავი სამეურნეო ალრიცხვის არსი. საზოგადოებრივი

I ნაწილი დიალოგი: შვემთხვევა სამეურნეო საწყობში

ნიკა: როგორ ხარ, დათო, მუშაობა კიდევ შეგიძლია?

დათო: სიმართლე გითხრა, ბევრი ვიმუშავე და ძალიან დავიღალე, მაგრამ ჯერ 4 საათიც არ არის.

ნიკა: ცოტა ხნის წინ საწყობის გამგემ დამიბარა და დამავალა, რომ პროდუქცია სასწრაფოდ დავთვალოთ.

დათო: ყველაფერი?!

ნიკა: ჰო, ყველაფერი.

დათო: ექვს საათამდე როგორ მოვასწრებთ?!

ნიკა: არ ვიცი, მაგრამ უნდა მოვასწროთ. ასე მითხრა, მუშებს დაგიმატებოთ.

დათო: ანგარიშს შენ ჩაწერ?!

ნიკა: არა, მე დათვლაში მოგეხმარები. ბუღალტერი შემოვა და ის აღრიცხავს.

დათო: კარგი, მეტი რა გზაა!

II ნაწილი დიალოგი: საფინანსო განყოფილებაში

თამაზი: სად ხარ, ლალი? გული გამისკდა, რომ დაგვიანე.

ლალი: სულ ნახევარი საათით დავაგვიანე, მერე რა მოხდა?!

თამაზი: როგორ თუ რა მოხდა? ბ-ნი გიორგი შესამოწმებლად შემოვიდა კაბინეტში. ადგილზე არ იყავი, ამიტომ ჟურნალში დავგიანება დავიფიქსირა და შენ შესახებ დირექტორსაც მოახსენა.

ლალი: დირექტორს მე დაველაპარაკები. არა უშავს, საპატიო მიზეზი მაქვს.

თამაზი: მაინც რა? ხომ იცი, ამის გამო შეიძლება ხელფასი დაგაკლონ. ეს უკვე მეორე შემთხვევაა.

ლალი: ერთი მითხარი, რა უნდა მექნა? დილით დედაჩემი ძალიან ცუდად იყო და სასწრაფო გამოვიძახე. უნდა მიმეტოვებინა?!

თამაზი: უი, რას ამბობ, მართლა? ახლა როგორ არის?!

ლალი: უკეთესად იყო, როცა წამოვედი. ცოტა ხანში დაუბრუნდება და გავიგებ.

თამაზი: საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც გუშინ მთხოვე, შენს მაგიდაზე დავდე. პასუხი დღესვე გასაცემი.

ლალი: კარგი, ვნახავ. ხომ იცი, მე ჩემს საქმეს მაინც გავაკეთებ, ისე არ წავალ სამსახურიდან.

III ნაწილი დიალოგი: სატვირთო მანქანის მოლოდინში

გივი: სატვირთო მანქანა სად არის, რატომ აგვიანებს? ახლა ნამდვილად გავვიჟდები!

თედო: ჯერ დილის 6 საათია, რა გეჩქარება, ყველაფერს მოასწრებ.

გივი: რას ამბობ, კაცო, 10 საათის მერე ბაზარში პროდუქტს ვინლა მიიღებს. მანქანაზე ტომრებიც ხომ უნდა დავალაგო, ყველაფერს დრო უნდა.

თედო: რა მიგაქვს გასაყიდად? მძიმე ტომრებია?!

გივი: ორი ტონა კომბოსტო და 300 კილომდე სტაფილო იქნება.

თედო: უკვე აწონილი გაქვს?

გივი: აწონილიც მაქვს და დაანგარიშებულიც. დაახლოებით ოთხი ათასი ლარი უნდა ავიღო.

თედო: კარგი მოსავალი გქონია, გამიხარდა.

გივი: ეჰ, მთელი გაზაფხული ჩემი ნაკვეთიდან არ გამოვსულვარ. ერთი ეს მითხარი, კაცი რომ არ მუშაობდეს, ფულს როგორ იშოვოს. გვერდითა მიწის ყიდვა მინდა და თანხა ბანკში შემაქვს.

თედო: მეურნეობის გაფართოება გადაგიწყვეტია, შე კაცო, და ეგ არის. ამდენ საქმეს მართო როგორ მოერევი?

გივი: ჰო, ... რაღაცას ვიზამ, ... მუშებს ავიყვან ხოლმე, აბა, წელში ხომ არ გავწყდები.

თედო: კარგი, გივი, გენაცვალე, ხელს აღარ შეგიშლი, შენი სატვირთოც მოვიდა!

II თავი სამეურნეო ადრინსხვა და მისი სახეები

I ნაწილი დიალოგი: მაღალსართულიანი სახლის მშენებლობაზე

ლალი: სწრაფად აღწერე მასალები, რაიმე არ დაგვაცლდეს, თორემ ხვალინდელ გეგმას ვერ შევასრულებთ!

კოტე: სულ ხუთი წუთი მინდა, ტანსაცმელს გამოვიცვლი და მუშებთან ავალ. გავიგებ ერთი, რა ხდება.

ლალი: ადრინსხვის ჟურნალი არ დაგავიწყდეს. ყველაფერი ჩაწერე!

კოტე: გუშინ გივიმ თქვა, ცემენტი არ გვყოფნისო და ჯერ მაგას შევამოწმებ.

ლალი: როგორც შენ გინდა. მთავარია, დღის ბოლოს სრული ანგარიში მქონდეს.

კოტე: ბლოკსაც დავათვლევი. თუ გვჭირდება, ხომ იცი, ეგეც სასწრაფოდ უნდა გამოვწეროთ.

ლალი: მგონი, მუშები მეშვიდე სართულზე არიან და შენ გელოდებიან, საქმეს არ იწყებენ. ცოტა იჩქარე!

კოტე: ჰო, კარგი, წავედი... შესვენებაზე ჩამოვალ და ანგარიშის ნაწილს ჩამოგიტან, მასალის გამოწერა რომ არ დაგვიანდეს.

ლალი: ჩამოსვლა არ დაგჭირდება, დამირეკე და მითხარი, რაც გვაცლდება. ამასობაში მე დოკუმენტებს გავამზადებ.

კოტე: აბა, წავედი, ჩემს ბარს ელოდე!

II ნაწილი დიალოგი: სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში

თინა: დღეს რა სამუშაო დაგვაღეს, სანდრო?!

სანდრო: რა ვიცი, ქუთაისიდან ადრინსხვის მასალა გუშინ ჩამოვიდა და უნდა გავეცნო.

თინა: უი, რამდენი დოკუმენტია!

სანდრო: ჰო, მართლა ძალიან ბევრია.

თინა: აბა, მაგის შესწავლას ორი კვირა მაინც დასჭირდება.

სანდრო: ალბათ, ... მეც ეგრე ვფიქრობ.

თინა: გირჩევ, ჯერ უმუშევრობის სტატისტიკა ნახო, ეკონომიკის სამინისტრო პასუხს სამ დღეში ითხოვს.

სანდრო: თუ ვერ მოვასწარი, მაშინ რა ვქნა?!

თინა: არ ვიცი, რა გითხრა... ყოველდღე იმდენი საქმეა, რომ ორივეს ღამეების გათენება მოგვიწევს.

სანდრო: ქუთაისის გარდა, ბათუმის სტატისტიკური მაჩვენებლებიც უნდა შევამდეს. რა მეშველება, არ ვიცი...

თინა: ბათუმის მასალები იქნებ გოგის მისცენ, თორემ მართლა ვერ მოერევი ამდენ საქმეს.

სანდრო: რა კარგად მირჩიე, თინა, განყოფილების უფროსთან ახლავე შევალ და ვთხოვ, ბათუმის სტატისტიკა გოგის დააანგარიშებინონ.

III ნაწილი დიალოგი: საკონსერვო ქარხნის გულალტერიში

თინა: გოგი, ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები ფინანსურ მენეჯერთან რომ უნდა შეგეტანა, ხომ არ დაგავიწყდა?!

გოგი: არა, თინა, წელან ვიყავი და შევითანე. ეს ჩვენი მენეჯერი არ მომეწონა, ხასიათზე არ იყო.

თინა: რა ხდება, ნეტავ?! მეც შევამჩნიე, დილიდანვე გაბრაზებულია. ალბათ, ფინანსური შედეგები არ მოსწონს.

გოგი: მე მგონი, სხვა რამეშია საქმე. მაგის წინააღმდეგ ბ-ნი რეზო დირექტორთან შესვლას აპირებს. ალბათ, ეს ამბავი თვითონაც იცის.

თინა: რას ამბობ, გოგი?! აბა, დღეს აქ ცუდი ამბავი მოხდება.

გოგი: ჰო, მეც გული მიგრძნობს, რომ ეგრე იქნება.

თინა: ერთი მითხარი, საწარმოს ფინანსებს თავის ჭკუაზე რომ ატრიალებდა, რა ეგონა?!

გოგი: ზუსტად ვიცი, დირექტორი მაგას ხელს არ დააფარებს, ხვალვე დაატოვებინებს სამსახურს.

თინა: მეც ეგრე ვფიქრობ. თანაც ამ თვეში არცერთი ლარი მოგება არ დაგვიფიქსირდა. ნედლეულისთვის ფული რომ დაგენანება კაცს, საკონსერვო ქარხანა როგორ უნდა ამუშაო, გამაგებინე?!

გოგი: ერთი სიტყვით, ცუდი დღე გაუთენდა ჩვენს მენეჯერს. თინა, გენაცვალე, ეს ამბავი მაინც არსად წამოგცდეს.

თინა: არა, გოგი, გპირდები!

III თავი გულალტრული აღრიცხვის საგანი

I ნაწილი დიალოგი: მთავარი გულალტრისა და ფინანსური მენეჯერის საუბარი

ნანა: ბოდიშს გიხდით, ბ-ნო რეზო, რაღაც მინდა, გითხრათ!

რეზო: ისეთი სახე გაქვს, ნანა, რაღაც კარგის თქმას აპირებ, გეტყობა.

ნანა: დიახ, ნამდვილად სასიხარულო ამბავია. გუშინ ჩვენი მოკლევადიანი აქტივებიდან შემოსული მთელი თანხა დავიანგარიშე და მოგება იმაზე მეტია, ვიდრე ველოდით.

რეზო: მართლა?!... მაინც რამდენია?

ნანა: სუფთა მოგება მილიონ სამასი ათასი ლარია. თუ გნებავთ, აღრიცხვის დოკუმენტს ახლავე შემოგიტანთ.

რეზო: როგორ გამახარე, ნანა, რომ იცოდე. ახლა თანხის ნაწილის გრძელვადიან აქტივებში გადატანის შანსიც გვაქვს.

ნანა: რა?!... რაიმეს შეძენა გვჭირდება?!

რეზო: ჰო, ჩვენი სატვირთო ავტომობილები ცოტა მოძველდა, ბევრ ბენზინსაც წვავს და უნდა გამოვცვალოთ. თვის ბოლოს 7 ახალი მანქანა იქნება გამოსაწერი.

ნანა: კარგი, ბ-ნო რეზო, ჯერ მანქანები შეარჩიეთ, ფასიც დაადგინეთ და ბუღალტრულ ანგარიშში მერე შევიტან.

რეზო: გუშინ დირექტორის სახელზე განცხადება დავწერე. იქითა კვირას მშობლებთან მივდივარ, სოფელში, და, როცა ჩამოვალ, ეგ საკითხი მერე მოვაგვართ.

ნანა: კარგი, როგორც თქვენ მეტყვით, ბ-ნო რეზო!

II ნაწილი დიალოგი: ბუნალტარი კომპანიის ერთ-ერთი დირექტორის კაბინეტში

ლია: რა გადაწყდა გუშინდელ დირექტორთა საბჭოზე, ბ-ნო გიორგი?!

გიორგი: რა და... ბანკიდან სესხის გამოტანა დაგეგმილება. ეგ საქმე სასწრაფოდ უნდა მოვაგვაროთ.

ლია: ისედაც იმდენი თანხა შეგვაქვს ბიუჯეტში და ჩვენი კომპანია ახალი სასესხო ვალდებულების გადახდას შეძლებს?!

გიორგი: შეძლებს, ჩემო ლია, შეძლებს... მომავალი წლიდან მოგება 2-ჯერ მაინც გაიზრდება და ეგ სესხიც ნელ-ნელა დაიფარება.

ლია: მაშინ კაბინეტში წავალ და საბუნალტრო დოკუმენტებს შემოვიტან, ვალდებულებების აღრიცხვას ერთად გადავხედოთ.

გიორგი: წადი..., მაგრამ ისე არ დაგეგმართოს, როგორც გამოუცდელ ბუნალტრებს მოსდით ხოლმე. ხომ არ აჯობებს, ჯერ ბანკში დარეკო, სასესხო პროცენტი დაადგინო და მერე დავილაპარაკოთ.

ლია: როგორც თქვენ მეტყვით, ისე მოვიქცევი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჩემზე ნაწყენი ხართ?! რა დავაშავე?!

გიორგი: ეჰ, ლია, გენაცვალე, შენ რა შუაში ხარ, შენზე ნაწყენი რატომ უნდა ვიყო?! ერთგული თანამშრომელი ხარ. უბრალოდ ხასიათზე არა ვარ. ჩემს ცოლს ოპერაციას უკეთებენ და მე აქ ვზივარ, სამსახურში.

ლია: კარგი, ბ-ნო გიორგი, მაშინ პასივების ანალიზი ერთი-ორი დღით გადავდოთ! დღეს რამდენიმე ბანკში დავრეკავ და სესხის საკითხსაც გავარკვევ, თქვენ კი იქნებ საავადმყოფოში წახვიდეთ.

გიორგი: მგონი, მართალს მეუბნები, ლია, სჯობს წავიდე. გული მაინც არ მიჩერდება.

ლია: რა თქმა უნდა, ასე უნდა მოიქცეთ, ბ-ნო გიორგი, სიკეთეს გისურვებთ!

III ნაწილი დიალოგი კომპანიის მთავარ დირექტორსა და ბუნალტარს შორის

ეკა: დღეს კომპანიაში ინვესტორებს ველოდებით არა, ბ-ნო თამაზ?

თამაზი: ჰო, შეხვედრა 12 საათისათვის არის დანიშნული და იმედია, არაფერი შეიცვლება.

ეკა: მინდოდა მეთქვა, რომ წელან დარეკეს. უამინდობის გამო თურმე თვითმფრინავის რეისი გადაიდო და ჩვენი გერმანელი ინვესტორი ჯერ კიდევ გზაშია.

თამაზი: რას ამბობ?!... ბ-ნი შლიმანი?!... აბა, მაგის გარეშე შეხვედრას რა ამრი აქვს?!

ეკა: არა..., სულ რაღაც ნახევარი საათით დაავადიანებსო, გაგვაფრთხილეს.

თამაზი: ჩემო ეკუნა, ნახევარი საათი ისეთი რა დიდი დროა, რომ ვერ დავიცადოთ. მაშინ ყველას ჩამოურეკე და სხდომა გადაწყვიტე!

ეკა: კარგი, ბ-ნო თამაზ!

თამაზი: მართლა..., მთავარ ბუნალტერს უთხარი, ყველა დოკუმენტი სხდომათა დარბაზში ამომიტანოს. ხომ იცი, ჯერ ბუნალტრულ აღრიცხვას შეამოწმებენ. მერე წავიყვან და საწარმოს დავათვალიერებინებ.

ეკა: მთავარი ბუნალტერი უკვე გაფრთხილებულია, ბ-ნო თამაზ!

თამაზი: რა ექნა, კაცო, მაგათ შენი ლამაზი თვალები კი არა, მყარი გარანტიები სჭირდებათ, თორემ დოკუმენტებს სულ არ ვანახებდი.

ეკა: რა ხუმრობის ხასიათზე ხართ, ბ-ნო თამაზ! მეც კარგ გუნებაზე დავდექი.

თამაზი: ეჰ, ჩემო საყვარელო ეკა, ... მთავარია, როცა მოვლენ, ენა არ დამებას, თორემ ყველაფერი ჩაგვეშლება! წადი ახლა შენ და სხდომათა დარბაზი მოაწესრიგე!

I ნაწილი დიალოგი: რძის პროდუქტების სანარმოში

(ხელმძღვანელი პირი და გულალტერი)

ივანე: ნინო, ამ თვის ვალდებულებები თუ დაითვალე?

ბუღალტერი: დიახ, ბ-ნო ივანე, ყველაფერი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებშია აღწერილი. ხომ არ განახოთ?

ივანე: კარგი, აბა, მაჩვენე... მე აქ მოგების გადასახადის რაოდენობას ვერ ვხედავ. სად არის ერთი, ხელი დაადე?!

ბუღალტერი: პასივებში წერია, ბ-ნო ივანე!

ივანე: ჰო, აი, დავინახე... საშემოსავლო გადასახადიც აქვეა არა?!... არაფერი გამოგრჩეს, თორემ თანხის გადაუხდელობის გამო დაგვაჯარიმებენ.

ბუღალტერი: ბიუჯეტში შესატანი ვალდებულებები სრულად არის დაფარული, ვინ რა უნდა გვითხრას?!

ივანე: ესეც მითხარი, შენი ამრით, ამ წლის ბოლოს საკუთარი კაპიტალი დაახლოებით რამდენი ლარი გამოგვივა?!

ბუღალტერი: ზუსტ რაოდენობას წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ, ვფიქრობ, ერთ მილიონ ლარზე ნაკლები არ იქნება.

ივანე: კარგი, ნინო, მაშინ წლის ბოლოს მაინც შევექმნათ სარეზერვო ფონდი. რა იცი, თანხა რაში დაგვჭირდება. გუშინ მუშამ რომ ხელი მოიტეხა, სამკურნალო თანხა ჩემი ჯიბიდან მივეცი...

ბუღალტერი: წლის ბოლოს სრული ბუღალტრული ანგარიში გვექნება. აქტივები და პასივები კარგად დაჯამდება და, მართლაც, სჯობს, სარეზერვო ფონდზე მერე ვილაპარაკოთ.

ივანე: კარგი, ნინო, დღეს თავისუფალი ხარ!

II ნაწილი დიალოგი მთავარ გულალტერსა და ბანკის თანამშრომელს შორის

ნელი: გამარჯობა, ბ-ნო სანდრო, რძის პროდუქტების საწარმოს მთავარი ბუღალტერი გაწუხებთ.

სანდრო: რაშია საქმე?! რამე პრობლემაა?!

ნელი: გუშინ საღამოს 5 საათზე საწარმოს ანგარიშზე 553.000 ლარი გადმოვრიცხე. იქნებ, თანხა შემიძოწმეთ, ყველაფერი ხომ კარგადაა?!

სანდრო: თქვენი სახელი, გვარი, პირადობის ნომერი და სატელეფონო კოდი მიკარნახეთ. ყველაფერს ახლავე ვნახავ.

ნელი: მე ნელი სალუქვაძე ვარ. პირადი ნომერია 0100804531, სატელეფონო კოდი კი - 15477.

სანდრო: გუშინდელი თანხა ჩარიცხულია, ქ-ნო ნელი! კიდევ რამე ხომ არ გაინტერესებთ?

ნელი: დიახ, იქნებ, ანგარიშზე არსებული თანხის საერთო რაოდენობაც მითხრათ, ევროებში გადატანას ვაპირებთ და ზუსტი ანგარიში მჭირდება.

სანდრო: ახლავე... სამი კვირის წინ თქვენი საწარმოს ანგარიშს ბანკმა წლიური 3% დაარიცხა და ჯამურად 700.000 ლარია.

ნელი: თუ არ შეწუხდებით, ბ-ნო სანდრო, ევროს დღევანდელი კურსიც მიკარნახეთ.

სანდრო: რა თქმა უნდა,... დღეს ერთი ევრო 2 ლარი და 70 თეთრია.

ნელი: უი, რა კარგი კურსი ყოფილა! ახლავე წამოვალ და თანხას ევროებში გადავიტან, თორემ ლარის კურსი ძალიან დაეცა. კარგად ბრძანდებოდეთ, ბ-ნო სანდრო!

სანდრო: კარგად ბრძანდებოდეთ!

V თავი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები და ელემენტები

I ნაწილი დიალოგი ორ ბუღალტერს შორის

ნინო: სად შეინახე ჩვენი ბუღალტრული დოკუმენტები, დათო?! ყველგან ვეძებ და ვერ ვიპოვე.

დათო: ჩემი საწერი მაგიდის უკრაში ჩავდე,... რა იყო?!...რისთვის გჭირდება?!

ნინო: დირექტორი მიბარებს, ერთი კვირის დოკუმენტაცია უნდა ვაჩვენო. სალაროს ორდერები ხომ გაფორმებულია?

დათო: კი, გუშინ მთელი დღე მაგ ბლანკებს ვადგენდი, არაფერი გამომჩენია.

ნინო: აბა, ხელფასის უწყისს რომ ვერ ვხედავ?!

დათო: რას ამბობ, ნინო?! ეგეც მანდ არის, კარგად მოძებნე!

ნინო: ჰო,... აი, მგონი ვიპოვე, მაგრამ რეკვიზიტების შევსება გამოგრჩენია, არც ხელმოწერა აქვს...

დათო: მთავარი საქმე უკვე გავაკეთე, ამ თვეში დარიცხული ხელფასიც ვიანგარიშე, დასაკავებელი პროცენტიც და ხელზე ასაღები თანხაც... ნეტავ, რეკვიზიტების შევსებას რაღა უნდა?! ველარ მოვასწარი, ბევრი საქმე მქონდა.

ნინო: კარგი, მაგას მე გავაკეთებ... დირექტორი გაბრაზდება, ასე ვერ მივუტან.

დათო: ჯერ დღევანდელი თარიღით გააფორმე, რიცხვი არ შეგეშალოს და ხელს მერე მოვაწერ. ხომ ხედავ, სარეკლამო მომსახურების ხარჯებს ვანგარიშობ, მაგისტვის არა მცალია.

ნინო: ჰო, კარგი,... ოღონდ ეგ მიღება-ჩაბარების აქტი შეადგინე და დანარჩენს ადვილად მივხედავ!

II ნაწილი დიალოგი: საკონსერვო ქარხნის ბუღალტერიანი

ლია: დღეს ბევრი საქმე გვაქვს. ორშაბათიდან პომიდვრის კონსერვი ბაზარზე გავგაქვს და მთავარ ბუღალტერს თვითღირებულება აინტერესებს.

გიო: მაშინ ყველა ხარჯი დასათვლელი იქნება... ორი სამუშაო დღეა დარჩა და ამდენ საქმეს მოვასწრებთ?! ხელფასის უწყისიც გასაკეთებელია, ხალხს ანაზღაურებას ხომ არ დავუგვიანებთ?!...

ლია: უნდა მოვასწროთ, გიო, სხვა გზა არა გვაქვს... მთელი ღამეები რომ ვიმუშაოთ, მაინც უნდა დავაჯამოთ შედეგები, თორემ პროდუქციას ისე როგორ დაარიგებენ მაღაზიებში?!

გიო: სად არის ის დოკუმენტი, დაქირავებული მუშების ხელფასები რომ გვიწერია?! შემთხვევით ეგ არ გამოგვრჩეს.

ლია: კარგი, რა..., გიო, ნუ წუწუნებ, ადრე ამდენ საქმეს მართო ვაკეთებდი, თანაც კალკულატორით, ახლა ყველაფერს კომპიუტერი ანგარიშობს. მთავარია, პროგრამაში რომელიმე ხარჯის შეტანა არ დავგავიწყდეს.

გიო: უი,... ეგ რა გამახსენე!... თავიდან მუშაობა რომ დავიწყე, დედაჩემმა ისეთი კალკულატორი მიყიდა, როგორიც არავის ჰქონდა სოფელში. უხაროდა, ჩემმა შვილმა ბუღალტრობა ისწავლაო.

ლია: მერე?!... შენც ანგარიშობდი და ანგარიშობდი, არა?!..

გიო: ჰო, მეც მიხაროდა,... უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა და, რომ ვფიქრობ, მგონი, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი... კომპიუტერით მართლა ყველაფერი უფრო ადვილია.

ლია: მიდი, გიო, მიდი, შენგან ამდენ ლაპარაკს მიჩვეული არა ვარ. გირჩევნია, საქმეს შეუდგე, თორემ საყვედურები არ აგვცდება.

გიორგი: ლია, გენაცვალე, ერთი ყავა თუ არ დამალევინე, არაფერსაც არ დავიწყებ!

ლია: ისე მართალი ხარ, ჯერ ყავა დავლიოთ!

III ნაწილი დიალოგი: მხენაპელი და ბუღალტერი

გივი: რა ქენი, ლალი, ბანკის ანგარიშიდან ჩვენს სალაროში რამდენი ლარი გადმოიტანე?

ლალი: 75.000 არ მითხარი?! ჰოდა, მეც მაგდენი მოვხსენი.

გივი: კარგი გიქნია, ხვალ სატვირთოებს ვაგზავნი, მარნეულიდან მარმარილოს ქვები უნდა ჩამოვატანინო და შესყიდვის თანხა გვექნება გადასარიცხი.

ლალი: მარმარილოც გვჭირდება?!

გივი: კი, სამშენებლო პროექტში ევრეა,... ახალი შენობის შესასვლელში უნდა დავაგოთ. მთავარია, შენ აღრიცხვის დოკუმენტებში თანხის მიმოქცევა შეიტანო.

ლალი: ბანკიდან გადმორიცხვა უკვე დავაფიქსირე, შესყიდვას ხვალ გავაფორმებ.

გივი: ხომ არ იცი, რამდენი დავგვრჩა ანგარიშზე, ეგ 75.000 რომ დააკლდა?!

ლალი: მილიონი ლარი კიდევ არის, ნუ გეშინია!

გივი: მშენებლობა თითქმის დავამთავრე, ორ თვეში შენობას ჩავაბარებ და რისი უნდა მეშინოდეს?!

ლალი: ხმამალლა რომ მელაპარაკები, გივი, ვინმემ ხომ არ გაწყენინა?!

გივი: არა, კაცო, დილიდან თავი მტკივა ძალიან...

ლალი: ბავშვობის მეგობრები ვართ და არაფერს გეტყვი, პირში წყალს ჩავიგუბებ, თორემ ხმის აწევას არ გაპატიებდი.

გივი: გეხეწები, ლალი, ხომ იცი, არ მიყვარს, შენ რომ გაბრაზებულს გხედავ! ერთს გაკოცებ და გადაგივლის...

VI თავი ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული გალანსი

I ნაწილი დიალოგი: გაყიდვების მენეჯერი და ბუღალტერი

კოტე: უკვე მოხვედრი, ლალი, ჯერ რომ ძალიან ადრეა?!

ლალი: ჰო, ანგარიშგების დოკუმენტი მქონდა დასამთავრებელი, დღეს 12 საათზე მზად უნდა იყოს.

კოტე: 12 საათზე რა ხდება?!... ვინმეს ველოდებით?!...

ლალი: ჰო, რა ვიცი, ფინანსური პოლიცია გვამოწმებს. რამე რომ გამოძრჩეს, არ დამაბრალონ, შეცდომა შეგნებულად დაუშვიო.

კოტე: შარშანდელივით არა?! ამხელა საწარმო გვაქვს და კაცს 100 ბოთლი ღვინის გაყიდვის ანგარიშში შეტანა რომ დავავიწყდეს, ამის გამოც საყვედურს გაძლევენ.

ლალი: რას იზამ, კოტე, ანგარიშგება სამართლიანი თუ არ იქნება, წინ „საგადასახადო კოდექსს“ დავგიდებენ და პასუხსაც მოგვთხოვენ. შარშან ისეთი არაფერი შემშლია, რომ კანონდარღვევა ყოფილიყო.

კოტე: ვიცი, ლალი, ისეთი პროფესიონალი ხარ, შენისთანა ბუღალტრებს სანთლით ეძებენ, მაგრამ იმდენი რამ გაქვს დასაანგარიშებელი, ცოტა მეცოდები.

ლალი: არა უშავს, კოტე, ეგ ჩემი საქმეა და ისეთი არაფერი დამრჩა, 12 საათამდე რომ ვერ მოვასწრო. წლიური ანგარიშგება იყო და მეტი დრო დასჭირდა.

კოტე: კარგი, აბა, მე ქვემოთ ჩავალ და ხელს აღარ შევიშლი. მანქანებს ტვირთავენ, დღეს თხუთმეტი ათასი ბოთლი ღვინო უნდა გავიდეს ჩვენი საწყობიდან.

ლალი: გთხოვ, აღრიცხვის საბუთი თან გაიყოლე და ყველაფერი დაწვრილებით ჩაწერე, არ დავავიწყდეს!

II ნაწილი დიალოგი: სანარმოს ბუღალტერი და დირექტორის მდივანი

სანდრო: სად იყავი ამდენ ხანს, თინა?!... შესვენებაზე არ ვისადილოთ?!

თინა: მთავარ ბუღალტერთან ვიყავი შესული, ბალანსი შევუტანე.

სანდრო: კი, მაგრამ ორი საათი რაში დაგჭირდა?!

თინა: ჯერ გრძელვადიან აქტივებსა და პასივებს ვამოწმებდით, მერე – ლიკვიდურობას და დრო ისე გავიდა, ვერც გავიგე.

სანდრო: რა?!... რამეზე საყვედური ხომ არ გითხრა, ცოტა განერვიულებული ჩანხარ...

თინა: ისეთი არაფერი,... გრძელვადიან აქტივებში პატარა შეცდომა დავუშვი და შენიშვნა მომცა. კიდევ კარგი, ლიკვიდურობაში ყველაფერი სწორად იყო.

სანდრო: მაინც რა იყო ასეთი?!

თინა: რა და... საწარმოს კუთვნილ ინვენტარში მაცივრები არ მეწერა. რა ვქნა, ერთი?!... ადამიანი ბევრ საქმეს რომ აკეთებ, რაღაც მაინც შეგეშლება.

სანდრო: სულ რამდენი მაცივარი გვაქვს ბალანსზე?

თინა: ოთხი დიდი მაცივარია ნაყინის შესანახად.

სანდრო: მთავარია, ხომ გაასწორეთ!

თინა: კი გავასწორეთ, მაგრამ ამას წინათაც იგივე შეცდომა მომივიდა და „აღბათ“, ამიტომ გაბრაზდა ასე ძალიან.

სანდრო: რა მოხდა მერე?!... ჯერ ახალი დაწყებული გაქვს ბულალტრობა და ცოტა ხანში არაფერი შეგეშლება. წამოდი, ვისადილოთ...

III ნაწილი დიალოგი: ხმაური სამსახურის ღირებულებაში

თინა: რა წყნარად ზიხარ, გოგი, კაბინეტში! დერეფანში რომ ხმაური იყო, არ გაგიგია?!

გოგი: რა მოხდა მაინც?!... კი გავიგე, მაგრამ ხომ იცი, სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს და გარეთ მაგიტომ არ გამოვედი.

თინა: რა სხვის საქმეზე მელაპარაკები ერთი?!... ჩვენი ფინანსური მენეჯერი ლამის ჭკუიდან შეიშალოს, ამ თვეში 100.000 ლარის ზარალი დაგვიფიქსირდა. ხელფასები არ დაგვაკლონ....

გოგი: ვის ეჩხუბებოდა? ხმა ვერ გავარჩიე...

თინა: გაყიდვების მენეჯერს, ახალი მოსული რომაა და გამარჯობის თქმა რომ ვერ ისწავლა, იმას.

გოგი: ვიცოდი, თინა, ეს თვე ეგრე რომ დამთავრდებოდა. საწყობებში საქონელი ფუჭდება და მაგას ოთახიდან გამოსვლა არ უნდა, კომპიუტერში თამაშობს.

თინა: რას უზამენ, ნეტავ?!... დირექტორის მოადგილის ძმისშვილია და ვითომ გაათავისუფლებენ?!

გოგი: ეგ რას უშველის მერე?!... დავინახავ, დირექტორის წინაშე თავს როგორ გაიმართლებს...

თინა: ჰოოო,... ამას წინათ მეც მიხდოდა საყვედურის თქმა, მაგრამ სიტყვა შემაწყვეტინა, ჩემი საქმისა მე ვიციო.

გოგი: მაგას წარმოებისა არაფერი გაეგება და არც საქმის სწავლა უნდა.

თინა: ჩვენი დირექტორი გერმანიიდან ხვალ ჩამოდის არა, გოგი?! ვნახოთ ერთი, რა მოხდება...

VII თავი ბულალტრულ ანგარიშთა არსი და საერთაშორისო სტანდარტები

I ნაწილი დიალოგი: ნინა წლის ბულალტრული დოკუმენტის ძიებაში

ნანა: სად წაიღე, რებო, წინა საანგარიშგებო პერიოდის აღრიცხვა?! ამობეჭდილი ვერსია სეიფში იდო და ვეღარ ვხედავ...

რებო: მე ავიღე გუშინ საღამოს, ბულალტრულ პროგრამაში ახალი ანგარიში გავხსენი და დამჭირდა.

ნანა: რატომ?!... კომპიუტერში ხომ გვექონდა?!...

რებო: კი, მაგრამ გვერდით დავიდე და საქმე უფრო გამიადვილდა.

ნანა: კომპიუტერულმა პროგრამებმა ბევრი პრობლემა კი მოხსნა, მაგრამ ადამიანი თუ რამესაა მიჩვეული, ის ძველი ურჩევნია, არა?!

რემო: კარგი რა, ნანა,... არც ისეთი ხნიერი ვარ, კომპიუტერთან მუშაობა რომ არ ვიცოდე. უბრალოდ, წინა ბალანსიდან საწყისი ნაშთის გადმოტანა მინდოდა, აღრიცხვას ისე როგორ დავიწყებდი...

ნანა: ჰო, კაი,... გასაბრაზებლად კი არაფერი მითქვამს. რა ყველაფერი გწყინს, შე კაცო! ფინანსურმა მენეჯერმა ამოებჭდილი მომთხოვა და მეც იმიტომ ვეძებდი.

რემო: ნეტავ, წყენისთვის სადა მცალია, ნანა, ვერ მხედავ, რა დღეში ვარ?! დილიდან ერთი ჭიქა ყავის დალევაც ვერ მოვახერხე.

ნანა: სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ასე უცებ რისთვის დასჭირდა ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი ჩვენს მენეჯერს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბანკიდან სესხის გამოტანას აპირებს და წინა წლის ბრუნვის გადახედვა უნდა...

რემო: შეიძლება მართალი ხარ, ნანა!... მაგას რა სჯობს! თუ ბრუნვა მოიმატებს, იქნებ ხელფასებიც გაგვიბარდონ!

II ნაწილი დიალოგი: მთავარი გულალტარი და მისი კონსულტანტი

ლია: გიო, ანგარიშთა გეგმას თუ გადახედე?! იქ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა დაწყებული თითოეული კომპონენტი.

გიორგი: კი, უკვე ვნახე და იცი, რა მაინტერესებს - ვინ ადგენს ამ სტანდარტებს?

ლია: სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი არსებობს და წესებს ის ამტკიცებს.

გიორგი: მერე ეს წესები ჩვენც გვცხება?!

ლია: აბა, რა!... საქართველოს პარლამენტთან არსებული სპეციალური კომისია გვყავს. დადგენილებები სწორედ მან გამოსცა და ჩვენც ვემორჩილებით. კანონიც არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის რეგულაციებზე.

გიორგი: მაგ კანონშიც აუცილებლად ჩავიხედები, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პრაქტიკულად უფრო ბევრ რამეს იგებს ადამიანი.

ლია: ეგრე რომ არ იყოს, აღრიცხვის შესასწავლად ჩემთან ხომ არ მოგამაგრებდნენ?!

გიორგი: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეგონა, ბევრი რამე ვიცოდი, მაგრამ ასე არ ყოფილა.

ლია: ჰოდა, ყველაფერს ვისწავლით. ახლა დადექი და სტანდარტის მიხედვით დაიწყე აღრიცხვა. ჯერ მიმდინარე აქტივები დათვალე, მერე - ნაღდი ფული სალაროში.

გიორგი: მიმდინარე აქტივების აღრიცხვა დაწყებული მაქვს, ალბათ, სადამომდე მოვრჩები...

ლია: დავალებას რომ შეასრულებ, მაჩვენე,... შევამოწმებ და, თუ რამე შეგეშალა, ერთად გავასწოროთ...

III ნაწილი დიალოგი: მოდი, სამენარამო საქმიანობა დავინყო!

ეკა: მოდი, თამაზ, შპს შევექმნათ და სამეწარმეო საქმიანობა დავიწყოთ!

თამაზი: რას ამბობ, ეკა?! მაგას რომ თანხა სჭირდება, საიდან მოვიტანო?!

ეკა: მე, შენ და ლალიმ მოვილაპარაკოთ. არ მეშინია, ჩემს მიწის ნაკვეთებს ჩავდებ და ბანკიდან კრედიტს ავიღებ, ლალის ისედაც აქვს დაგროვილი ფული, ცოტა შენც მოგვეხმარე და საქმეს ავაწყობთ.

თამაზი: რა ადვილად ლაპარაკობ, ეკა, შპს-ს გახსნას ჯერ ბიზნესგეგმის დაწერა უნდა და მერე კიდევ ათასი რამე.

ეკა: ჰოდა, შენ თუ იცი, ეგ ბიზნესგეგმა უკვე რომ დავწერე,... სახელიც კი მოვიფიქრე, ჩვენს შპს-ს რა უნდა დავარქვათ.

თამაზი: როგორც ჩანს, ღამეები არ გიძინია მაგაზე ფიქრით. აბა, ერთი მითხარი, რა გეგმა გაქვს?!

ეკა: რა და... სათბურები გავაკეთოთ. ჩემი ერთი ნაკვეთიც გვეყოფა, 5 სათბური რომ მოვაწყოთ და სოკო მოვიყვანოთ. ხომ ხედავ, რა ღირს სოკო ბაზარში? ზამთრობით კილო 8 ლარზე ნაკლები არ არის.

თამაზი: ისე ეგ კარგი იდეაა, მაგრამ...

ეკა: რა მაგრამ,... თამაზ! შენც აიღე კრედიტი და უკვე 3-4 თვეში სოკოს მოვიყვანოთ. თუ გინდა, დირექტორი შენ იყავი, ჩემთვის სულერთია...

თამაზი: მაგ საქმეს ადვილად რომ ვერ დავიწყებთ, შენც იცი,... ჯერ რეესტრში უნდა ავიდეთ აღრიცხვაზე, სალარო-აპარატები ვიყიდოთ, კარგი ბუღალტერი მოვძებნოთ და მერე ვილაპარაკოთ. რაც არ უნდა მაგარი ზურგი გქონდეს ადამიანს, შემოსავლების სამსახურს ხომ იცი, რომ ვერ გადაურჩები, თან ჩვენ ამ საქმეში გამოუცდელები ვართ.

ეკა: ამიტომ ხვალ შევიკრიბოთ სამივე, ჩემს გეგმასაც მოვიტან და ყველაფერზე კარგად მოვილაპარაკოთ. დილის 11 საათზე რომ მოვიდეთ შენთან, ცუდი დროა?!

თამაზი: არა, ნორმალურია... კარგი, დაგელოდებით!

VIII თავი გუღალტრული აღრიცხვა – პროფესიული ცოდნა

I ნაწილი დიალოგი: გაუთვალისწინებელი ხარჯი (დირექტორი და ბუღალტერი)

დირექტორი: ვანო, ერთი კარგად გამაგებინე, ამ საანგარიშგებო პერიოდში ბევრი გაუთვალისწინებელი ხარჯი ხომ არ გვექონდა?!

ბუღალტერი: მაგას რატომ მეკითხებით, ბ-ნო გიორგი?

დირექტორი: წმინდა მოგების რაოდენობა არ მომეწონა და იმიტომ,... თითქოს უფრო მეტს ველოდი...

ბუღალტერი: ისეთი დამატებითი ხარჯები არ გვექონია, რომ მოგება ძალიან შეემცირებინა. შარშანდელთან შედარებით მხოლოდ 20.000 ლარით არის ნაკლები.

დირექტორი: ჰოდა, მეც მაგიტომ გეკითხები, რაში დავხარჯეთ ეგ 20.000?!

ბუღალტერი: ბ-ნო გიორგი, ორი თვის წინ ჩვენი პროდუქციით დატვირთულ მანქანას ავტოავარია რომ შეემთხვა და ქილები დაიმტვრა, ეგ ის ხარჯია.

დირექტორი: ოჰ,... ნუთუ ამდენი ვიზარაღეთ?! ისედაც ახალი გახსნილი შპს ვართ და თითოეულ თეთრს ვუფრთხილდები. ვიფიქრე, მოგებით ერთ ახალ სატვირთოს ვიყიდი-მეთქი. თან საკონტროლო-სალარო აპარატებიც დასამატებელი გვაქვს.

ბუღალტერი: ჩემი აზრით, სალარო აპარატების თანხის გამოყოფა არ უნდა გაგვიჭირდეს, სატვირთოს საქმე კი, ალბათ, იქითა წლისთვის გადაიდება.

დირექტორი: არა, ვანო, არც მაგის გადადება შეიძლება! ხომ ნახე, რა საშიშია გაუმართავი მანქანით პროდუქციის ტრანსპორტირება. ბოლოს და ბოლოს კრედიტს ავიღებ ბანკიდან.

ბუღალტერი: ისე, მაგაში მართალი ბრძანდებით, მეც ეგრე მოვიქცეოდი. კიდევ კარგი, რომ მძღოლი არ დაშავდა, თორემ მეტი ხარჯის გაწევა მოგვიწევდა.

დირექტორი: მოკლედ, ამ დღეებში მივიღებ გადაწყვეტილებას და, რაც შესაძენია, ყველაფერი უნდა ვიყიდოთ!

II ნაწილი დიალოგი: მთავარი ბუღალტერი და ბუღალტერი

ნელი: საანგარიშგებო პერიოდი მთავრდება და რა დროს შევებულებაში გასვლაა, სანდრო?!

სანდრო: ძალიან გადავიდალე, ქ-ნო ნელი, ამდენი აღარ შემიძლია. ათი დღე დედასთან რომ წავიდე და დავისვენო, ამით ხომ არაფერი შეიცვლება?!

ნელი: ბალანსის შედგენა დავამთავროთ და მერე, თუ გინდა, მე თვითონ ვთხოვ დირექტორს შენს შევებულებას.

სანდრო: ჩემი საქმე თითქმის დავამთავრე, დებეტიც დაანგარიშებული მაქვს და კრედიტიც, სალდოსაც გამოვიყვან და ბუღალტრული ბალანსის შედგენაც დამთავრდება.

ნელი: ყველა ხარჯი უკვე აღრიცხე, სანდრო?! შემთხვევით წინა წლის ბალანსიდან საწყისი ნაშთის გადმოტანა ხომ არ დაგავიწყდა?!

სანდრო: არა, რას ამბობთ, ქ-ნო ნელი, მაგის გარეშე ბალანსის შედგენას როგორ დავიწყებდი?!

ნელი: ერთხელ ხომ მოგივიდა ეგეთი შეცდომა, მაშინ კინაღამ გული გამისკდა და იმიტომ გკითხე.

სანდრო: იმის მერე ორი წელი გავიდა, მაშინ ბუღალტრობა ახალი დაწყებული მქონდა და შეცდომაც ადვილად დავუშვი.

ნელი: გეთანხმები, მაგრამ მაინც შევამოწმებ, ე.ი აქტიური და პასიური ანგარიშები სულ გააკეთე არა?!...

სანდრო: დიახ, ბრუნვა მთლიანად დაანგარიშებულია,... ამიტომ გთხოვეთ კვირის ბოლოს შევხულებში გაშვება.

ნელი: კარგი, კარგი, მაგ ბალანსს აუცილებლად გადავამოწმებ... თუ ასე მოგენატრა დედა, მართლა დაწერე განცხადება დირექტორის სახელზე, მეც მოგიწერ ხელს.

სანდრო: გმადლობთ, ქ-ნო ნელი!

გრამატიკა

I თავი სამეურნეო ალრიცხვის არსი. საზომი ერთეულები

სამეურნეო ალრიცხვა და მისი მნიშვნელობა

- სიტყვათწარმოება: **-ობა**, **-ება** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ნ/-თა** სუფიქსებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება: **-ებიანის** ჩანაცვლება **-თანინი** ფორმებით.
- დროის გამოხატვასთან დაკავშირებული გმნიზდები; კითხვები: **რამდენ ხანს? რამდენი ხანი? რამდენი ხანია?** (დიდხანს, დიდი ხანი, დიდი ხანია...).

სამეურნეო ალრიცხვის საზომები

- თანხმომავანუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრული ბრუნება -გამეორება.
- **ყოფ[ს]** ფუძიანი რთული გმნები ქართულში.
- გარდამავალი გმნების წყვეტილის ფორმათა წარმოება და ერგატიული (/მოთხრობითი) კონსტრუქცია (მან/მათ ის).
- ჩართული სიტყვები: **სამწუხაროდ**, **საბედნიეროდ**.
- **რომელიც** წევრ-კავშირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შესახებ**, **გამო**.

საქონლის შრომითი და ფულადი ფასი

- სიტყვათწარმოება: **-ობრივ**, **-ებრივ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- მსგავსების გამომხატველი-**ვით** თანდებულები თანხმომავანუძიან სახელებთან - **[ი]ვით** (კაცივით), ხმომავანუძიან სახელებთან - **[სა]ვით** (მოსამართლესავით), პირის ნაცვალსახელებთან - **[სა]ვით** (ჩემსავით, შენსავით, მასსავით).
- აწმყოს კავშირებითის ფორმათა წარმოება (რას შვრებოდეს?); მათი რეალიზაცია **უნდა** და **შეიძლება** გმნებთან ერთად.
- შესიტყვებები: **ხელი შეუწყო**, **ხელი გაუმართა**, **ხელი შეუშალა**, **ხელში ჩაიგდო**. მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

II თავი სამეურნეო ალრიცხვა და მისი სახეები

ოპერატიულ-ბეჭნიკური ალრიცხვა

- სიტყვათწარმოება: **სა-ო** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- უარყოფითი ნაცვალსახელები: **არავინ**, **არაფერი**, **ვერავინ**... მათი ბრუნების თავისებურებანი.
- **აღ-** (→ა-) გმნისწინი. **აღ-**გმნისწინიანი საწყისის ფორმები (აღწერა).

- დროის გამოხატვასთან დაკავშირებული გმნიზებები: **შარშან - წელს - მომავალ წელს...**
კითხვა: **როდინდელი? - შარშანდელი, წლევანდელი...**
- **-თან, -ში, -ზე** თანდებულები - გამეორება.
- **-ავ** თემისნიშნთან გმნათა საწყისი (მართავს → მართვა).

სტატიისტიკური აღრიცხვა

- სიტყვათწარმოება: **-ურ/-ულ** სუფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ჩართული სიტყვები: **ამრიგად, მაშასადამე.**
- კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად (ჩვენს პრეზიდენტს).
- გმნების წყვეტილის ფორმები და ნომინატიური (//სახელობითი) კონსტრუქცია (ის/ისინი გაიყიდა).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **გარდა, ნაცვლად.**
- სინტაქსური კონსტრუქციები: **თუ, მაშინ** / **მაშინ, თუ** .

ბუნალტრული აღრიცხვა

- სიტყვათწარმოება: **მო-ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ში, -ზე** თანდებულები - გამეორება.
- ცალკე მდგომი თანდებული - **წინაღმდეგ.**
- შესიტყვებები: **ხელი დაადო, ხელი დააფარა, ხელი მოჰკიდა, ხელი დაიბანა.** მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

III თავი ბუნალტრული აღრიცხვის საგანი

აქტივი

- სიტყვათწარმოება: **-იან, უ-ო, უ-ურ** აფიქსები და მათი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **თვით, თავად, თვითონ, ყველა, ყოველი, თითოეული.**
- ადგილის გმნიზებები. კითხვები: **სად? საით? საითკენ? საიდან?** - **აქ, იქ, აქეთ, იქით, აქეთკენ, იქიდან...**
- **-დან და -კენ** თანდებულები - გამეორება.
- **გან-** (→**გა-**) გმნისწინი. **გან-**გმნისწინიანი საწყისის ფორმები (**განვითარება**).

ვალდებულებები, როგორც პასივები

- **-მებრ (// -ებრ)** თანდებული და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ხმოვანფუძიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება - გამეორება.
- **-ია** დაბოლოებიანი I თურმეობითი (მიწარმოებია).

ბუნებრივი აღრიცხვა

- ცალკე მდგომი თანდებულები: **შორის, შუა, შუაში, შუაზე.**
- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისე, როგორც / როგორც, ისე**
- ჩართული სიტყვები: **რა თქმა უნდა, რასაკვირველია.**

საკუთარი კავიტალი

- სიტყვათწარმოება: **მ-ელ** კონფიქსიანი მიმღეობა (დამგირავებელი).
- **-თვის** თანდებული დანიშნულების ფუნქციით.
- ცალკე მდგომი თანდებული **მიმართ** და მისი გამოყენება (ჩემ მიმართ, სახელმწიფოს მიმართ).
- შესიტყვებები: **ენა დაება, ენა დაიმოკლა, ენას კბილი დააჭირა, ენა მუცელში ჩაუვარდა.** მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

IV თავი ბუნებრივი აღრიცხვის მნიშვნელობა

- შესწავლილი მასალის განმტკიცება

V თავი ბუნებრივი აღრიცხვის მეთოდები და ელემენტები

დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია

- სიტყვათწარმოება: **არა** 'ნაწილაკიანი ლექსიკა ქართულში (არარეგისტრირებული).
- ანტონიმები – გამეორება.
- ჩვენებითი ნავალსახელები (**ეს, ეგ, ის**) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი – გამეორება.
- **-გან** თანდებულიანი ადგილის ზმნიშვნელები (სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან) და მათი გამოყენება.
- **-ვით, -ზე, -ში, -კენ** და **-დან** თანდებულები, მათი გააქტიურება მცირე ზომის ტექსტში.
- უწყვეტლის ფორმათა წარმოება – გამეორება.
- მართული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება (ქონების უფლება) – გამეორება.

შეფასება და კალკულაცია

- სიტყვათწარმოება: **-ოვან** სუფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა I თურმეობითის წარმოება (დაუმაღავს, ჩაუცვამს).
- ჩართული **-სხვათა შორის.**
- ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ერთმანეთი** და **ერთიმეორე.** მათი ბრუნების თავისებურებანი.

- სინტაქსური კონსტრუქციები: **ისეთი მეწარმე, როგორიც / ისეთი მეწარმეები, როგორებიც**
- **-გან** თანდებული: ა) ნაცვალსახელებთან; ბ) მასალის აღმნიშვნელ სახელებთან; გ) პიროვნების (პროფესიის) აღმნიშვნელ სახელებთან.

ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩანარა

- სიტყვათწარმოება: **ურთიერთ** ნაცვალსახელი რთული სიტყვის პირველ ნაწილად (ურთიერთკავშირი).
- **პირდაპირ** და **პირისპირ** როგორც სინონიმური წყვილი, მათი მნიშვნელობა და გამოყენების თავისებურებანი: ა) პირის ნაცვალსახელებთან; ბ) არსებით სახელებთან.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **წინააღმდეგ, გამო, შესახებ** - გამეორება.
- შესიტყვებები: **ხმა გაკმინდა, ხმა მისცა, პირში წყალი დაიგუბა, სიტყვა პირზე შეაშრა**. მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

VI თავი ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული ბალანსი

ფინანსური ანგარიშგება

- სიტყვათწარმოება: **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა.
- სინონიმები - გამეორება.
- ჩვენებითი ნაცვალსახელები (**ამნაირი, ამგვარი, ამისთანა**) მსაზღვრელად და მათი ბრუნების თავისებურებანი.
- სიტყვათწარმოება: **-ით** სუფიქსიანი ლექსიკა (დასკვნითი).
- დროისა და ადგილის გამოხატვის სტრუქტურა ქართულში - **როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?**

ბუღალტრული ბალანსი

- ვითარების ზმნიზედები ქართულში: **კარგად, მტკიცედ** - გამეორება.
- **უნდა** 'ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (უნდა მოითხოვოს) - გამეორება.
- მეშველზმნიანი I თურმეობითის წარმოება (**დავსაქმებულვარ**).
- ნაცვალსახელი **იგივე** მსაზღვრელად და მისი ბრუნების თავისებურებანი (იგივე პროცესი, იმავე პროცესმა...).
- ჩართული **-ალბათ**.

ფინანსური შედეგი - ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ

- კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი** მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმით.
- **შეუძლია** 'ზმნიანი სტრუქტურა ქართულში (შეუძლია აღრიცხოს).

ბუღალტრული აღრიცხვა

- ა) სინტაქსური კონსტრუქცია: **ჯერ** , **მერე/შემდეგ/შემდგომ** ; ბ) **ჯერჯერობით**.
- ცალკე მდომი თანდებულები: **წინაშე, მიერ**.
- შესიტყვებები: **სიტყვა შეაწყვეტინა, სიტყვა ჩამოართვა, სიტყვა მოუჭრა, სიტყვა შეუბრუნა**. მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

VII თავი ბუღალტრულ ანგარიშთა არსი და საერთაშორისო

სტანდარტები

ბუღალტრული ანგარიშები

- სიტყვათწარმოება: **სი-ე** კონფიქსი და მისი გამოყენება დარგობრივ ლექსიკაში.
- ბრძანებითი წინადადებების უარყოფითი ფორმები.
- სინტაქსური სტრუქტურა: **თუ არა**..... .
- ნაცვალსახელები: **ამდენი, მაგდენი, იმდენი** მსაზღვრელად და მათი ბრუნების თვისებებზე.
- მიზეზის გამოხატვა სინტაქსურ კონსტრუქციებში. კითხვები: **რატომ? / რის გამო? - იმიტომ, რომ... / იმის გამო, რომ...**
- ჩართული -**ჩემი აზრით**.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. საერთაშორისო სტანდარტები

- სიტყვათწარმოება: **მ-ელ** კონფიქსიანი მიმღეობა - გამეორება.
- მიზნის გამოხატვა სინტაქსურ კონსტრუქციებში. კითხვები: **რისთვის? / რამიზნით? - იმისთვის, რომ... / იმ მიზნით, რომ...**
- დროის გამომხატველი სიტყვები წინადადების სტრუქტურაში:**მანამ, სანამ / ვიდრე**..... .
- სუბიექტური და ობიექტური წყობის გზნები (**ვაჯარიმებ - მაჯარიმებს**).
- ცალკე მდგომი თანდებულები: **შემდეგ, უკან, შემდგომ, მერე**.

სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

- სიტყვათწარმოება: **თანა** თანდებული რთული სიტყვის პირველ ნაწილად (თანამშრომელი).
- სიტყვათწარმოება: **უ-ელ** კონფიქსიანი მიმღეობა.
- ცალკე მდგომი თანდებულები: **მიხედვით, მიუხედავად**.
- შესიტყვებები: **ენა წაიგრძელა, ენა წინ უსწრებს, ზურგი შეაქცია, მაგარი ზურგი აქვს**. მათი გააქტიურება მცირე ზომის მხატვრულ ტექსტში.

VIII თავი ბუღალტრული აღრიცხვა - პროფესიული ცოდნა

- შესწავლილი მასალის განმტკიცება.